

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი


მანათლება

8(05)
8-20

(წელიწადი ქეთხე)

X ~~საქართველო~~ 1911 წ.

P-68864



კავკასიის ქართული სკოლა, თეატრი, ეკლესია და საკრედიტო
აზნაუგობა.

შინაარსი: 1. „ახალი ქართლის“ შედეგები—ფელი (დახსიათება) იპ. ვართაგავასი. 20 მოწაფეთა განკაფულება ი. ფერაძისა. 3. ა. დუგუკ, სამხარულო სწავლას. ბოცვაძისა. 4. იესო ქრისტე კახაბერისა. 5. ვირების არქივანი (ჭეინედან) ა. ყუმისთაველისა. 6. წუთები გაძეკებაში. ირ. ევლოშვილისა. 7. ზამთარი ლადო გეგეჭკორისა. 8. ძღვენი დ. თურდოსპირელისა. 9. პირველი დღე სემინარიუების ცხოვრებიდან ვლ. ე—ლისა. 10. შემდგომი გ. ტაბიძისა. 11. ჩემი საგოდებელი ბაჩანასი. 12. ცნების ფრთებზე ტ. ტაბიძისა. 13. ცხოვრების ზღვას მ. აბულაძისა. 14. დანთხუელი სისხლი (ლეგენდა) გ. უბეოურისა. 15. იმედი (ლექსიპროზა) ასკილისა. 16. სკოლა 1789 წ. (ფრანგულიდან Mamia Valiko-სი. 17. ვეზირი (ტოლსტოვიდან) მილიცა გვარამაძისა. 18. სიცოცხლის ეგზემენი ილია ნაკაშიძისა. 19. მოულოდნელი უკანონობა იაკობ გოგებაშვილისა. 20. სიტყვა დეკალ. ცინცაძისა. 21. ნ. ზ. ცხველძე ი. ფერაძისა. 22. შინური მიმთხილვა—ქართვლ მამუღიანთა უსუგუშო მდგომ. განათ. მხრით სიმონ ჯორბენაძისა. 23 ზატარა შენიშვნა. მეორე მასწავლებლისა. 24. რედაქციისთვის. 25. უცხოეთი. სახალხო ბიბლიოტეკები შუკცია ნორვეგიაში ფარისა. 26. რუსეთის ცხოვრებიდან ინგილოსი 27. ბიბლიოგრაფია დ. კარიჭაშვილის სუყური ანბანი სამ. ცომბიასი. В. Донъ и 1) Ф. Тикнеръ. Наглядная географія, 2) Давайте рисовать бушени—ა.—ლისა. Хлебниковъ Въ дыму и огнѣ Mamia Valiko-სი. 28. განცხადება

ყოველდღიური საზოლიტიკო და სალიტერატურო

„ს ა ხ ა ლ ს ო ბ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეულის

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი. აღრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთ პრემიად მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ სს. კრებ. პირველი ტომი „გრდემლი“, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება დადურთვდება ინვარშივე. რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакция „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდელაშვილი

ყოველ-დღიური საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-დაწინ 4 მანეთის შესრულებამდი.

აღრესი: Батумъ „Батумისъ Газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. მ. ჭელიძე.

ბანათობა

(წელიწადი შეოთხე)

X

დეკემბერი

1911 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
ორ მანეთად

ცალკე ნომ-
რის ფასი

30 კაპ.

ხელის მოწერა შიიღება **თფილისში** წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: Тифлисъ Дворянская Грузинская
Гимназия Л. Г. Боцвадзе.

„ახალ ქართლის“ შეილები.

ფ ლ ი დ ი

(დახსსიათება)

I

ჩვენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხ-
ტი“ და ბუნებით ტურფა-კეკლუცი სა-
ქართველო მის მკვიდრთა და მობინად-
რეთა საქმე-მოქმედების, ზნე-ხასიათის აშ-
მორებულ და აყროღებულ ტბად გარ-
დაიქცა. ამ ტბაში სხვა და სხვა მაცოცხ-
ლებელ-მასულდგმულელები ელემენტები
ან გამქრალა, ან ჰქრება და იცვლება
თავბრუ დამსხმელი, გამარცხიანებელ
და სისხლის მომწამვლელ ელემენტებათ.
ამისათვის ყოველი წმინდა, სათუთი და
სუფთა ცხოველ-არსება ამ ტბაში იწამ-
ლება და ესალმება წუთისოფელს. გველ-
ბაყაყნი კი—ეს სინონიმი ყოველ გვარ

უწმინდურებისა და გაუტანლობა-ვერა-
გობისა—არხეინად დანავარდობენ იქ და
დახოცილ-მოწამლულთა ლეშს გემრიელად
შეექცევიან...

ღიას, მყრალი, მღვრიე და ბნელია
ტბა „ახალ ქართლის“ ცხოვრებისა. გა-
სუნაგ-გავერანგებულან მის წიაღსა 'მინა
ბურთ-მოედანი დარჩენილნი გველ-ბაყაყე-
ბი!.. ამას ჰგოდებენ და დასტირიან ჩვე-
ნი მოქალაქობრივ გრძობით გამსკვალუ-
ლნი საუკეთესო მგოსან-მწერალნი; ამან
მოუწამლა „მათ ყმაწვილის ბრმა სარწ-
მუნოება“; ამაშია „ობლობა“ მათის „სუ-
ლისა“; ეს გახდა მიზეზად, რომ სწაღიათ

მოშორდნენ, გადიხვეწონ საყვარელ სამშობლოდან და არ დაიმარხონ „მამა-პაპათა საფლავებ შორის“; ამით აიხსნება ის სავალალო მოვლენაც, რომ თანამემამულეთა შორის ისინი ვერ ჰპოებენ ისეთს, რომელსაც შესაძლებელია ფიქრი გაუზიარონ. ერთის სიტყვით, საყვარელის სამშობლოს გახრწნა-გათახსირებამ „ტრემლში აღესვინა ნალღველი“ საუკეთესო მამულისშვილთ და „მელნად ის ახმარებია“ შემოქმედების დროს. რა საკვირველია, მგოსნები—ეს ერის სული და გულის მესაიდუმლენი და მისი ქირ-ვარამის მტვირთველ - გამომხატველნი — ნათლად ხედვენ, ღრმად გრძნობენ და შესანიშნავის სიცხოვლით გვიხატავენ ცხოვრების ანორმალურ მოვლენას, მაგრამ ჩვენც, უბრალო მომაკვდავნიც, რომელთა „გვექვიან შეილნი სოფლისა“, მოვალენი ვართ ვაგრძნობიოთ სიდუხჭირე ჩვენს თავს და სხვასაც დაუკვირდეთ და, რაც ნაკლები ვანება გვაქვს, თამამად დავემოთ და გამოვაცხადოთ.

დავიწყეთ.

ილიამ ერთს თვის ლექსში „ახალ ქართველის“ შეილებს „ყველა, ცრუი, ყველა უნდა“ უწოდა. სიტყვა „ყველა“ აქ უნდა გვესმოდეს უმრავლესობად. მართლაც, უკვდავმა მგოსანმა ამ სიტყვებში აღნიშნა ერთი უმთავრესი ჩვენი ზნეობრივი ავადმყოფობათაგანი. ფლიდი, ცრუ და ყალბი პირები ჩვენში სოკოსავით მრავლდებიან, მომეტებულად „ნასწავლ-დიპლომიანებში“, ეგრედ წოდებულ ინტელიგენციაში. თევზი ხომ ყოველთვის თავიდან აყროლდება!.. ჩვეულებრივია მათი ბიოგრაფია. დავაცქერდეთ ჩვენს მომავალ ფლიდს ახალგაზღვობაში. აქ არის პირველი დასაწყისი და სარბიელი მისი ფლიდობა-სიცრუის ვარჯიშობისა. სასწავლე-

ბელში ის ცდილობს ყველა ამხანაგებთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, მათ არაფერში არ ჩამორჩეს: არც ცელქობაში, არც სიყოჩაღეში, არც გაბედულობაში (როგორც ეს ესმისთ მოწაფეებს), დამოუკიდებულობაში, აზრთა თავისუფლებაში, ლიბერალობაში. მართლაც, ხშირად ნაქხავთ მას შუალამისას სადმე ბაღში მოქიფეს, ან გაკვეთილების დროს აღკრძალულ წიგნით ხელში, ან ამხანაგებში უკიდურეს აზრის და მწვაფი პროტესტის მქადაგებელს. შეგნებულად ცდილობს გახდეს ყურადღების ცენტრად და მისი გვარი ხშირად იხსენიებოდეს; სურს, რომ მას მიმართავენ ამხანაგები რჩევა-დარიგებისათვის. და ამავე დროს, ოღონდ კი სხვების შეუმჩნეველად, იმის ცდაშია, რომ უფროსების თვალშია ცნობა-პატივი ჰქონდეს. ამისათვის არ გაუშვებს არც ერთს შემთხვევას, ოღონდ დამსწრედ ამხანაგები ნუ იქნებიან, რომ უფროს-მასწავლებლებს თავი მოაჩვენოს მშვიდი, წყნარი და კეთილსაიმედო მოწაფედ; ოსტატურად იმასაც მოახერხებს აგრძობინოს მათ, რომ არ თანაუგრძნობს ამხანაგების თავდასულობას, აზრ-მიმართულების უკიდურესობას და თავდაუქერელ ახირებას ზოგიერთ შემთხვევებში. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მან პირდაპირ ვინმე გასცეს, როლი გამცემისა აშკარად დასრულოს. ამას ის თავის დღეში არ ჩაიდენს, და არა იმისთვის, რომ ასეთი საქციელი არსებითად სძულდეს, ეზიზღებოდეს ან ზნეობრივ სისაძაგლედ მიაჩნდეს, არამედ ეს მის ეგოიზმს ეწინააღმდეგება: მან კარგად იცის, რომ ამხანაგებს არაფერი დაემალება, და თუ გაცემა -- ენატანიობა შეუტყვეს, დაბადების დღეს აწყველინებენ. მას უნდა, რომ არც მწვაფი დაწვას და არც შამფური.

გაურყვნელ ახალგაზღობას შესანიშნავი მახვილი ზნეობრივი გრძობა-ინსტიქტი აქვს. მას ბუნებრივად, ხშირად ანგარიშ მიუტყემლად, სძაგს ზნეობრივი სიმრუდე, გულ-ჩახვეულობა, ორპირობა, სიცრუე-სიყალბე და მდბალი ეგოიზმი. მას თავს ვერ შეაყვარებს, მის ნდობასა და გულითად ამხანაგობა-განწყობილებას ვერ დაიმსახურებს ცრუ და მრუდე გრძობის ადამიანი.

ამისთვის, რა გასაკვირველია, რომ ჩვენმა მომავალმა ფლიდმა ვერ ჰპოვოს თანაგრძობა-სიყვარული და სრული ნდობა ამხანაგობაში! მართლაც, მას თუმცა არა ჰყავს მტერი, მაგრამ არც მეგობარი ჰყავს. ამხანაგები ებაასებიან, მსჯელობენ კიდევ მასთან, მაგრამ მესაიდუმლედ ვერ გახდიან. მოურიდებლად მასთან ხშირად ისეთ საგნებზე ლაპარაკობენ, რის გამომჟღავნება მათ სახიფათო მდგომარეობაში ჩააგდბეს, მაგრამ ამავე დროს თვითოეული მათგანი გრძობს, რომ უკეთესი იქნებოდა მასთან არაფერი ეთქვა, თავი შეეკავებინა...

დაასრულა ჩვენმა გმირმა საშუალო სასწავლებელი. უნდა შეხედოთ, თუ როგორ დინჯათ იქცევა პირველ ხანებში. იმ დროს, როდესაც მისი ამხანაგები გულახდილად და გულ-უბრყვილოდ სიამოვნებას ეძლევიან. სიცილ-ხარხარით, ახალგაზღურის აღტაცებით მიდი-მოდინ ქუჩებში სტუდენტების ქუდით და ზოგი კი სრულ სტუდენტურ ფორმაში გამოწყობილნი,—მაშინ ჩვენი გმირი, განზრახ, წინ და წინ მხოფიქრებულის მიზნით, რომ მიიქციოს ნაცნობ-ნათესავების და საერთოდ ყველა მაყურებლის განსაკუთრებული ყურადღება, დინჯად, გაზომილ, მეტოდური ნაბიჯით დაიარება: თავი ჩაუქინდრავს, წარბები შეუკრავს,

მთელს სახეზე რაღაც ფიქრ-ზრახვის ბეჭედი აზის; სტუდენტური ქუდის ნაცვლად ქილოფის ახურია, უბრალო ტილოს ხალათი აცვია. მას ხშირად დაინახავთ მობასეს ადგილობრივ ცნობილ მოღვაწეებთან, პედაგოგებთან, მწერლებთან: ყველას რჩევისთვის მიმართავს, დარიგებას სთხოვს, თუ რომელ ფაკულტეტზე შევიდეს, თუ როგორ დაიჭიროს თავი სტუდენტობის დროს, რას მიიქციოს უმთავრესი ყურადღება სწავლის დროს, რომ, როგორც თითონ, ვითომდა მორცხვად, მაგრამ მკაფიოდ, ყველას ეუბნება: „რამე სარგებლობა მოუტანოს აღმზრდელ სამშობლოს“. შორს მისგან რამე ეგონსტური მოსაზრება!! უნდა ნახოთ, რანაირის გრძრბით იხსენიებს ნაცნობ-ნათესავებში თავის ამხანაგებს: „რა უნდა-გამოვიდეს მათგან, ბატონებო, ვითომ გულნატკენი ამბობს ჩვენი გმირი, რაც სწავლა დაასრულეს უმიზნოდ დაეხეტებიან, ღუქნებში ქეიფობენ, ფორმაში გამოიწყიპნენ, ყველა მათგანს უკვე არჩეული აქვს ფაკულტეტი, ზოგს იურიდიული, ზოგს საექიმო —რასაკვირველია, რაც უფრო მოსაგებიანია—თითქოს ეს საკითხი ასე ადვილი გადასაწყვეტი იყოს. არავინ არ ფიქრობს თვის მოვალეობაზე“. ნაცნობნი აქებ-ადიდებენ, ნათესავნი სიხარულიმედით შესცქერიან ჩვენს დინჯს, დაკვირვებულ და საიმედო მომავალ მოღვაწეს?!

— აი გაემგზავრა ჩვენი ახალი თაობა უმაღლეს სასწავლებელში. ბევრს მათგანს, მართლაც, წინდაწინ არა აქვს აწონ-დაწონილი გეგმა ქცევა-მოქმედებისა, მაგრამ ძველ სტუდენტების რჩევით შედიან სხვა და სხვა ფაქულტეტზე და მეცნიერების ტაძარში მხნედ იწყებენ მუშაობას. ჩვენი გმირი კი აბა როგორ დაუ-

ჯერებს გამოცდრულ ამხანაგებს და, რად-
განაც დიდი ხანა გულში გადაწყვეტილი
აქვს, ირჩევს ისეთ ფაქულტეტებს, რომე-
ლიც მას მეტს სახსარს და უზრუნველ
ყოფას შიანიკებს ცხოვრებაში. რესაკვირ-
ველია, ის ახლაც ფლიდურად ამართლებს
თვის არჩევანს, ვითომ გულწრფელად
მაგრამ სოფისტიურად, ამტკიცებს, რომ
ამ ფაქულტეტის საგნები უფრო კარ-
გია: ადამიანს ავითარებს, ჰუმანიტარ
გრძობას უვარჯიშებს და სამშობლო-
სათვის უფრო გამოსაყენებელ ცოდნას
აძლევს და სხვა და სხვა. ამ ნაირად ის
ცდილობს აქ, უმაღლეს სასწავლებელში,
ნოღაბი არ აიხსნას, თვისი ნამდვილი სა-
ხე არავის აჩვენოს, ივღს გულის სიღრმე-
ში არვინ ჩაახედოს. ამისათვის ეს საჩვე-
ნებლად, ფორმალურად მონაწილეობას
იღებს სტუდენტურ საქმეებში და უხარია
კიდევ, როდესაც იმას ერთხელ მაინც
სხვებთან ერთად და ან შენიშვნას მის-
ცემენ ან დააპატიმრებენ, ვინაიდან იცის,
რომ ამით ის სახელს იკეთებს, საამაყო
დაღს ისვამს. მაგრამ ღმერთთან დაიფა-
როს, რომ ასეთი შემთხვევა მის ცხოვრე-
ბაში რამდენჯერმე განმეორდეს! ეს ხომ
მის ნამდვილ სიქმეს, ცხოვრების იდეალს
ხელს შეუშლის?! არა, ნუ იქნება!

ოჰ, რა დაწვრილებით და თანაც გა-
დიდებით, გიპერბოლურად, დაიწყებს
ხოლმე სხვა ქალაქებში და ნაცნობ-ნა-
თვისავებში იმის მოთხრობას, თუ ერთხელ
როგორ და რისთვის დააპატარეს. ამ მოთხ-
რობაში ის ცდილობს ხაზი გაუსვას თვი-
სი მოწინავე აზრებს, შეუღრეკელ რწმე-
ნას, სიმზნევეს, გაბედულობას, უანგარო-
ბას, თითქმის თავის განწირვას; ერთის
სიტყვით გმირად გამოჰყავს თავი. ამავე
დროს ჩვენი გმირი იმას ცდილობს, რომ
თავი არ შეიწუხოს: მისთვის სრულებით

საქმარისია, თუ სავალდებულო საგნები
შეითვისა და გამოცდაში გაიმარჯვა.
თვით განვითარების, შეგნებულნი შრომა-
მაცადინებობას, მსამშობლოსათვის მომზა-
დებას“ (როგორც თითონ პათეტიურად
ამბობდა) სრულებით არ დაგიდევს.

„მეცნიერება სიყვარულისა“ მას გაუხ-
დია უმთავრეს საგნად: მოსამსახურე გო-
გლების: ზნეობრივად კოქლ დიასახლისის
და „გაკაცების“ მიმდევარ კურსოსტკების
გულის მონადირება; მათი აღერსი—სი-
ყვარული და მათთან დროს გატარება
გაუხდინა მის სპორტად, სავარჯიშო საგ-
ნად.

— რავდენისამე წლის შემდეგ მომზადე-
ბულ-განვითარებულ, შრომა-მეცადინეო-
ბის და სიმზნე-ენერჯის მექონე შეილის
ნაცვლად, მამულს უბრუნებდა გონება
ცარიელი, ხასიათით დამზხინჯებული, გუ-
ლით უნდო, სხეულით დასუსტებული—
დაავადმყოფებული „დიპლომიანი“ გმი-
რი, რომელიც, სიკეთის ნაცვლად, ხორც
მეტად დააჯდება თანამოძმეებს და თვისი
ზნეობრივი სიმახინჯით სხვებთან ერთად
სწამლავს ისედაც მოწამლულ, საზოგადოე-
ბრივ ცხოვრებას.

აი ჩვენს გმირს გადაეშალა ფართელ
სამოქმედო მოედანი. სამკალი ბევრია:
ცხოვრება ერთგულს და პატიოსან მუ-
შაკს თხოულობს: „ისარგებლე, კარგად
მოიწყვე პირადი ცხოვრება, მაგრამ ჩვენც
ნუ დაგავიწყდებით, ჩვენკენაც გქონდეს
ყურადღებება, დეე ჩვენც რაშიმე გამოგ-
ვადგეს შენი ცოდნა-ენერჯია“, თითქოს
ეუბნება „დიპლომიანს“ სამშობლო. — ვინ
არ იცის, რომ ჩვენი საბრალო სამშობ-
ლო არ არის განებიერებული, ამ უკა-
ნასკნელ დროში მაინც, თვისი შეილების
აზრიან-შედგვიანი და უანგარო მუშაობით.
ამისათვის ის თვის ძეთ მიმართავს მხო-

ლოჯ მინიმუმი მოახოვნილებით, ნუ იფიქრებთ, რომ რომელიმე სხვა საშობლომ ისე გულწმინდათ დააფასოს და აქოს-ადიდოს თვისი შვილიზ მცირე, ჩვეულებრივ, არა საგმირო მოქმედება-ვარჯიშობისათვისაც, როგორც ჩვენმა საბერალო საქართველომ მაგრამ ამავე დროს არსად არც ერთი ისეთი საშობლო მხარე არ მოიძებნება, რომელიც ისე უბედურ-უნუაგეშო და მიმედ-გაცრუებულნი იყოს ნასწავლ შვილების მხრივ, როგორც ივერიაა!

დაუბრუნდეთ ჩვენს გმირს. პირველ ხანებში ის ჩვეულებრივ ორპირულად მელურად იქცევა; მხოხერხებულად ატარებს ნიღაბს: ნამდვილ სახეს კი ჰფარავს მაგრამ, არც დრო და არც ადამიანი გადის, მას თანდათან, ჰუნებრივად ეხსნება ნიღაბი და ნამდვილ ფეის ქერქში ჩნდება. ახლა ყოველივე მისი მოქმედება მოწმობს, რომ პირადი სარგებლობა და ფული გაუხდია იდეალად, რომ მათკენ არის მიმართული მთელი მისი გონებრივ-ფიზიკური ძალა. უანგარო შრომა, ზნეობრივ-გონებრივი დახმარება, მოვალეობის აღსრულება! იმ ახალ-საზოგადოებისადმი, რომელმაც ის დაჰბადა და გამოზარდა—არც ერთი ეს საკითხი მას არ აგონდება. თან და თან იმთქმება ეგოისტურ საქმეებში და პირად განწყობილებებში; ეკარგება უბრალო მოთხოვნილება ყოველი ინტელიგენტისა: თვალ-ყურს არ ადევნებს საზოგადო და პოლიტიკურ ცხოვრებას, —ლიტერატურას, იმ მეცნიერებას მაინც, რომლის სპეციალისტადაც თითონ ითვლება; მის კაბინეტში თქვენ ვერ ნახავთ ვერც მეცნიერულ გამოკვლევას, ვერც საინტერესო ახლად გამოსულ პოპულარულ წიგნს, ვერც შინაარსიან რომანს, ვერც ჟურნალ-გაზეთებს; ყოველ დღეს ისიც

მთქნარებით ზანტადატარებს, მან შეიძლება გადაათვალიეროს ეს გაზეთი, —უფრო ხალისით, თუ უცხოენაზნა დაბეჭდილი, რომელიც მის ქალაქში გამოდის. საზოგადო საქმე, საშობლო ლიტერატურა, ისტორია ან სხვა რამე დარგი-სამშობლო მეცნიერებისა — სუყუფლაფევი ეს თუ გინდ მეწყერს წაუღია? თუმცა ახლაც, იმ პირებთან, რომელნიც მას უარგად არ იცნობენ, ჩვენი გმირი რიხიანად მსჯელობს სხვა და სხვა საგნებზე და ვითომც სულით და გულით თანაუგრძნობს ყოველივე ხალხის სამართლიან მისწრაფებას და სურვილს, მაგრამ ამავე დროს სხვა წრეში და სხვა ტომის წარმომადგენლებთან, რუმელთანაც მას ასე თუ ისე დამოკრებულება აქვს — ის დელავს, მუხს ისვრის, ვერ ჰპოებს სიტყვას, რომ ღირსეულად გაკიცხოს ისინი, ვინც რაღაც ბრიყობას აქადაგებენ, ხალხი მეცადონაში შეჰყავთ, უფროს-უმცროსობას არ დაგიდევინ და ცხოვრებას სწამლავენ, რყვნა... თუმცა მან თავისი ოსტატურ ფლიდობა-ორპირობით და მელობით საზოგადოების ფართე წრეში აიცილნა სახელი ჩამორჩენილისა, საზოგადოების თვის მავნე პირისა და ამ ნიადგზე მას არავინ მტრობს, მაგრამ მაინც, როგორც ზნეობრივად მტყუანს და დამნაშავეს, მას მაინც ეშინიან, ყველაწაგან მოელის ლაღატს, სიკვდილს და ისეა დამფრთხალი, რომ ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდება.

ჩვენს გმირს სძულს ინსტინქტიურად ეჯავრება ყველა ის, ვინც მის გზას არ დაადგა და რამეში ფხა, ენერგია და ნაყოფიერი მოქმედობა გამოიჩინა. მომეტებულად მას ეჯავრება თვისი ყოფილი ამხანაგები, რომელთა მეტობრობით წინეთ, სტუდენტობის დროს, ამყობდა და თავი

მოსწონდა, რადგანაც განვითარებულ, უნაგარო და მოწინავე ახალგაზრდებთან ითვლებოდნენ. ახლა კი, სადაც კი მოუხერხდება, ჩვენი გმირი ცდილობს, რომ მათ სახელი გაუტეხოს, სხვებთან ჩერჩეტად და ბრიყვად გამოიყვანოს. თუ ვინდათ, რომ ამ ვაჟბატონს მძიმედ აწყენინოთ და ააშფოთოთ, აქეთ მასთან რომელიმე პირი—ნაცნობ-ამხანაგი და ახლო ნათესავიც—რამე ღირსებისათვის. ეს იგივე იქნება, რომ გულში დანა გაურქოთ! რას არ მოიქორებს, რას არ შეთხზავს, რომ სიტყვა გაგიბათილოს და თქვენგან შემთხვევითაც ნაქები პირი აძაგოს, მიწასთან გაასწოროს! თვით სულით მდაბალს, გონებით ცარიელს, მას უნდა, რომ მთელი ქვეყანა მას ჰგავდეს, ყველა მასავით მიწაზე მუცლით დაცოცავდეს, კუჭს აღმერთებდეს და გული გესლით ჰქონდეს ავსებული! უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რა დასტრიალდება მის აშშორებულს სულში, როდესაც მის ამხანაგს რომელიმე საპატიო ადგილ-თანამდებობაზე დაასახელებს საზოგადოება!

ოფიციალურად ის, რასაკვირველია, ყოველთვის მოწინავე პარტიაში ითვლება. ამისათვის კრებებზე კრინტს როგორ დასძრავს დასახელებულ პირის წინამდებე! პირ იქით, სერიოზულად, სხვებთან ერთად, მისი მომხრე-პატივცემელია... ამბობს ამას, მაგრამ დანა კი კბილებს ვერ უხსნის!—მთელი დღეები შფოთავს, ამხანაგის საპატიო მდგომარეობა და სახელი ძილს და მოსვენებას არ აძლევს.

რამდენადაც მოსახერხებელია, ცდილობს ამხანაგს ავნოს! მეღურ პროპოზანდას ეწევა მის წინააღმდეგ ჩუმად, ფარულად თვის თანამოაზრეებთან და სხვებთანაც.

ვსთქვათ, პეტრემ მაინც გაიმარჯვა (ჩვე-

ნი ვაჟბატონი, რასაკვირველია, შავს ჩაუგდებს!) ეს სიკვდილია ჩვენი გმირისათვის! მოფუყული, თვალემ-ჩაღურჯებული დაიარება, თითქოს რამოდენიმე წლით მობერებულაო! ვინ არ იცის, რომ შური ხორცის გამხრწნელიც არის!.

მაგრამ მის სიხარულს საზღვარი არა აქვს, თუ პეტრე დამარცხდა! ის თითქმის ყმაწვილდება, მზათ არის დღეს ყველას შეურვიდეს, ყველა შეიყვაროს, ყველა გადაჰკოცნოს. უხვიცაა, მოწყალეც, ოხუნჯიც, გონიერ-სულგრძელიც!

პირველ ყოვლისა ის მართავს ნადიმს: იწვევს პეტრეს და პარტიის ყველა წევრს, რათა ამით გამოუცხადოს ამხანაგს თვისი პატივისცემა—თანაგრძნობა, სიყვარული და ვითომც გამოარკვიოს დამარცხების მიზეზები. ამ წვეულებაზე თითონ მასპინძელი დაუსრულებლად მქვერმეტყველობას, ქებათა-ქებას უხვად აზნევს, ხვევნა-კოცნას არავისთვის იშურებს, მომეტებულად პეტრესთვის?! პეტრე დღეს მას უყვარს, ყველას ურჩევნია, დღეს მისთვის თავსაც განსწირავს. რომ ვინმემ დღეს პეტრე შეურაცხყოს, ან აგინოს, მგონი, დუელშიაც გამოითხოვოს!! იშვიათად ვინმე იქ მყოფი მიხვდება, რომ ეს გრძნობა მყრალ ნიდაგზეა დროებით აღმოცენებული... თავისებურია ჩვენი გმირი, როგორც ქველმომქმედი. გადაათვალიერეთ ყველა საზოგადო დაწესებულებათა სიები: ვერსად მის გვარს ვერ ამოიკითხავთ, რადგანაც მას არ აინტერესებს არც ერთი საზოგადო საქმე, არც ერთი დაწესებულება, არც ერთი დარგი მეცნიერებისა. აბა როგორ გამოიმეტებს ამისათვის ფულს?!

„ბატონებო, ვის ჩაუგდია ხელში ჩვენი საზოგადო საქმე, ვინ არიან მეთაურნი?!“—ირონიით ამბობს ხოლმე. ამავე

დროს, თუ რომელიმე მანდილოსანმა, რომელიც ან მდგრძარეობით ან სილამაზით გავლენიანია, სთხოვა ხელი მოაწეროს შესაწვევარ სიაზე, თავს მოიქანალებს და უხვად შესწირავს. ამასთან სრულებით ყურადღებას არ აქცევს, ვისთვის ან რისთვის დაიხარჯება ეს ფული.

ოფიციალურად რომელიმე კულტურულ დაწესებულების სასარგებლოდ გამართულ საღამოზე ჩვენი გმირი, რასაკვირველია, წავა პრესტიჟისათვის. მაგრამ ამავე დროს, და უფრო სიამოვნებით, მიეშურება ისეთს საღამოზედაც, რომელსაც ქართველობა ფითქმის ან ესწრობა. მომეტებულად ხელ-გაშლილია ჩვენი გმირი ჩვენებურ ტირილში, ქორწილში და ნათელაში. ამით სურსხალხი აალაპარაკოს, სა-

ხელი გაითქვას და მერე თითონაც ისარგებლოს. ერთი სიტყვით, ყველაფერში გონიერი, შორს გამჭკრეტი ადამიანია?! ლალად, თამამად სცხოვრობენ ჩვენში ასეთი ვაჟბატონები! ბევრის ნდობა-პატივიცემა დაუმსახურებიათ, ბევრს კარგ კაცებად, შეგნებულ-საიმედო ქართველებად მიაჩნიათ! ამაშია განსაკუთრებული მანებლობა ასეთის სახის გმირებისა! არავის პიროვნება — საქციელი არ ხრწნის საზოგადო ცხოვრებას ისე, როგორც ასეთი ფლიდი, ორპირი და მელა ადამიანების!

ისინი ემზგავსებიან თვალთ უხილავ, მაგრამ ჯანსალი სიცოცხლის მომპოვებ, შხამიან ბაცილებს...

იპ. ვართაგავა:

მოწაფეთა განკაფულება

3როგორღა მოსსომ ქალ. ტურინში (საფრანგეთშია) დასწერა მეტად საყურადღებო წიგნი გონების და სხეულის განკაფულების შესახებ. მან გამოიკვლია როგორც განკაფულების ძალა, ისე მისი სხვა და სხვა სახე. განკაფულება ემართებათ ზედ-მეტის მუშაობით ადამიანის ტვინს და კუთებს. ყოველივე გონებითი მუშაობა გამოიწვევს სისხლის რადიონობის გამრავლებას. თავის ტვინის სახეგარ ბურთებში და იმის რადიონობის შემცირებას სხეულის სხვა ნაწილებში. სისხლის მეოხებით ადიფრიან ტვინის ნერვების უჯრულები, რაიც გამოიწვევს მათის მოქმედების გაძლიერებას... უკეთეს ეს გაძლიერება ზედ-მეტია, ზომას გადაჭარბებულია, მაშინ ტვინის მოქმედება უძლიერდება და მისი უჯრულების ზრდა-განვითარება შეჩერდება. ამას თან

მოჭვეება სხვა და სხვა სულიერნი და სორციელნი სხეულებანი... სხეული ცუდად იკვებება, კანს შერთალი ფერი ედება, კუთები სუსტდება; — სინარუდი ისპობა, ვითარდება უხალისობა, გონებას ეტუობა მოდუნება, ბავშვები გონება-დაფანტულნი ხდებიან, აქვთ ძილისადმი მიდრეკილება; ადარ თამაშობენ, მადა ცუდი აქვსთ; არც კარგად სძინაფთ; ცხვირიდამ ხშირად სდით სისხლი, თავი სტკივათ და მოსდით გულის ფრიალი. რაც უფრო ახალგაზრდაა სხეული, მით უფრო საშიშია ასეთი მდგომარეობა. მოსსო ამტკიცებს, რომ ზედმეტი დაქანცულობის ჟამს ტვინის სისხლში სჩნდება მეტათ თხელი მხამი, რომელიც გამოიწვევს სიცხეს სხეულში და კუთებში ცვლილებას... თავის ტკივილი და ნერვების შესუსტება — თავის ტვინის და კუ-

თების იმ განკათულებას შეეცა, რომლის მექებით ხსენებული მხამი სწნდება. ის ამტკიცებს, რომ ჩვენის დროის ნერვების სისუსტე რამდენადმე აისხება იმ გარემოებით, რომ თანამედროვე ცხოვრებას მრავალმხრივობამ გამოიწვია ტვინის მუშაობის გაძლიერება. **შემეცნებითი შეგრძნება** (СОЗНАТЕЛЬНОЕ ОЩУЩЕНИЕ) და წარმოდგენა, შესწორება და მსჯელობის ძალა დამუარებულია. მისთან აზრით, ტვინის განსახდგურულს მოქმედებებზე, რომელნიც განკათულების სრულად გაფრენის ქვეშ იმყოფებიან. ჩვენი შეგნებული ცხოვრების უფალი ტტინიზი, — და ამის გამო მის დასვენებას და დადღას უნდა მიექცეს ჭროფანი უურადღება, დამუარებული უტყუარს მეტნიერულს საფუღლებზე.

მოწაფეთა განკათულების (მეტის მეტად დადღილობის) საკითხი ფრად დიდმნიშვნელოვანია საკითხია... მას ჩვენს სკოლებში ნაკლები უურადღება აქვს მიქცეული... მშობლებს ხომ ან სულ არ აქვს იმის შესახებ წარმოდგენა და, თუ აქვს წარმოდგენა, ისიც ცხოვრებით, მერთადი... **მოსხობ** აზრით ტვინის და ნერვების დადღა უნდა მიექცეოდეს. ჩვენს სრულს უურადღებას, რადგან მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება მათზეა დამოკიდებული და მათი მოშლა, მათის მუშაობის მოდუნება — სატირალს მომავალს უქადის მთელს ჩვენს სოფლად არსებობას... დაქანტულობა, რასაც ძველად ქართულები განკათულებას ეძახდნენ, დამოკიდებულია სამუშაო ძალის დახარჯვაზე ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით სხუელში მოხმარებულ და უსარგებლო ნივთთ მხამის სახით შეგროვებაზე. ამ ნივთებს ერთის მხრით სხობს სისხლის მუდამ მიქცევი ნაკადი, — ხოლო მეორე მხრით მათს მაკივრებას იტყურს სხუელში ის ნივთიერება. რომელსაც შევიავისებთ ჭამასმის საშუალებით. თუ რომ სხუელი ბეგრს ხარჯავს

და ცოტას იღებს, — თუ რომ გასავალი შემოსავალს არ უთანასწორდება; მამის ისხობა სხუელის ძალთა თანასწორობა (РАВНОВЕСИЕ). ამის მექებით დამიანი ხეირიანად ვეადრ მუშაობს, საქმეს აკეთებს უხალისოდ და ვერც იმდენს შრომობს, რამდენსაც დადღილობამდის შრომობდა... უბრალო დადღილობა ისე საშიში არაა, როგორც დაქანტვა-განკათულება... აქედამ ცხადია, რომ დონით სუსტებში იმაზე მეტი არ უნდა იშრომონ, რაც მათ არ შეუძლიათ. განკათულებას ეძახიან იმ მდგომარეობას, რომელიც გამოიწვია ძალზე გადამეტებულია მუშაობამ და რომელმაც წარმოშობა განსახდგურული ავთიმყოფებრივი მოვლენა... ჩვენი უურადღება ამ წყრილში უნდა მივაქციოთ გონებით მუშაობას. თქმს არ უნდა, რომ განკათულებას გამოიწვევს ბავშვების ადრე მინარება სკოლასში სასკოლო ასაკის მოხვლამდის (7 — 8 წ.) და მეტად ვრცელი სასწავლო პროგრამები, სწავლების ცუდი მეთოდები, დასასწავლ გვეთილთა სიმრავლე, გავუთილების ხანგრძლივობა და სხვ...

ჩვენს სკოლას მიზნად აქვს დასახელო ბავშვი ყოვლის მცოდნე გამოიყვანოს. რ მას ზოგს ისეთს ცოდნას აძლევენ, რომელსაც მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, — და ამას გარდა ცოდნათა სიმრავლე მძიმე ტვირთად აწკება მის მუხსიერებას... ვის უნახავს „მჭიბლავი“ მოწაფე, რომელიც მეუცნებლად ზეზირობს ამ თუ იმ საგანს (კათხიზმის მუხლებს ისტორიის დროს მახეუბელს, გრმატიკის განთებს და სხვ)... ის მეტს ძაღას, ატანს მუხსიერებას, — ჭკუა-გონება ასეთს მუშაობაში მხურავლე მონაწილეობას არ იღებს, არ შედის შეთვისებული ცოდნის განხილვას და აწონ-დაწონაში, არ ხდის მათ თვის უუთვნილება... ამით აისხება ის გარემოება, რომ ჩვენს ცხოვრებას ამშვენებს მრავალი დიზლომით დაჭიდლოებული გვამი, რომელიც ცოდნა

მსოფლივ მესხიერებასა და მათი
 ჭკუა-გონების კეთილდებობას კი არ შეადგენს...
 ნუ გვიკვირს ამის შემდეგ, თუ მათს არსე-
 ბობას ჩვენს ცხოვრებისთვის საგრძობად სარ-
 გებლობა არ მიაქვს და ისინი უმნიშვნელად
 არიან ჩვენის საზოგადოებისთვის... სწავლამ
 უნდა განავითაროს **ჭკუის ნიჭი და ძალ-
 ნი საერთოდ**, თანასწორად სწავლების ცუდ
 სისტემა შეტად მაკნებელია ბავშვებისთვის,
 რომელთაც ესობათ მისის შეესებოთ. **ძალთა
 თანასწორობა**. სიმათლე შითხობეს,
 რომ ბავშვთა განკათულების მიზნები სკო-
 ლის გარეშეც ვიძიოთ ცუდი ბინები, ცუდი
 ჭკერი, შეუყურებელი და არა სავსა ჭამა-სმა,
 გვიან დაწოლა დასაძინებლად, ჩქარი ზრდა,
 სხვა და სხვა სწულებანი, სქესებრივი გატა-
 ცების, შემკვიდრობით შიშობული სულიერი
 და სოციალური ნაკლებობებიანი ის ნიადაგი,
 რომელზედაც აღმოსცენდება სკოლის გარე-
 შეც ბავშვთა განკათულება. ზოგჯერ ზედმე-
 ტი ჭამა-სმაც გამოიწვევს განკათულებას. პრე-
 ფერსარი კლასიკონი თავის მშენიერს წიგნ-
 ში: („Гигиена ума“) ამბობს შემდეგს: სა-
 ზოგადოდ ჩვენ მეტის მეტად ბევრს ვსწავთ.
 როგორც იგლისელები, ისე ამერიკელები სწა-
 მენ შეტად ბევრს ხორცსა. როდესაც შე-
 ვსედავ, რომ 16—17 წლის ჭაბუკი ძლიერ
 ბევრს ხორცს სწამს, უნებლიედ იბადება იჭვი
 იმის შესახებ, სასარგებლოა თუ არა მის-
 თვის ამდენი ხორცის ჭამა. არ უნდა დავი-
 ვიწყოთ, რომ უფლებივე საჭმელი, რომელსაც
 ხადის გუჭსა და საჭმლის მომწელებელ ორ-
 განობში ზომასე გადამეტებულად გამოიწვევს
 ქიმიურ პროცესების რთულს წყობას, რომელ-
 ნიც მახარალებელნი არიან საცხოვრებისა ძა-
 ლებისათვის. გადაუხარშავი ან სასეგრად-გადა-
 ხარშული საჭმელი გამოიწვევს სისხლში შხა-
 მის განენას, რომლითაც იწამლება ნერვების
 ნივთიულებაც. მეტად გაძლიერს გამოიწვევს
 ტვინის უმადლესი მოქმედების არსებითს მო-

დუნებას. არაგის არ შეუძლია ახროვნობა მა-
 შინ, როდესაც ამისთვის საჭირო ძალები
 ინარჩუნება საჭმლის მომწელებელი ორგანოების
 გადამეტებულს მუშაობასე, და ან როდესაც
 ტვინი მოწამლულია იმ შხამით, რომელიც
 გამოიწვია საჭმლის ნივთების მოუხარშაობამ
 ანუ ნახევრად მოხარშვამ. ეს გარემოება წარ-
 მოშობს ზოგიერთი ადამიანების ნერვების
 მოშლასაც. იგივე გარემოება ჩვეს შეუწ-
 ყობს სქესებრივი ადრედს ნადრევს განვითარ-
 კებას, რაც ესდენ საშიშია უფლის შიხითა.
 ხან და ხან იგივე გარემოება გაუჩენს ახალ-
 გაზღებს უღრავო დრას ქარების და ნეკრეს-
 ქარების ავადმყოფობას, რომელიც ძირს უთხ-
 რის სამოღვაჭოდ მათს კეთილდებობას. გუჭი
 კმევეა მეტის მადით საჭმლის მიღებას, ვინემ
 ამას თხოულობენ სხეული და ჭკუა, რის მეო-
 ხებით ადამიანი უღრავოდ სწეულდება. შე-
 ვფიქრობ, განგრძობს კლასიკონი, რომ ახალ
 თაობისთვის უფრო სასარგებლო იქნება
 საჭმელი, შემდგარი უმეტესად რძისა, მწვა-
 ნილისა, ხილისა, შაქრისაგან და საზო-
 გადოდ უფრო გამოჰადეგია მეტი არა
 ხორციული, მცენარეული საჭმელი, —
 ხორცი კი, რაც ნაკლები იქნება, ისა
 სჯობია. იამონელები გვასწავლიან ჩვენ, რომ
 შეიძლება მუშაობა და ბრძოლა ისეთი საჭმე-
 ლის მიღებითაც, (უხორცოდ) რომელსაც ჩვენ
 არც კი ვიკადრებდით შე ვფიქრობ, რომ მა-
 თი სისტემა გავრცელდება ჩვენზე და ქებასაც
 დაიმსახურებს... რაც შეესება ალკოგოლს,
 თუთუნს, ჩაის და ყავას, რომელნიც არიან
 ნერვების მოწამლავი შხამი, საჭიროა, რომ
 მათი ხმარების უამს ახალგაზრდა ფრანგი-
 ლად იყოს. ძლიერ კარგი იქნება, თუ ახალ-
 გაზრდა ვაჟები და, განსაკუთრებით ახალ-
 გაზრდა ქალები, სრულიად უარმყო-
 ფენ ამ შხამებს, უფრო კი ალკოგოლს,
 რადგან იმ მეტის მეტად ადრედს ტვი-

ნის უჯრედებს და კი არ ასაზრდოებს მათ.

ზოგჯერ განკათულებას გამოიწვევს მუსიკა, ენების შესწავლა, ხატვა, კონცერტები, თეატრი, სისუელის ზედ-მეტი დალაგვა, რომლის შემდეგ მარდში სწნდება ცილი, რაც თირკმელების დასუსტების ნიშანია მთა უმეტესად უნდა ვერიდებოდეთ ბავშვების დალაგვას, რომ მათი უმრავლესობა დამძიმებულია შემკვიდრებით გარდმოცემული სხვა და სხვა ნაკლებეფანებით იმ ზომამდის, რომ შეუძლია თითოეულმა მათგანმა სოქვას შემდეგი ღრმა აზროვანი სიტუებები თავისთავზე: „უხჯულოებათა შინა მიუღვა და ცოდვათა შინა მშვა მე ღელამან ჩემმან“. მხოლოდ მარტოადენ გონიერულს ადზრდას, ფიზიკურს განვითარებაზე უურადლების მიქცევასთან შეერთებულს, შეუძლია შეასრუტოს შემკვიდრებობითნი ნაკლებეფანებანი და მათ მიერ დამძიმებული ბავშვი გამოიფანოს სუფით და სხუელით სადი მშობელთა სანუგეშოდ და მოძიე ერის სასარგებლოდ.

არ შეიძლება გვერდო ავუქციოთ მუსიკის სწავლების საქმესაც. მუსიკა, რომლის შესწავლას თავმომწონე დედები ძლიერ ადრე აწეებისებენ თავისს ასულებს, თხოულაბს სხვა სასწავლო საგნებზე უფრო მეტს ნერვების შეშობას და წარმადგენს მეტად ძნელს გონებობს საშუალებას. ძლიერ მავნებელია, თე ქაღს ნიჭი არ შესწევს და თავმთვეარე მშობლებს კი სურთ ძალის-ძალად მუსიკა შესწავლან, თუნდ, მაგალითად, ფორტეპიანო. ქაღს ამ შემთხვევაში სხუელი უსუსტდება, ძარღვები ეშლება, გონება-დაფანტულია მონდის, მთუსუნარნ ხდება, სიკაზასე უძლიერდება და სხვა... მუსიკის სწავლება შეიძლება მაშინ, როდესაც ბავშვების სხუელი გამაგრდება.

მეტად ღლის ზატარა ბავშვებს უაზრო, შეუგნებელი, თუთიუშერი ზეპირობა უც-

ხო ენებისა, რაც ასე მოსწონთ მუნჯური მეთოდის მოტრფიადლებს და ბერს ქართველს მშობელსაც.

შვიდს წელზე ადრე ბავშვის სწავლების დაწყება მავნებელია: შვიდი წლის გათავებისას დამთავრდება თავის ტვინის ზრდა, და ამის შემდეგ ტვინს ცოტადა ემატება... სწავლების მეთოდები უნდა იყოს ბუნებრივი, ცხადი და წესიერი. ზროფეს კლასიკონის სიტუებით, სასკოლო ასაკს დიდი სისწრაფა მოელის, უკეთუ მოწაფეებს ტვინს მეტისმეტად უძიმებენ სასტიკი და გულქვა მასწავლებლები, რომელნიც არა იშვიათად მოქმედებენ ზირადი თავმთვარეობისოფის და სასკოლო მთავრობის სასიამოვნებლად... როდესაც უფელ-დღიური სამუშაოც ერთი და იგივე საგანი აქვს სახეში და სწავლის შესაძენდაც საჭიროა მეტად ხანგრძლივი უურადლება, თუ ამასთანავე მოწაფე მოკლებულია დასვენებისას და მოძრაობის წმინდა ჭერზე საცხოვრებისა ძალების და კუთების მუშაობის აღსაძვრელად, მაშინ მოსალოდნელია განკათულების ცუდი შედეგები. თუ წესი და სისტემა რიგისი არაა სწავლების დროს, ეს გარემოება უფრო აძლიერებს განკათულების მიშას...

სასკოლო ექიმი მუდამ უნდა თხოულაბდეს, რომ უმცროსს კლასებში მასწავლებლები ბავშვებს მსჯელობის და დაკვირვების ნიჭს უფითარებდნენ, და არ ჭქონდენს მიქცეული უურადლება მხოლოდ მენხიერებას... იმაზე მომავდინებელი არა არის რა, როდესაც შესასწავლს მასწავლან უაზროდ სწავლობენ ზეპირად, — როგორც, საშუალოდ, ამას ახლაც თხოულაბენ მასწავლებლები. განსაკუთრებით, სადმითო სკულისა და ისეთი საგნებისა, — რომლის შესაფთისებლად მუსიერება საჭიროა...

ზატარა ბავშვებს არ შეუძლიათ მთელი საათი ისხდნენ კლასში სამაცადინოდ. სასურველია, რომ მათთვის საში ან ოთხი გავერ

თილი იქოს დღეში. გაკვეთილთა შორის თავისუფალი დრო მოწაფეებმა უნდა გაატარონ წმინდა ჰუარზე მოძრაობაში. ამ დროს კლასში ჯდომა და გაკვეთილთა სწავლა ჯანის სისადისათვის მეტად მავნებელია. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ ცხრილს, — რომელიც შეადგინა მეცნიერმა კეიმ. ეს ცხრილი ჯერ ხანად საუკეთესო მეცნიერულს ნიადაგზე დამყარებულად ითვლება და მიღებულია სხვა

ცხრილებზე უფრო დასავლეთს ევროპაში. ამ ცხრილის საშუალებით შეითხველი გაიგებს, თუ როგორ უნდა განწილდეს სამაცადინო დღე და ღამე მოწაფისთვის ისე, რომ მის ჯანის სისადეს არა ევნოს რა. ცხრილი შედგენილია მოწაფეთათვის ექვსი წლიდამ თერაპეუტს წლამდის. ამ ცხრილის თორმეტი მუხლი თითქმის ზეპირად უნდა იცოდეს თითოეულმა, ვისაც კი ძვირფასად მიიჩნია მოწაფის ჯანის სისადე.

კეის ცხრილი. (შემოკლებით).

წლოვანობა	რამდენს ხანს უნდა კიბინოს?	თამაშობის და თავისუფალ მსცადინ. დრო (გიმნასტიკის კარდი).	საკლასო და საშინაო საკვლ. მუშაობის დრო.	სკოლაში მსცადინობის დრო მთელს კვირაში გაკლებით და გიმნას.	ჯდომასთან შეერთებული მსცადინობის დრო მთელს კვირაში.	ჯდომასთან შეერთებული მსცადინობის დრო მთელს დღეს.	მარტო საშინაო სამუშაოს დრო მთელს დღეს	უფიქლ-დღიური სამუშაო დრო სკოლასა და სახლ. კეიმ. და კალ. კარ.	გიმნასტიკის დრო მთელს დღეს.	1885—1881 წ. შეესტ. კეიმ. ახრი საშ. სას. მთ. წ.	ქალთა უფ. კვირ. ჯდომას. შეერ. მთ. დრ. შეს.	საშინაო სამუშ. ქალთა იმავე კომისიის ჰუარით მთელს კვირაში.
7	11	6	2—3	12—18	12—15	2-2,30	—	2—3	0,20	16	—	—
8	11	5—6	3—4	15—21	12—18	2--3	0,30	3—4	0,20	18	—	—
9	11	5	4—5	18—24	14—20	2,30—3,30	1	4—5	0,30	22	—	—
10	10—11	3—4	6	29	24	4	1,10	6	0,30	24	3	3
11	10—11	3—4	6	29	24	4	1,10	6	0,30	24	4	4
12	10	3	7	32	27	4 ^{5/4} კვირაში საში დღეს	1,40	7	0,30	25	4	4
13	10	3	7	32	27	4 ^{5/4} კვირაში საში დღეს	1,40	7	0,30	26	5	5
14	9,30	2,30	8	35	30	5	2,10	8	0,30	26	5	5
15	9	2,30	8,30	35	30	5	2,40	8,30	0,30	26	6	6
16	9	2,30	8,30	35	30	5	2,40	8,30	0,30	27	6	6
17	8,30	2,30	9	35	30	5	3,10	9	0,30	—	—	—
18	8,30	2,30	9	35	30	5	3,10	9	0,30	—	—	—

სასკოლო ჰიგიენას არ შეუძლია მიაწოდოს ბევრი საშინაო საშუალება, რასაც მოწაფეს შინ მოსამზადებლად აძლევენ... მოწაფემ განსაკუთრებით დაბალს კლასში, გაკვეთილი კლასში უნდა დაისწავლოს, — ხოლო შინ კი გაიძიოს... წარსაკლები დღიანი მოწაფეებს, შათს ნერვებს ასურტებენ, და მათს განკათულების გამოიწვევენ გამოცდანი (ეგზამენები) რომელიც დროს მოწაფე საზოგადოებრივ კლასებში და ჯანდაცვის მხრით სურსტდება... თუ მათ წესიერად და დარბაისლურად აწარმოებენ ისეთს სასწავლებელში, სადაც მოწაფეთა და მასწავლებელთა შორის მამა-შვილური და მკვიდრებულებაა, მათი შედეგებია შესამჩნევად მტკიცდება. მოწაფეთა განკათულების თავიდაც სასამართლოდ საჭირონი არიან შემდეგი ზომები. ყოველის უზირველეს საჭიროა მუშაობა და დასვენება წესიერად სწარმოებდეს და კუთხის და გონების მუშაობა ერთმანერთთან შეფარდებით მიმდინარეობდეს. სწავლების მეთოდი, მაცადინებთა სასერდღებობა, შინ დასასწავლ გაკვეთილთა რაოდენობა — ყოველივე ეს უნდა შეფარდებულ იქნას მოწაფის ასაკსა და გონების ნიჭებთან. მეტად კარგია, თუ მოწაფეები არ იღებენ მონაწილეობას დიდთა კმაყოფილებებში და ერთობიან სპირტიან სასმელებს, თუაუნს და ცხარე სასმელებით შეზავებულს საჭმელს. უნდა მოერიდოს მოწაფე აგრეთვე შეუგნებულ ზეპირობას, რასაც შეუძლია ის ზირდაპირ გამოახეჩეტოს. ხელი უნდა შეეუწყოთ სხეულის ვარჯიშობებს, საბავშვო თამაშობებს და ჰიგიენურს მისწრაფებათა და აგრეთვე მივცეთ ბავშვებს სკანდალი დრო ძლიოსთვის, განსაკუთრებით შუადამუდის... როდესაც ბავშვი დადლია; იმისთვის მეტად საჭიროა სრული დასვენება და დროებით მუშაობის შეწყვეტა. (პრ. კლასტონი)... დროს და ფულებს სწირვენ იმ მოწაფე ქალთათვის მისთვის სწავლებისა-

თვის, რომელიც სრულიად არ აქვთ მსმენელობა, და აგრეთვე იმ მოწაფეთათვის კლასიკურს ენების სწავლებისათვის, რომელიც არ გააჩნიათ კლასიკური ცნობა. ეს დრო და ეს ფულები რომ მოახმარონ ფიზიოლოგიის და ჰიგიენის სწავლებას მეტად კარგი იქნებოდა. ამ საგნებს, უკეთეს მათ ასწავლიან წესიერად, შეუძლიათ ადრინათ თვისდამი ინტერესი და მისცენ მოწაფეებს საქმიანობით სასერდღებობა (კლასტონი). გიმნასტიკას გაკვეთილი შორის არ აქვს დამამშვიდებელი და დასვენების მომცემა მნიშვნელობა გონებით მუშაობით დადლილს მოწაფეს ის უფრო დღის... გიმნასტიკური ვარჯიშობანი უნდა დანიშნულ იქნას გაკვეთილთაგან თავისუფალს დროს იმ სახით და იმ წესით, რომელიც შესაბამისი ხევის წინა წერილში გვეჩვენა საუბარი... დღიურ მანქანებზე ბავშვების დატოვება გაკვეთილებს გათავის შეშლელ „უსადღოდ“ და დაჭოქება, რადგან ამით მოწაფეებს დღიან და მათ თავისუფალს დროს არამევენ... მოწაფეებს დღიან საგნების შესწავლა კი არა, არამედ ის მეთოდები და ის სისტემა, რომელიც მეთოდებით მათ ცოდნას გადასცემენ. ექიმის შვილო მონარდი ამბობს შემდეგს: არ უნდა ვითქვითო, — რომ ჩვენი შვილები გამოვლენ განათლებული და სასარგებლო მოღვაწენი, უკეთეს მათს ჭკუას ძლიოს-ძლიად გავსტენიოთ ცოდნით; ამის მეთოდებით მივცემთ სამშობლოს ნერვებს დასურტებულს, არაფერში გამოხადებს ყოველის მტკიცებებს... შესალოდ იმ ტვირისგან უნდა ველოდეთ ჭეშმარიტს ცოდნას და გონივრულს მოქმედებას, რომელიც არაა დამძიმებულ-დატვირთული. შეგნაში ორი ჯგუროს გიმნასტიკები დაასრეს: ერთში მთელის კვირის განმავლობაში მაცადინებდენ; ოცს საათს, ხოლო მეორეში — ოც-და-ათსა. აღმოჩნდა, რომ ზირველი გიმნასტიკის მოწაფეებს უფრო

ბეჭდი და უკეთესი ცოდნა შეიძინეს, სხანამ შეიკრე გიმნაზიისაში... ზირკელი გიმნაზიის მოწაფეები გაკვეთილათა სიმრავლათ არ იღლებოდნენ და უფრო ხალისით მადიდებდნენ.

სადიდის შემდეგ გაკვეთილებიც შეტად მუშაობდნენ ჯანის სისადისთვის... მათი არსებობა ჭიკტიანურს მოსაზრებთა გამო შესაწერებელი არაა...

ბოლო დროს ვრცელდება ერთი შეცნობილება, რომელსაც სახელად ექსპერიმენტალური (ცდაზე დამყარებული) პედაგოგიკა ეწოდება, რომლის მოთხოვნებთა შესრულებას შეუძლია ძირითადი ცვლილება შეიტანოს სწავლა-აღზრდის საქმეში... მოსდობენ, რომ ამ შეცნობების შექმნა მეოხებით სწავლა-აღზრდის საქმე ბუნებრივს ნიადაგზე დამყარდება, — და მოზარდი თაობაც ისე შეითავისებს სწავლა-ცოდნას, რომ ანტ მისს გონებას

და არც მის სხეულის ჯანმრთელობას ევნება რამე... წინსვლა. პროგრესი — ნელას ნაბიჯით მიდის... ბეჭდი დრო გადის, სხანამ რომელიმე ახალი აზრი გზას გაიკაფავდეს და სრულ უფლებების მოქალაქეობას მოიპოვებდეს განობრობის საკეთილდღეოდ. რამდენი დამყარებულია, უკნურა სხსარი სწავლა-აღზრდისა სად ჰედაგოგიურ შეხედულებათა გამოცდების მეოხებით ჩაბარდა სიძველეთ — სცდას. ბეჭდი რამ, რაც დღეს მოსწონი არაა სწავლა-აღზრდის საქმეში, მომავალში სიძველეთ სცდას ჩაბარდება, და ახალთაობის მიერ ცოდნის შეძენის საქმე სადი ბუნებრივი გზით იწეებს მსვლელობას.

ილ. ფერაძე.

ლიტერატურა: ა) ბურგერშტეინი და ნუტოლიცვი; ბ) კლასტინი; გ) ჰლატინი და მრავალი სხვ...

ა. დ ა უ გ ე სამხიარულო სწავლა

„ერთი არ უნდა გვაფიწყდებოდეს: ბავშვები — მხიარული ხალხია. ისინი ჯერ კიდევ სამოთხეში, ოქროს საუკუნეში ცხოვრობენ... იმათ ძლიერ მოსწონთ, ან ძლიერ შეიყვარებენ ყველაზე უფრო იმას, რაც სამხიარულოა. ყველაფერს, რასაც კი ბავშვებს აწვდიან, იმ აზრით მიაწოდებენ, რომ ბავშვებმა იგი შეიყვაროს... ყველაზე უკეთესი ის სკოლა არის, სადაც სერიოზულ საზოგადო მუშაობის დროსაც კი, ბევრს იციანიან... ვისთვისაც ბუნებას ხუმრობის ნიჭი არ მიუღია და ვისაც სულით და გულით გულწრფელად

მხიარულობა არ შეუძლია, იმას უფლება არ აქვს მასწავლებლობისა“.

ეს ლინტვარკის სიტყვები, წარმოთქმული მის მიერ ერთს სახალხო ლექციებზე, ხშირად მომავონდება ხოლმე, როცა ვხედავ მასწავლებელს, რომლის სახეზე ამოჭრილია შედიდურობის, სერიოზობის და სიმკაცრის ბეჭედი, რაც მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია მასწავლებლობაში. მას ავიწყდება, რომ ბავშვები — „მხიარული ხალხია“. ბავშვებთან ყველაზე მეტს გააკეთებს და ყველაზე უკეთესად განუფითარებს ბავშვს სულიერს და

ლას ის პედაგოგი, რომელიც, ერთის შეხედვით, თვითონვე ბავშვია, ამ სიტყვის სხვაგვარ მნიშვნელობით და შეუძლია გულწრფელად მონაწილეობა მიიღოს ბავშვის სიამოვნებაში.

მე დავეკვირვებივარ, როცა მოზრდილები ბავშვებს ზღაპრებს უკითხავენ. ზოგი ასრულებს ამას, როგორც მოვალეობას, სრულიად უხალისოდ და ყვრძნობლად. ზოგი უფრო ხალისიანად ჰკითხულობს, როცა შეჰყურებს ბავშვების მომღიმარ სახეებს, თუმცა ზღაპარი თავისთავად მკითხველს არაფერს აძლევს. ზოგს კი—უკანასკნელი ძლიერ მცირეა, — ზღაპრები ბავშვებზე ნაკლებად არ იზიდავს და მათი კითხვაც დიდათ სასიამოვნოა, მეტის-მეტად მიმზიდველია და მომხიბლავი. ამ შემთხვევაში, მართლაც სასიამოვნო, მეგობრული და მასთან ძლიერ ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს. აქ მუშაობენ ერთად მეგობარ-ამხანაგები, ხიბლავენ ერთმანეთს თავისი აზრებით, გრძნობებით და გუნებით. მაგრამ მასწავლებლებში, აღმზრდელებში და მშობლებში ცოტანი არიან ისეთნი, რომელთაც შეენარჩუნებინოსთ ბავშვური სული და მასთან განათლება, სწავლა და ცხოვრების მაღალი დანიშნულება ხელს არ უშლიდესთ ბავშვებთან მეგობრობა-ამხანაგობაში, რადგან ბავშვის ბუნება მათთვის ცნობილია და ძვირფასი!

ბავშვებისადმი სიყვარული—ეს კიდევ ცოტაა. თავისებურად ბავშვები ბევრს და თითქმის ყველას უყვარს. მაგრამ გულკეთილი მასწავლებელი, რომელიც ზერეულე უყურებს მოწაფეთა სიცელქეს და მცირე დანაშაულობას, კეთილი პაპა ან დიდდა, რომლებიც ხშირად დაუყვავებენ და ეალერსებიან ბავშვებს, ან მამეგო, რომელთაც თავისუფალ დროს უყ-

ვართ ბავშვების შექცევა და მათთან თამაშობა,—ყველა ესენი ყოველთვის არ არიან ბავშვების მეგობრები. ისინი ბავშვებს ბევრს რასმე შესძენენ, მაგრამ ნამდვილი თვალსაჩინო მნიშვნელობა ბავშვების სულიერ სიცოცხლის განვითარებაში იმას კი არ აქვს, ვინც ბავშვებთან მეტად მკრძნობიარეა და გულკეთილი, არამედ იმას ვინც მათი ნამდვილი მეგობარია, ვინც ღრმა პოეტურის შეგნებით თანაუგრძნობს მათს სიცოცხლეს, ვისთვისაც ბავშვებთან ყოფნა იმდენად საინტერესოა, რამდენადაც მოზრდილებთან, ვისაც ბავშვების საზოგადოება და მათთან მეგობრობა იმდენს აძლევს და მეტსაც, ვიდრე მოზრდილთა და მათთან მეგობრობა.

ერთის მხრით მასწავლებელმა მოწაფეებთან თანასწორობა უნდა დაიჭიროს. სასწავლო საგანი მასწავლებელს უფრო მეტად უნდა აინტერესებდეს, ვიდრე ბავშვებს. მან ისე უნდა მოაგვაროს სამუშაო, რომ ყოველს გაკვეთილზე თვითონვე აღმოაჩინოს ახალი რამ, გაიგოს ისეთი რამე, რაც წინად არ იცოდა, ან იმ სახით არ უნახავს. მაშინ მასაც და ბავშვებსაც სამუშაო სახალისოთ მოეჩვენებათ.

„მივდივარ გაკვეთილებზე, თითქოს მივმგზავრები სადღაც ძლიერის სურვილით აღმოვაჩინო რომელიმე უცნობი მხარე, — ამბობს ერთი ცნობილი თანამედროვე პედაგოგი,— მე ვიცი მხოლოდ საერთოდ რა უნდა ვილაპარაკო გაკვეთილზე. მაგრამ ბავშვებთან საუბრის დროს ყოველთვის თავს იჩენს ისეთი საკითხები და ამოცანები, რომელზედაც გაკვეთილებამდის არ მიფიქრნია და აი ამ ამოცანებს ჩვენ ერთად ვარკვევთ, ვიძიებთ საშუალებას და გზებს მის გადასაწყვეტად. მე ყოველთვის მიხარობ, როცა გადაწყვეტა-

რისამე არ შეადგინებდა და საჭიროა ტენიის ამოძრავება. რამდენადაც ძლიერი ფიქრი და თავის მტკრევა მჭირდება, იმდენად ბავშვები უფრო მეტის ხალისით იღებენ მონაწილეობას სამუშაოში. როცა ჩემთვის ყველაფერი ცხადია და არაფერი საეჭვო არ არის, მაშინ ბავშვებთან საუბარიც მოსაწყენია; მე ვუხსნი, ვუმტკიცებ რასმე ბავშვებს, მაგრამ შეერთებულს შრომაზე აქ ლაპარაკი მეტია. ეს კი სრულიად უსიამოვნოა“.

აი რას გვიამბობს თავის „სამხიარულო გაკვეთილებზე“ ცნობილი ბრემენის პედაგოგი შარელმანი.

„ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ მიხატრიან, რომ ცუდათ ვხატავ და არ ვარ ისე გავარჯიშებული ხატვაში, როგორც სპეციალისტი; ხატვის მასწავლებელი ამის გამო რომლისამე მოთხრობის ან აწერილობის დასურათება რომ მომიხდება დაფაზე, მარტო კი არ ვხატავ, არამედ ყოველთვის მთელი კლასის მონაწილეობით. მიკარნახებენ, იწუნებენ, მთხოვენ გადავაკეთო და როცა კარგად გამოვა, მთელ კლასს უხარიათ, სიამოვნებენ. ეს მეტად სასიამოვნოა. მაგრამ ეს ფრიად საჭიროც არის: მე რომ ბავშვებისათვის მზა-მზარეული წუნ დაუდებელი სურათი მიმეცა, ისინი იტყოდნენ მხოლოდ: „აი, როგორ“ და მორჩებოდა! ეხლა კი მათი ტენი და წარმოდგენილება ინტესიურად მუშაობდნენ. ბავშვები ამ შემთხვევაში არა თუ მიიღებენ შთაბეჭდილებას, არამედ აღმოაჩენდნენ კიდევ, ჰქმნიდნენ თავიანთ შთაბეჭდილებას“.

იგი სუსტი მხატვარია, ტენიკა არ უვარგა, მაგრამ რადგანაც თვალს უჭრის, მდიდრული მხატვრული ფანტაზიაც აქვს და ყოველს ნივთს ცოცხლად ხედავს, ყველა არსებობს მხარეს აღნიშნავს, მისი

სურათიც მეტის-მეტად დამახასიათებელია და ბავშვებსაც ძლიერ მოსწონთ: თავისი მსხვილი და გულკეთილი მეპატრე, მედიდური მამლები, საშიშარი მგლები, ამპარტავანი მზეთუნახავები, რომელნიც არა თუ კარგს გუნებაზე აყენებენ ბავშვებს და ხშირად აუწერელ აღტაცებაშიაც მოჰყავთ ისინი, არამედ თვალებსაც აუხელებენ მათ გარშემოს დახასიათებაში. ტენიკის განუვითარებლობა მასწავლებელს ხელს ვერ შეუშლის მუშაობაში, ეს მას სრულიად ვერ დაალონებს, მასწავლებელი მუშაობს გულდასმით, ცდილობს, ეძიებს, ფიქრობს, სურათს ხშირად ასწორებს, ბავშვები კი თვალყურს ადევნებენ მის მუშაობას და შევლიან კრიტიკით და რჩევით („თვალები მოდილო გაუკეთე. კუდი მოგრძო, კბილები უფრო მწვეტიანი!“ და სხ.).

ამ სახით მასწავლებელი და მოწაფეები შეერთებულის ძალდონით მუშაობენ, ერთნაირის მონაწილეობით და ხალისით, დასრულებული სურათი კი, როგორც კოლექტიური შრომის შედეგი, ყველას მეტის მეტად ახარებს.

ეს მხიარული სამუშაო ისეთს გუნებაზედ აყენებს ბავშვებს, რომ ისინი მოუთმენლად ელიან შემდგეს გაკვეთილს, როცა ისინი ისევ შეერთებულის ძალდონით შეუდგებიან მუშაობას; იმის შეგნება კი, რომ მათს რჩევას და შენიშვნებსაც სერიოზულ მნიშვნელობას აძლევენ, ბავშვებს უფრო გამბედავად, გულის დამჯერედ ჰქმნიან და აღუძრავენ სურვილს საკუთარის ინიციატივის გამოჩენისას.

ამისთანა გაკვეთილები ცოტა არ მინახავს ბევრს ჩინებულად მოწყობილს სკოლებში. კლასში ყოველთვის გამეფებული იყო ფხიზელი გუნება, სიცილი, მხიარული ლაპარაკი. „კარგია როცა ბავშვები

ბევრს იცინიან, — მეუბნებოდა ერთი სკოლის მეთვალყურე — მხიარულობა, ეს ბავშვების ბუნების ძალაა. ბავშვები, რომელთაც არ შეუძლიათ გულდიანად სიცილი, — ცუდი, გაფუჭებული ბავშვებია. მხიარული ბავშვები — კეთილი ბავშვები არიან. იმათ რაიმე უმსგავსის და ცუდი საქციელის ჩადენა არ შეუძლიათ, ისინი ყოველთვის საიმედო და კარგი ამხანაგები არიან. იმათ არავითარი დარიგება არ უნდათ, მათთან ლაპარაკი სიმართლეს, პატიოსნობაზე, სიკეთეზე და სხვა ამისთანებზე სასაცილო იქნებოდა. საზოგადოთ ასეთი ზნეობრივი დარიგება საქიროც არ არის. ბავშვი უნდა წახალისო და აღუძრა მას გარშემო არსებულს ბუნებისადმი ინტერესი, მოხიბლო იგი სიკაცხლის და კაცთა სიყვარულით, მაშინ ყველაფერი კარგი იქნება. თუ ვისმე ვინმე უყვარს, მას არც თვითონ შეურაცხყოფს და არც სხვას მისცემს შეურაცხყოფის ნებას, ამ სახით იგი იქნება კეთილი, პატიოსანი, სამართლიანი. ბავშვები თავდაპირველად იმას შეიყვარებენ, რაც ახალია, სამხიარულო-სასიამოვნოა. ქეშმარიტი და წმინდა მხიარულება და სიამოვნება ეს — საუკეთესო საშუალებაა ბავშვის სულის გასაქვრეტად. ყველაზე უკეთესია მათი ენით ელაპარაკონ ბავშვებს; ისინი უკეთ გაიგებენ. და თუ კი მათი გული ათრთოლდა წმინდა და ნათელი სიამოვნებით, ყველაფერს შეიძლება. გიოტეს ტყუილად არ უთქვამს, რომ ასეთი მხიარულება დედაა და დასაბამი ყოველგვარ სათნოებისა“.

შემთხვევა მქონდა მენახა ისიც, თუ როგორ სასიამოვნოდ ჩატარა მასწავლებელმა საღმრთო (ჯულის) გაკვეთილიც, ამით კი არ შეუბღალავს სიწმიდე, პირიქით, გულში აღუძრა ბავშვებს ფრიად

კეთილი და უნაზესი გრძობანი. შინჯავდნენ დიურერის სურათს „Marienleben“-ს, ამასთან ყველა ბავშვს მქონდა წინ ამ გამოცემის თითო ცალი. საუბრის საგანი იყო — ბედნიერება წმიდა სახლობისა. მასწავლებელი და მოწაფენი ღრმად ჩაპკვირვებოდნენ სურათს, რომელზედაც იყო გამოხატული ეს მშვიდი და ბრწყინვალე ბედნიერება. შინჯავდნენ და მსჯელობდნენ თითოეულის წვრილმანძს შესახებაც კი, ამასთან თვითონ ბავშვებიც აღმოაჩინდნენ რასმე ახალს, კარგს, საყვარელს. მასწავლებელი ყველაფერზე, სახლობზე, ტყეზე, ადამიანზე, რაც კი სურათზე სჩანდა, ადგენდა მთელს მოთხრობებს. მაგრამ ყველაზე მეტად წმინდა სახლობაზე ესაუბრებოდა. საუბრის კილო დარიგებას არ შეიცავდა, ის ისეთი იყო, როგორც ლაპარაკობენ საყვარელ და ძვირფას ნაცნობებზე. ლაპარაკში ბევრი რამ სამხიარულო და სასაცილოც ერია. გაკვეთილის შემდეგ ერთმა პატარა ქალმა, თითქოს ვერავენ ხედავსო, სიყვარულისა და აღტაცების ნიშნად, მოწიწებით ემთხვია იოსებს, მარიამს და ყრმა იესოს.

ადილი წარმოსადგენია, რას იგრძობდნენ ბავშვები, როცა შემდეგში მათ უამბეს ამ სახლობის ტანჯვაზე, იმ სახლობის, რომელიც მათ ისე შეიყვარეს და ხშირი საუბრის შემდეგ შეიქმნა მათთვის ნაცნობი და ძვირფასი. დიდხანს გულიანად ისაუბრეს, შეუსისხლხორცდნენ, შეუთვისდნენ, შეიყვარეს. ამის შემდეგ შეეძლოთ შებრალებოდათ. პირველი ყოველთვის წინ უნდა უსწრობდეს მეორეს და მხოლოდ მაშინ სიბრალული და თანაგრძობაც გულწრფელია, ღრმად, მკვიდრად გაიდგამს ფესვებს ბავშვის სულის განცდაში. ეს თავისთავად გამოცხადდება, როგორც ალი ნაპერწკლიდან ისე აენ-

თება, როგორც ყვეელი თესლიდან ისე აღმოცენდება. თესლიც ეს არის, ნაპერწკალიც ეს სიყვარულია. სიბრალოუტის და თანაგრძობის აღორძინება და განვითარება შეიძლება მაშინ, როცა ინტერესი და სიყვარული საგნისადმი უკვე გავიძებულია. როცა ზოგი აღმზრდელები საქმეს იწყებენ არა უკანასკნელიდან, არამედ პირველიდან, ამით უწყისობას სჩადიან. იმათ კეთილ დარიგებას, ცდას, რომ ადრე განუღვიძონ ბავშვებს ჰუმანიტური გრძობანი, საუბრით თუ სერიოზული წიგნის კითხვით, ხშირად არავითარი შედეგი არ მოჰყვება. მათი სწავლა მიზანს ვერ აღწევს, მათი გავლენა სუსტია, სწრაფად ანთებული გულის ზრახვანი, სწრაფადვე ჰქრებიან. ეს ყველა იმის გამო, რომ არ აღმოცენებულა სულის პირად განცდაზე, არამედ მზა-მზარეულად მიუტანეს სხვისი გამონაცადი, როგორ ნაყოფი სხვისი გონებისა.

წინ მიდევს საკითხავი წიგნი, შედგენილი დაბალი კლასების მოწაფეთათვის; ეს წიგი შეიცავს მხოლოდ საუკეთესო მწერლების მშვენიერს სტატიებს, მოთხრობებს და ლექსებს. თითქმის თითოეული ეს მასალა თავის თავად შეიცავს მხატვრულს და ზნეობრივს ღირებულებას. ამ ქრესტომატიის შემადგენელს უწმინდესი და უმაღლესი განზრახვა აქვს— განუღვიძოს ბავშვებს კეთილი აზრები და გრძობანი, სიყვარული და სიბრალოული ღარიბთა, დამცირებულთა და შეურაცხყოფილთადმი; მართალიც არის წიგნის შემადგენელი, როცა გვეუბნება, რომ ყველა ეს კეთილი გრძობანი და მისწრაფებანი ვერ განვითარდებიან მშრალი განყენებული საზნეობრივო მასალის კითხვით, არამედ აღორძინდებიან და განვითარდებიან ცოცხალი და ნათელი შთა-

ბეჭდილების გავლენით, რასაც ბავშვის გულში ღრმად ექნება გადგმული ფესვები. ამ წიგნში ბევრია საუკეთესო მწერლების ძლიერი და წარმატცი მოზრდილი მოთხრობა. თუმცა ამ წიგნს ბევრი ღირსება აქვს, მაგრამ შემადგენელს მაინც შეცდომა ჩაუდენა, რომ ანგარიში არ გაუწევია ბავშვის ბუნებისათვის, მისი დეფარულ მიწრაუებათა, გემოვნებათა დი სულის თვისებათათვის. მას დავიწყებია, რომ „ბავშვები მხიარული ხალხია“. მას არ შეუძლია გასაგებად დაელოპარაკოს ბავშვებს. აი ზოგიერთი დამახასიათებელი სათაურა ამ წიგნის სტატიებისა: სნეული ბავშვი. მომაკვდავი დედა. დედის საფლავთან. მამა და სნეული ქალი შობის წინა დამეს. პაპის ავადმყოფობა და სიკვდილი. ობოლი-ჯამბაზი. შებრალება უბინაო ობლისა. გლეხის შვილები მხამთარში. ბავშვის საფლავი. ახალგაზდა ქვრივის მწუხარება. ობლის ცრემლები. პაპა და სნეული შვილის შვილი. ღარიბი მწირის სიმღერა. მეეტლის მწუხარება ცოლის სიკვდილის გამო. მგზავრი ქარიშხლიან დღეს მინდორში. ღარიბის შემოდგომა. ჯარის-კაცის გაცილება და სხ. ამ გვარი სტატიები შეადგენენ წიგნში უმრავლესობას. სამხიარულო, სასიამოვნო წიგნში თითქმის სრულიად არაფერია. ეს დიდი შეცდომაა, რაც უნდა აიხსნას სამწუხარო გაუგებრობით:

მე სრულიად ის არ მინდა ვსთქვა, რომ ასეთს სერიოზულს საგნებზე სრულიად არ უნდა ელოპარაკონ ბავშვებს. სიტყვა კაზმულ მწერლობიდან შეიძლება უჩვენოთ ბავშვებს სამწუხარო და საშიში სურათებაც, სიღარიბე, უსამართლობა, უდიერობა, სიკვდილი. მაგრამ თუ ბავშვებს ამგვარს მასალას ბევრს და ხშირად მივაწვდით, ვიდრე ისინი ამას ნახავდენ

ნამდვილს ცხოვრებაში, ამით შეგვიძლია დიდი ვნება მოვუტანოთ. ეს ან შესძენს ბავშვებს ძალად მონაბერ მეტის მეტს სერიოზობას, მედიდურობას, არა გულწრფელობას და არა ბუნებრიობას გრძობათა გამოთქმაში, ან დააყენებს მათ ცუდს გუნებაზე, აზრს და ფანტაზიას მისცემს სრულიად არა ბავშვურს, დასნეულებულს მიმართულებას, შეურყევს ბავშვს ნაზს და ფხიზელ მხიარულებას. მაგრამ, საბედნიეროდ ეს უკანასკნელი ხშირი მოვლენა არ არის, სისაღეს და მოცქრიალვ ბავშვის მხიარულებას მაინც თავისი გააქვს. და თუ ამ სახით ხან და ხან ბავშვებს არა ევენებათ რა, მეორე მხრით ასეთი წიგნები, წაკითხვის შემდეგ, მაინც ვერ სტოვებენ ბავშვების სულში ძლიერს და წაუშლელს კვალს, და ვერც ბავშვები შეიყვარებენ მას. ვერც იმას მიაღწევს აზღვრდელი, რასაც ეტრფის. კეთილი, ჰუმანიური გრძობანი, შებრალება, საღეთო შიში დიდებული საიდუმლოების სიკვდილის წინაშე, — ყველა ამას თავდაპირველად ცხოვრება წარმოშობს და ავითარებს, და არა წიგნი, თუნდ იგი გენიოს მწერლის მიერ იყოს დაწერილი.

მხოლოდ ის წიგნია ბავშვებისათვის საყვარელი და ძვირფასი, რომელიც ესაუბრება მათ მახლობელზე და ნაცნობზე, იზიდავს მათ, ალტაცებაში მოჰყავს, ახარებს სიცოცხლით და სიმშვენით.

„ბავშვებში მხიარული და ფხიზელი გუნების გაღვიძება ყველაფერია. მხიარული გული გადაშლილია ყოველ სიკეთის მისაღებად. მხიარულ და ფხიზელ გუნებაზე ბავშვები სულ სხვანაირად მუშაობენ, ვიდრე მოწყენილი და დაღვრემილი, მუშაობენ უფრო ნაყოფიერად, სწრაფად და წარმატებით. მხიარულება და სიამოვნება — გუთანია, რომლითაც

შეიძლება ბავშვის სულის ზედადგის მოხვნა, რომ იგი ყველა კარვის მიმღები და ნაყოფიერი შეიქნეს.“ ამას ამბობს ბრემენელი პედაგოგი შარელმანი. იმის თხზულებებიდან სჩანს, როგორ ახორციელებს იგი საქმით თავის პრინციპებს. ერთი მისი საყურადღებო ცდა უნდა გავაცნოთ ჩვენს მკითხველებსაც.

ამ მასწავლებელმა გამოქცა წიგნაკი, დაწერილი და დასურათებული პატარა მოწაფე ქალების მიერ (Der Geburtstag, გამოც. იანსენისა, ჰამბურგი, 1907 წ.) ეს წიგნაკი შედგება ძლიერ სერიოზულის და სისტემატიურის, მაგრამ ამასთანავე ძლიერ სამხიარულო მუშაობისა და მასთან მშვენიერი დამასურათებელია ზემო ნათქვამისა, რომ ყველაზე უკეთესი ე. ი. ყველაზე უნაყოფიერესი გაკვეთილი ის არის, რომლის დროსაც ბავშვები გაძლიერებულ მუშაობის დროს ყველაზე მეტს იციან.

ეს ნაშრომი, რომელიც მოითხოვდა ბევრს მოთმინებას და გულდადებას, შეიძლება კარვად შეასრულეს არა მარტო იმიტომ, რომ თვით სამუშაოს აზრი ბავშვებისათვის მეტად საინტერესო იყო; არამედ უფრო იმიტომ, რომ მასწავლებელმა მიახერხა და მოწაფეები მუშაობის დროს ისეთს გუნებაზე დააყენა, რომ ბავშვებს მუშაობა-თამაშობად ეჩვენებოდათ.

ყველა ამის შესახებ და იმაზე თუ რა მიზანი ჰქონდა დასახული მუშაობის დროს, რაგვარი საზოგადო განათლების შედეგები მოჰყვა მას, შარელმანი გვიამბობს ამ წიგნაკის წინასიტყვაობაში, გვიამბოს არა იმიტომ, რომ სხვებმა ბრმად მიჰბადონ მას (პედაგოგიაში ბრმა მიმბადველობა ისეთივე უადგილოა, როგორც ხელოვნებაში), არამედ იმიტომ, რომ

გვიჩვენოს—სიმხიარულე, არა თუ ხელს უშლის დინჯად სერიოზულად მუშაობს, არამედ, პირიქით, საუკეთესო საშუალებაა ნამდვილ შემოქმედებითი მუშაობისათვის.

აი რას გვიამბობს იგი:

„ერთს მშვენიერს დილას (ეს იყო თიბათეში, ორშაბათს) შვედი კლასში, მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და გაცხარებულ ლაპარაკში იყვნენ. „აბა, ეხლაც ერთად ხართ შეგროვილნი“, დავიწყე ლაპარაკი. ცოცხალი და მხიარული პასუხის შემდეგ, ერთი ყველაზე უფრო პატარა ქალი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „გუშინ ძალიან გვიან დავიძინეო“— როგორ რად დაიძინე გვიან?“— „ჩემს ამხანაგთან ვიყავი ომისი დაბადების დღე იყო. ძლიერ ვისიამოვნეთ, ვითამაშეთ, ფანჩატურში მოკოლადი დავლიეთ“. მოვიდნენ სხვა ქალებიც, რომლებიც ამ დღეობაში ყოფილიყვნენ და მიამბეს ყველაფერი, რაც ნახეს. მივეცი სხვა და სხვა კითხვები და ვცდილობდი გადავსულიყავი უფრო საზოგადო საგანზე, რომ სხვა მოწაფეებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ჩამოვარდა ლაპარაკი საზოგადო დაბადების დღის დღესასწაულობაზე, ბევრი მოსწრებული და სასიამოვნო შენიშვნები და ამბები მოვისმინე ამ თემაზედ. ყველას უნდოდა რაიმე საინტერესო ამბავი ეამბნა; ბავშვები გარს შემომეხვივნენ და მათს გაცხარებულს ლაპარაკს და აწერილობის გადმოცემას საზღვარი არა ჰქონდა. რომ შემეწყვიტა ეს საუბარი, ბავშვებს გამაოუცხადე: „ბავშვებო! რადგანაც მე არ შემიძლიან ყველას მოვუსმინო, დასხედით და დამიწერეთ ყველაფერი, რაც უნდა გეამბნათ ჩემთვის“. ჩემი რჩევა ყველას მოეწონა, გაიქ-

ცნენ თავიანთ ადგილებზე, ამოიღეს დაფები.

„იმ დროს, როცა ბავშვები ემზადებოდნენ საწერად, ასეთი აზრები მომივიდა თავში: პირველად არ უწერიათ ბავშვებს ამგვარი რამე და დღესაც გატაცებით შეუდგებიან მუშაობას. მაგრამ აი რა არ მიცდოა ჯერ და ან რა ცდა შეიძლება მოახდინოს კაცმა: შეუძლიან კლასს შეასრულოს ასეთი დიდი სამუშაო, რომლის შესრულებაც ერთს საათში ძნელია და რისთვისაც საჭიროა ერთი ორი კვირა ან მთელი თვე? არ დაიღლებიან ბავშვები; არ დაეკარგებათ საქმის ხალისი, შეიძლებენ დიდხანს მუშაობას ერთსა და იმავე თემაზედ?

„მოდი ვნახოთ! დავინახავ შევძლებ თუ არა ფსძლიო დაბრკოლება, რაც გამოიხატება ბავშვების გონება-გაფანტულობაში, და მუდმივ სხვა და სხვა ფერობის მოთხოვნილებაში და შევძლებ თუ არა მივაპყრა მათი გულის ყური და ძალა ერთს საგანს და მივმართო მათი ძალა ერთის განსაზღვრულის მიზნისკენ...

„და აი ისევ მივუბრუნდი კლასს და, სხვათა შორის, ვსთქვი: დაბადების დღის დღესასწაულობის შესახებ იმდენი შეიძლება დაიწეროს, რომ ერთს დღეს ვერც მოასწრებ და ამიტომ უკეთესი იქნება დღეს მარტო პირველი თავი დავწეროთ, ხვალ მეორე, ზეგ მესამე და ასე...

„გაიმართა ლაპარაკი და მსჯელობა სამუშაო გეგმის შესახებ. გადავწყვიტეთ ყოველ დღეს თითო თავი გვეწერა. პირველ თავს გაუკეთეთ სათაურად: „როგორ გაიღვიძა მან დილით“. მოიგონეს ქალის სახელი, ამასთან საკვირველ სახელებს იგონებდნენ; ბოლოს შეეჩერდით ელფურიდაზე. საკლასო დაფაზე დავწერე სათაური, ბავშვებს რომ ადვილად დაეწ-

ყოთ წერა, პირველი წინადადება მე ვუ-
კარნახე: „მზემ ესეც იყო თავი ამოკყო-
ნელა, ძლიერ ნელა. გაიღო საწოლი ათა-
ხის კარები, და... აბა, ეხლა სწერეთ
შემდეგი!

„ბავშვები აღტაცებით შეუდგნენ წე-
რას. ორ წუთსაც არ გაუვლია, უკვე
ზოგი ქალები წამოდგნენ, რაც შემოდე-
ბული გვაქვს, და მოისურვეს „კარგი ად-
გილების“ წაკითხვა. ყოველთვის კითხუ-
ლობდნენ ასეთს ცალკე ადგილებს; და
საუკეთესო ფრაზებს სტენოგრაფიულად
ჩავიწერდი უბის წიგნში. ბოლოს, როცა
შევატყობდო საკმარისი მასალა იყო შეკ-
რებილი, ვეტყობდი: „კმარა! ეხლა დაე-
ხატოთ ამ სათაურის შესაფერი სურა-
თი!“

„უფრო მეტის აღფრთოვანებით და
ახალის ძალით ეკიდებოდნენ ბავშვები სა-
მუშაოს. რამდენსამე ხნის შემდეგ კლას-
მა დახატა №0-მდის სურათი, ამ სურათე-
ბის უმრავლესობა წარმოადგენდა იმ
წუთს, როცა დედა შედიოდა ელფრიდის
ოთახში.

„როცა სურათებიც დაასრულეს, მე
დაუწყვე შინჯვა და ვნახე, რომ ერთს
ქალს ძლიერ კარგად დაეხატა კარების
ფარდები, მეორეს—პირსაბანი, მესამეს
დაეხატა თავისებრივი კრაოტი, მეოთხეს
მშვენიერი, ჩასქელებული, მედიდური დე-
და. ყველაფერი ეს ჩავიწერე უბის წიგნ-
ში, აღვნიშნე სურათის რა და რა ნაწი-
ლი იყო ყველაზედ კარგად დახატული
და ვის მიერ.

„გაკვეთილების შემდეგ უმრავლესობამ
თავისი სურათები ჩემს კათედრაზე და-
აწყო. შემდეგ ავიღე დიდი თაბახი სუფ-
თა ქალაღი, ამ ქალაღზე ბავშვებმა
დახატეს სათითაოდ, ვისაც კარგი სურათი
გამოუვიდა: ერთმა კრაოტი, მეორემ—

პირსაბანი, მესამემ—დედა და სხ. ასე
რომ ბოლოს მივიღეთ ერთი სურათი,
რომელიც შეადგენდა ყველა კარგს, რაც
კლასმა შეჰქმნა. ამ სახით ორი კვირის
განმავლობაში ჩვენ კლასთან ერთად შე-
ვადგინეთ მთელი დასურათებული წიგნი.
რაც წარმოადგენს ჩემი და ჩემი 9—10
წლის მოწაფე ქალების შეერთებულ
შრომის ნაყოფს.

რასაკვირველია ბავშვების ნაწერებში
მართლწერის მხრივ მრავალი შეცდომა
მოიპოვებოდა. მე ჩავწერე მხოლოდ ის,
რაც გავიგონე. ამნაირად ჩვენი წიგნაკი
დაბეჭდილია შეუცდომლად. მე ამ გარე-
მოებას მუშაობის დროსაც არ ვაქცევდი
რამე მნიშვნელობას და განძრახ ვეუბნე-
ბოდი ბავშვებს: „თქვენთვის სავალდებუ-
ლო არ არის ლამაზი და კანონიერი წე-
რა, ამაზე ნუ ფიქრობთ; ჩქარა სწერეთ
და იფიქრეთ მხოლოდ იმაზე, რაც უნდა
გვიამბოთ“. სჭვანაირად არც შეიძლებო-
და. ბავშვები მოზრდილებზე უფრო ნაკ-
ლებად ემორჩილებიან ორს უფალს, იმათ
რომ ლამაზად და შეუცდომლად აწერი-
ნოთ, მათი გულისყური და ენერგია გა-
რეგან მხარეზე იქნება მიპყრობილი, რდე-
ური შინაარსი უნდა ღარიბი გამოვიდეს.
(ლამაზი და კანონიერი წერის შესასწავ-
ლად ცალკე გაკვეთილები უნდა იყოს).

„ჩემს სამუშაოს შეადგენდა გამორკვე-
ვა დაწერილისაგან, რაც რამ საინტერე-
სო და შესაფერისი იყო, იარჩეული წინა-
დადებანი გამომეყვანა შეერთებულ ტექს-
ტად, რადგანაც ის, რასაც ფაბულას ეძა-
ხიან, ან მოქმედებას, ჩვენს აწერილობა-
ში თითქმის რომ არ იყო, ამიტომ ბევ-
რი დავიდარბა საჭირო არ იყო, თუ რო-
გორ უნდა გადაებათ ეს წინადადებები.
ამის გადაბმა ასეც შეიძლებოდა და ისეც.
აქედან ისა სჩანს, რომ ღირებულება და

სიმშვენიერე ზღენის მოთხრობებისა კომპოზიციაში კი სარა, არამედ თითოეული ცალკე წინადადებისა კონკრეტულ შინაარსში.

იგივე უნდა ვსაქვათ სურათების შესახებაც. იქაც ვარჩევდი უფრო შესაფერისს და ცალკე ნაწილებს ერთს მთლიანად ვაერთებდი, იშვიათად სურათს თვითონვე შევასწორებდი, მხოლოდ მაშინ, როცა ამას ბავშვები მოითხოვდნენ.

„ყველ შემთხვევაში წიგნაკი სრული გამოხატველია მასწავლებლისა და ბავშვების საერთო მუშაობისა.“

„მუშაობაში განურჩევლად ყველა ბავშვი იღებდა ცხოველ მონაწილეობას. მე ყველა ისინი ცოცხლად წარმომიდგებიან თვალწინ, ვხედავ ერთს სხეზე მხიარულობის და აღტაცების გამოხატულობას, როცა ისინი იწყებდნენ ახალს სათაურს. წერის დროს ქალები ხშირად წამოდგებოდნენ, მოუფიქრლად ელოდნენ შესაფერისს დროს, რომ წაეკითხათ დაწერილი. ხატვაშიაც ბავშვები გატაცებით იღებდნენ მონაწილეობას. ეს იქიდან სჩანს, რომ 150 მეტი სურათი შევავსოვე, რაც ქალაქზე დამიხატეს და რაც დაფაზე დამხატეს, რომლის რიცხვი სამჯერ მეტი იქნებოდა, იმას არ ვანგარიშობ.“

„ვისაც უნდა დარწმუნდეს ბავშვის შემოქმედების ნაყოფიერებაში, იმას ფურჩვეს ცადოს ის, რაც მე გამოვცადე...“

„რა ბეჯითად და სიამოვნებით მუშაობდნენ ბავშვები! როგორც გამოსთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას გაკვეთილზე მუშაობის დროს! როგორ იყვნენ კმაყოფილნი ყველანი, როცა ერთი საწერის შემდეგ, ხედავდნენ შედეგს და იღებდნენ ცხადს შთაბეჭდილებას საერთო მუშაობისგან.“

„რამდენად ფასდაუღებელია და საკი-

რო ასეთი სამხიარულო მუშაობა, რასაც ხელს უწყობს საზოგადო მკვიდრი ინტერესი!“

„როგორ მოხდებოდა, რომ ეს შიდად წერის დროს, რომელიმე ქალი წამოვარდებოდა ზეზე და მალეულის სანეტარო ხმით წამოიძახებდა:“

„აი მე მოვიტყვე კარგი სიტყვა, აი მოვიგონე!“ და მეტის-მეტი მღელვარების გამო ბედნიერ იდგის შესახებ, ძლივს და ახერხებდა წერას. ყველას იმათ ცოცხლად წარმოვიდგენ თვალწინ, ვხედავ ყველა იმ პატარა მწერალ ქალებს, ვხედავ როგორ ენთებათ თვალეები და ჩისჩერებიან ქალაქს, როგორც მისცურავს ქალაქი ქალაქზე, ხელები უკანკალებსთ მღელვარებისა და აზრთა მოზღვაგების გამო, რომელთაც ადვილად ვერ მოუვლია ზოგ ქალებს სრულიად არ შეუძლიათ მშვიდდით დაჯდომა, ისე იგრიხებიან, ტრიალებენ, ხითხითებენ და ჩურჩულოთ ეუბნებიან თავიანთ მეზობელს, რაც მოიგონეს. იგივე შეინიშნება ხატვის დროსაც.“

თუ ვისმე უნდა დინახოს, რამდენად მიეცემოქან ბავშვები სამუშაოს მთელი თვისი, არსებით დაუკვირდეს, რა ხდება კლასში, როცა ბავშვებს ნება ეძლევათ ხატონ რაც და როგორც უნდათ.“

„ჩვენ მიერ შედგენილი წიგნის მნიშვნელობაა მისი მხატვრულ მხარეში კი არ გამოიხატება, უმთავრესი მისი მნიშვნელობაა ის, რომ შეერთებული მუშაობის დროს ბავშვების სულიერნი ძალნი იღვიძებდნენ და გაძლიერებულად ვარჯიშობდნენ. უმთავრესია ბავშვების შემოქმედებითი მუშაობის პროცესი.“

„ამასთან სრულიად სასურველად არ მიმაჩნია ბავშვების მხატვრული ნიჭის“

მხოლოდ ცალმხრივი განვითარება და სკოლის დანიშნულება, რასაკვირველია, ის კი არ არის, რომ მან მოამზადოს მხატვრები და მწერლები. მაგრამ საქმე ის არის, რომ წერა და ხატვა კლასში მეტად მარტივი და ადვილი საქმეა, რისთვისაც საჭირო არ არის განსაკუთრებული მოწყობილობა და მომზადება და რომლის წარმოებაც ყოველ დროს შეიძლება; ბავშვების შემოქმედებითი ძალები, რასაკვირველია, უნდა და შეიძლება განვითარდეს სხვა სფეროშიაც სხვა და სხვა გვარი საშუალებებით.

„აწინდელი ჩვენი სკოლა თავის საფუძვლით ისეთი დაწესებულებაა, სადაც **სწავლობენ**. მომავალ სკოლაში **შექმნიან**. უმთავრესი ცოდნა კი არ არის, არამედ შეძლება და ნიჭი გაკეთებისა, რისმე შექმნისა. ცოდნა იმდენათ საჭიროა, რამდენადაც ხელს უწყობს შემოქმედებას. და ის კაციც, რომელიც სკოლაში აუარჯიშებდა და ავითარებდა შემოქმედებითს ძალას და ეჩვეოდა დამოუკიდებლად მუშაობას, სულ სხვა ნაირად შეხედავს ცხოვრების ყოველგვარ ამოცანას, თამამად მოჰკიდებს ხელს მის გადაწყვეტას, მხნედ, მამაცურად, ცოდნით და ძალით შეუდგება საქმეს და სულის ღრმა ინტერესით და თანაგრძნობით მოეპყრობა ცხოვრების მდიდარ მოვლენათ...

„ჩვენი წიგნი დაანახვებს ყველას, რა მდიდარი შემოქმედებითი ძალაა ბავშვში. ახალ სკოლას სრულიად არ სწადიან სერიოზული სამუშაო სათამაშოდ გახადოს და მეც ის სამუშაო, რის შედეგიც ჩვენი წიგნია, ნამდვილ სერიოზულ ნამუშევრად მიმაჩნია, რაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. აწინდელი ოფიციალური სკოლა მეტის მოთხოვნილებით არის აღჭურვილი, ვიდრე მე მოვითხოვ. იგი მოითხოვს:

ბავშვებმა მხოლოდ გულის-ყური ადევნონ იმას, რასაც მასწავლებელი უხსნის, რომ მათაც ისე ხატონ, როგორც მასწავლებელი ხატავს, სწერონ ისე, როგორც მასწავლებელი სწერს. და სხ. ასე რომ ბავშვები მიჰყვებიან იმ გზას, რაც გაყვანილია და რომლითაც უვლიათ სხვებს. ჩვენ, ახალი ჰელაგოგები, მოვითხოვთ და გვინდა, რომ ბავშვებმა ყველგან თვითონ აღმოაჩინონ გზა“...

ეხლა ვიტყვი რავედნსამე სიტყვას თვითონ ამ წიგნაკის შესახებ, ბევრჯელ გამოვიგონო, თითქოს ეს წიგნაკი „თავის თავად არაფერს წარმოადგენდესო“.

მართლაც არაფერი საეფექტო, არაფერი გასაოცარი და საკვირველი ამ წიგნში არ არის რა. მაგრამ იქნება მკითხველს ახსოვს, რომ ჩეხოვმა ერთხელ მოიწონა ერთი მოწაფის ნაწერი, რომელიც მხოლოდ სამი სიტყვისაგან შესდგებოდა: **ზლა დიდი იყო**.

„არა უბრალო“ ადამიანს შეიძლება უფრო მოსწონებოდა „მღელწარე ტალღები“ და „მძაფრი სტიქიონი“, „ტყვიის ფერი ღრუბლები“ ზღვაზე, ხელოვან მხატვარს მეტს შთაბეჭდილებას უნდა ჰგვიდეს სიმარტივე, მოკლებული ზედმეტს რასმე და გამომხატველი უსაკიროვისისა, არსებითისა, გასაოცარისა, რაც ყველას სჭარბობს, ამ შემთხვევაში — ზღვის სილიადე.

ვისაც გემოვნება სიმარტივისადმი განვითარებული აქვს, მას არ შეიძლება არ მოეწონოს ბავშვის მხიარული გულითადი ენა, ეს დამოუკიდებლობა და ჰუმარიტად სიმარტივე მათის მოთხოვნებისა და ნაწერებისა. იქ არ არის არც ერთი აჩრდილი კვლევა-ძიებისა, სიყალბისა; წიგნიდან აღებულ ფრაზებისა, არაფერი

წიგნური, ეს მთლად მათი საკუთარი ენაა, არა ამოკითხული, ან ნაკარნახევი, არამედ ისეთი, როგორც ბავშვი თავის სახლში, თავის ოთახში ლაპარაკობს. მხოლოდ სულით პოეტს და ბავშვის მეგობარს შეუძლია ბავშვის ენის სიმშვენიერის შეგნება. იგი არა თუ არ იტყვის: „იქ არაფერი განსხვავება არისო“, არამედ ამ საყვარელ მოთხრობის კითხვის დროს განიცდის უწმინდეს მხიარულებას და უმაღლეს სიამოვნებას, აი რამდენიმე ამონაწერი:

„სამი საათი რომ შესრულდა, დედამ უთხრა ელფრიდას: წავიდეთ ფანჩატური დავასუფთაოთ, მალე შენი მეგობრებიც მოვლენ!“ წავიდნენ. დედამ მაგიდას ახალი სუფრა გადააფარა. ელფრიდამ იატაკი დაგაჰვა. დედამ უთხრა: წადი, შვილო ჩვარი მოიტანე სკამები დავსწმენდოთ“.

„ფანჩატური მწვანეშია ჩაფლული. ძია თედომ იყიდა კრელი ბაირაღები და ქალღმერთის წისკვილები, მიაკრა ფანჩატურს. დედამ ფინჯნები და სხვა ქურქლები მოიტანა, რომ ბავშვებს ფანჩატურში რძე ესვათ. ელფრიდამ მოიტანა თავისი ტორტი გვირგვინით და დასდვა სუფრაზე.“

— დედი, რად მოიტანე ექვსი ფინჯანი? ერთი ხომ მეტია, — „სთქვა ელფრიდამ“.

— განა შენ კი არ დალევ რძეს? — ჰკითხა დედამ. — „ახ, ღმერთო ჩემო, წამოიძახა ელფრიდამ: — ჩემი თავი კი დამავიწყდა!“

„დედამ დასქრა ტორტი პატარა ნაჭრებად, ძია თედომ ფანჩატურის ქერაზე დიდი ლამპა ჩამოჰკიდა. ყველაფერი მზად იყო“.

ამ სახით და ამ კილოთი არის დაწერილი მთელი მოთხრობა. სურათებიც თითოეული სათაურისა ტენიკის მხრით პრიმატიულია. ფერები, ცხადია, მხიარულია. სქარბობს ლურჯი, წითელი, ყვი-

თელი. ძია თედო ლურჯ ფერშია, დედამ ღია მოყვითანო ფერში. ცხად და ბრწყინვალე ფერებთან ბავშვებს შეერთებული აქვთ წარმოდგენილება რისმე სასიამოვნოსი და რაც კი ბავშვებს ძლიერ უყვარსთ (დედა, ძია, ცხენი, დედოფალი), ყველას საჩინო ბრწყინვალე ფერით ხატვენ. წინ მაქვს პატარა ქალის ნახატი, დახატულია კაცი გრძელი, ძლიერ გრძელი ხელებით. წითლად არის დაფრადებული. ჩემს შეკითხვაზე — რად გაუკეთებია მას ასეთი გრძელი ხელები? — ქალმა მიპასუხა: „იგი ძალიან მხიარულია: საქორწინოდ მიდის; ეს — ჩემი ძიაა!“ — რად არის სულ წითლად? — იმიტომ, რომ იგი ძალიან მიყვარს“... ჩვენი წიგნის სურათებში გამოსჩანს სიამოვნება, სიმხიარული და სიყვარული. მაგალითად: სიყვარულით შექმნილია თითოეული ყვავილი, ფინჯანი, მაგიდა, სუფრა, აკაცია ფანჩატურის გვერდით, ფარდები, ტორტი, საჩუქრები მაგიდაზე, ყვავილები ფანჯრებზე! ყველა ამათგან გამოკრთის ბავშვის წმინდა სიამოვნება! ამ სურათების განხილვის დროს ხედავთ ბავშვების მომღიმარ თვალებს, მესმის მათი ბედნიერი კისკასი, სიცილი — თვითონვე იხიბლები და მიეცემი ბრწყინვალე გუნებას, რაც გამოკრთის წიგნის თითოეული სტრიქონიდან, თითოეული სურათის ხაზიდან. თითქოს თვითონ იმყოფები ბავშვების დღესასწაულზე, თითქოს თვითონვე ბავშვი ხდები, თამაშობ, იცინი იმ გულწრფელი და გულითადი სიცილით, რასაც ჩვენ მოზრდილები, კვიანი მიეცნიერი ხალხი მოკლებულნი ვართ..

მართლაც ათის ბევრი რომ სასიამოვნო და სასაცილო!

თუნდაც ავიღოთ ხუმრობა ძია თედოსი. შეხედეთ მხოლოდ როცა პაკეტით

ხელში შედის ოთახში მსხვილი, ჩამრგვალებული კეთილი სახის გამოჩეკველი, მაშინვე გრძობ რაღაც სახუმარო ოინი უნდა ჩაიდინოს, მართლაც ოთახის შესავალში ჯერ ისე ჩამოიფხატა თავზე ქუდი, რომ ელფრიდამ ვერც კი იცნო, სანამ არ გაიცინა. მიულოცა ელფრიდას დღეობა და გადასცა პაკეტი; ელფრიდამ გახსნა პაკეტი და დაინახა შიგ, ორი ნაჭერი ტორფი და ორი ნატეხი ქვანახშირი. ელფრიდამ გადინახარა; იცოდა, რომ ძია თედო დიდი ხუმარა იყო.

შემდეგ გაიგო, რომ ის სრულიად ტორფი არ იყო, არამედ ტორფის მსგავსი კოლოფი, რომელშიაც ეწყო ორი პატარა რეზინის დედოფალა.

ძია თედო მუდამ ბავშვებთან არის, რთავს ფანჩატურს, თამაშობს და შეეცევა ბავშვებთან.

აი რას გვიამბობენ მის საქციელზე: „იქ პაწია ძალლი იყო, რომელსაც სახელად „ჟულიკი“ ერქვა. როცა ყველა ბავშვები ფანჩატურში ისხდნენ, ძია თედომ დაიყვირა: „ჟულიკი, ჟულიკ!“ ძალლი მივარდა, ძია და ძალლი წავიდნენ ელფრიდას ოთახში, ჩააცვა ძალის ძველი ტანისამოსი, თავზე ქუდი დაჰხურა და წაიყვანა ფანჩატურში.

„ჟულიკი შეხტა ფანჩატურში, ბავშვებს ძლიერ შეეშინდათ. ჟულიკი იჩენდა სხვა და სხვა ჯამბაზობას: უკანა ფეხებზე დგებოდა, ყველასთან მიდიოდა, ძია თედომ მისცა ჯოხი, რომელიც ეჭირა, როგორც თოფი, მერე მისცა ქოლგა. შემდეგ ჟულიკი დაჯდა სკამზე, ძია თედომ სთხოვა ეამბნა რამე, ჟულიკმა კი, ყველას სასიხარულოდ, ხმა მაღლა დაიყვია.

„მისცეს კალათი პირში, ბავშვებმა ჩაულაგეს შიგ საჩუქრად ხაჭაპურები.

„ამ წარმოდგენის შემდეგ მოაგონდათ,

რომ ელფრიდა არ იყო იქ. ამ დროს ელფრიდაც გამოვიდა გადაცმული დედის გრძელი ტანისამოსით, ქუდით, სათვალეებით, კალათით ხელში, ამახაც ბევრი სიცილი ასტება.

„ასე იმხიარულეს ბავშვებმა ვახშობამდის, ვახშობის შემდეგ როცა ჩამოხელოდა, ყველანი მოემზადნენ შან წასასვლელად. დედამ ჩამოურიგა ყველას ქალაქის ფანრები, რომლითაც ბავშვებმა ჯერ ფანჩატურს შემოუარეს გარშემო. ჩამრგვალებული ძია თედო წინ მიუძღოდა ბავშვებს და იმღეროდა:

მზე, მთვარე და ვარსკვლავები,

მხიარულობენ ბავშვები,

კარგი დღესასწაულია,

ეხლა გამოგეთხოვები!

„მაშინაც ყველას სიცილი აუტყდა; რეზიმ, რომელმაც სიმღერა კარგად იცოდა და ყოველთვის ხუთიანებს ღებულობდა, სთქვა: „ეხლა ვიმღეროთ ახალი სიმღერა, რომელიც გვასწავლობნმა შარელმანმა!“

— „კარგი, კარგი ვიმღეროთ!“ — წამოიძახეს ყველამ, შეჯგუფდნენ და დაიწყეს სიმღერა.

„შემდეგ გამოეთხოვეს ერთმანეთს. ელფრიდამ თავის მეკობრეები ცოტათ გააცილა, შემდეგ ცხვირსახოცის ქნევით მიაძახა:

— „ლამე მშვიდობის, ლამე მშვიდობის, ძილი ნებისა!“

— „ლამე მშვიდობისო, მიუგეს ქალებმა და გაეშურნენ შინისკენ“.

უკანასკნელ გვერდზე აწერილია, როგორ მიდიან ბავშვები ხელში ლამპებით, საიღამაც გამოკრთის სინათლე ფართო ყვითელ სხივებად, კიბეზე დგანან ელფრიდა, მისი დედა, ძია თედო და უქნევნ მიმავლებს ცხვირსახოცებს.

ეს მოოხრობა და ეს სურათები,—ამ-
ბობს შარელმანი, — შეადგინეს პატარა
ქალებმა, ამ „თავისუფალ“ სამუშაოს მე-
მოვანდომე ძლიერ ცოტა დრო და ისიც
მხოლოდ ხან და ხან. რა იქნებოდა რომ
სკოლაში მიბარების პირველი დღიდანვე
გაეპართათ ბავშვებთან ასეთი სერიოზულ-
სამხიარულო სამუშაო!

„რა იქნებოდა, რომ ჩემს კლასს შესძლევ-
ბოდა რვა წლის განმავლობაში თავისუფ-
ლად განვივითარებინა თავისი ძალა, თავი-
სუფლას შრომაში! როგორ გაიღვიძებდა

შემოქმედების საერთო მხიარულება, რა
ნიჭი გაუვითარდებოდათ ბავშვებს, რა
დიდებული, ჭკვიანი, შრომის მოყვარე
და გამბედავი ხალხი გამოვიდა ასეთის
სკოლიდან!

„სადაც უნდა წასულიყვნენ, ყველგან,
ყველა საქმეში ისინი ნაყოფიერნი შეუშა-
ნი და ახალი ღირებულობის შემქნელი
იქნებოდნენ!

„სწორედ ეხლაც ასეთი ხალხია საქი-
რო!“

ლ. ბოცვაძე.

იესო ქრისტე

ღიღებული მოძღვარი, რომელმაც ფაფისი
ღვთიური სიტყვით სათელი მოჭყვინა ქვეყანას,
დაიბადა ჰალესტინის პატარა ქალაქ საზარეთში.

იესომ ადრე დაიწყო სწავლა. ძველი აღთ-
ქმის წიგნების კითხვამ მეტად ძლიერი შთა-
ბეჭდილება მოახდინა მასზე. ღვთიურ ფსალ-
მუნების დიად სიმშვენიერემ მოიბოგეს ქრის-
ტეს მადალ სულში მკვიდრი ნიანდაგი და მთელს
სიცოცხლეში დარჩნენ მისს საზრდოთ და ღუ-
და ბოძად. წინასწარმეტყველები, განსაკუთ-
რებით ისაია, თავიანთი საოცარის ოცნებით
მომავალზე, თავიანთი მხურვალე მსკერმეტყვე-
ლობით, მდიდართა, უფლების შექონთა და
ღვთის განდგომილთა სასტიკი განკიცხვით,
იუვნენ პირველი აღმზრდელები იესოსი სიერმე-
ში.

ქ. საზარეთი კალილეაში იყო. მწვანით
შემკული, წრდილოვანი და მხიარული კალი-
ლეა „ქებათა ქების“ სკეშარიტი ქვეყანა იყო.
ორი თავის განმავლობაში, მარტში და აზრილ-
ში, მთელი სოფელი ევაფილების თიანდახს
წარმოადგენდა.

იესოს დროს ეს მშვენიერი ქვეყანა სიმ-
დიდრით და სიხარულით განთქმული იყო.
კალილეელები შრომის მოყვარე, მხნე და
მამაცი ხალხი იყვნენ. ეს ქვეყანა მჭიდროთ
იყო დასახლებული, მოფენილი იყო დაბებით,
ქალაქებით და მრავალ რიცხვანს სოფლებით,
მიწაც—ხელოვნურად შემუშავებული ჰქონდათ.
ამ მომხიბლველ ქვეყანაში ცხოვრობდა და
იზრდებოდა იესო.

საზარეთის ცოტა მოშორებით შენდებოდა
დიდი ქალაქები, მაგრამ ეს უფუფუნება იესოს
არ მოსწონდა. მას ყველაზე უფრო კალილი-
ის სოფლები, თავისი ქოხმასებითა, კალაქებით,
ლეღვისა და ზეთის ხილის ხეებით შემკული
ადგილები მოსწონდა. იესო უოკელოვნის სოფ-
ლის მარტავს ბუნებას უახლოვდებოდა. მას
განსაკუთრებით მთიანი ადგილები უყვარდა.
მაეებში წარმოსთქვამდა ხოლმე სშირად თავის
სადგოთ ქადაგებებს. ის თავის საღვთო სიტ-
ყვებით მიჰმართავდა არა მდიდართა და ამა
ქვეყნის ძლიერთა, არამედ დარიბთა, უბრალო
მუშაკთა წმინდა და სადი სულის ადამიანთა.

მან თავდაპირველად მიჰმართა სულით გლახაკთა, გულით წმიდათა და მშვიდთა, მეთევზეთა, რომელნიც ცხოვრობდნენ ტიბერიის ტბის ნაპირას. ტიბერიის ტბა შესანიშნავი იყო მთელს ქვეყანაზე თევზთა სიუხვით. თევზათა მეტად ხელსაყრელი იყო ადგილობრივის მცხოვრებთათვის. მეთევზეთა სახლობა შეადგენდა მშვიდსა და წყნარს საზოგადოებას. იესო ღვიძლ ძმასავით იყო მიღებული მათ შორის. გალილიის საუცხოვო ჰავას მომხიბლველი გავლენა ჰქონდა ამ პატიოსან მეთევზეებზე. ისინი მართლაც რომ ღვთის სასუფიველისათვის ემზადებოდნენ, — უბრალო ხალხნი, კეთილნი, ბედნიერნი მშვიდად დასტურავდნენ პატარა ზღვაზე. იესო თავის მოწაფეებით უოველთვის გარეთ ცის ქვეშ ცხოვრობდა. იგი ხან ნავში ჩაჯდებოდა და ასწავლიდა მსმენელთ, რომელნიც ნაპირზედ იკრიბებოდნენ, ხან ტბის გარშემო მთაზე ავიდოდა, სადაც მეტი-მეტი სუფთა და სადი ჰყარი იყო. მორწმუნე ხალხი არ შორდებოდა თავის მასწავლებელს, და განიმსჭვალებოდნენ მისი მოძღვრებით, სჯეროდათ, რომ მალე იხილვენ ღმერთს ქვეყნის მხსნელს.

იესომ თავის მოწაფეებიდან აირჩია ისინი, ვისაც „მოციქულებს“ ანუ „ათორმეტს“ ეძახდნენ. იმათ შორის პეტრემ მოიხვეჭა წმინდა ძმური ხასიათის პირველობა და იესოც ანდობდა მას ზრუნვას მისი მოძღვრების გავრცელების შესახებ. მოციქულებმა ქადაგება ქრისტეს სიცოცხლეშივე დაიწყეს; მაგრამ ისინი სიცოცხლეში იესოს მანც არ შორდებოდნენ. ისინი მიდიოდნენ ქალაქიდან ქალაქად, უველგან მხიარულად უხვდებოდნენ მათ.

ხანდახან ღვთის სასუფიველის მოციქულებს ვერ ხვდებოდნენ კარგად, მაშინ მოციქულები მიდიოდნენ იესოსთან საჩივრულად, მაგრამ იესო ჩვეულებრივ ამშვიდებდა მათ. ზოგიერთებს უნდოდათ იესოს მოველინა ციური ცეცხლი არა სტუმართ-მოყვარე ქალაქებზე;

მაგრამ იესო აყენებდა მათ შემდეგის სიტყვებით: „მოვედ არა წაწმენდად ცოდვილთა, არამედ ცხონებად“.

იესო დადიოდა დაბად და სოფლად, უველგან პატივს ტემდნენ. აღმოსავლეთში ჩვეულებად იყო, როცა ვისმე უცხო ვინმე ეწვეოდა, მთელი სოფელი თავს მოიყრიდა, იქვე თავს იყრიდნენ ბავშვებიც; მოსამსახურეები ერეკებოდნენ ბავშვებს, მაგრამ ისინი ისევე მოიყრიდნენ თავს. იესოს ძლიერ ეჯავრობოდა, როცა ბავშვებს სასტიკად ეპყრობოდნენ, დაუძახებდა ბავშვებს და ტკბილად ესაუბრობოდა, ბავშვებიც გრძნობდნენ სიყვარულს და გარს ეხვეოდნენ მაცხოვარს.

იესო თითქმის უოველ წელიწადს დადიოდა თავისი მოწაფეებით იერუსალიმში პასეჟის დღესასწაულზე.

იესოს დროს იერუსალიმის ტაძარი ახლად შენდებოდა; ჯერ დასრულებული არ იყო. ტაძარი მართლაც დიდებულს რასმე წარმოადგენდა. დერეფნებში ხალხი ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს. აქ ატარებდა დღეებს იესო, ხანამ იერუსალიმში იმყოფებოდა. იგი ხშირად ჯავრობდა, რომ საღვთო ტაძარი დუქნად იყო გადაქცეული; იქ უიღინენ ცხოველებს სხვერპლის შესაწირავად, იქვე ახურდავებდნენ ფულს, ასე რომ ტაძარში მთელი ბაზრობა იყო გამართული. ტაძრის დაბალი მოსამსახურეები უწმინდურობით და ახგარებით ხარბ შეწვილმანეებს მოგაგონებდნენ. ეს შეუკაცხეოდა იესოს სარწმუნოებრივის გრძნობას. იგი ამბობდა: საშლოცველს სახლი „თქვენ გიყოფიეს ქვაბ ავაზაკთა“.

იესოს ეჯავრობოდა უველაფერი, რაც გულით რწმენას არ შეადგენდა. ღვთისადმი სიყვარული, მოწყალება, შებრალება, ერთგროთის ცოდვების პატიება — შეადგენდნენ იესოს განიხს. რაც ძეგება ღოცვას, ამისთვის მას მიაჩნდა აუცილებლად, რომ ღოცვა გულიდან უნდა გამომდინარეობდეს. ფარისეულებს იმას

აუგუდრიდა, რომ მათ მოიგონეს უოუელგვარი მიზეზები, რომ ხალხმა შესცოდოს. „ბრმა წინამძღოლნიც ბრძმებისა“, — ამბობდა იგი, — „უფრთხილდით ორმოში ჩაცვივნას“. „ნა-

შობნი ექიდნისა, ამბობდა იგი, ლაპარაკობენ სიკეთეზე, მაგრამ სუფით ბორცტნი აჩიან, ისინი ვერ ამართლებენ ანდაზას: „მხოლოდ გულის სავსებით ბაკენი დალაღებენ“.



იესო უდაბნოში.

ორმოცი დღე დაჰყო უდაბნოდ, ეველა თავის ქადაგებაში იესო ამცნობდა ხალხს ღვთის სასუფეველის მთახლოებას. აწინდელს ქვეყანაში, ამბობდა იგი, მეუფობს ბორცტება, სატანა — „თავადი ამა სოფლისა“ და ეკვლა იმას მორჩილებს. მეფენი ხოცვენ წინასწარმეტყველთა. ქურუმნი და მწიგნობარნი თვითონ იმას

არ შერებინ, რის გაკეთებასაც სხუებს უბრძანებენ. მართლებს სდეენიან და ერთად ერთი ხვედრი კეთილთა — ცრემლებია. მაგრამ მოვადრო და დმურთი სამავიერთს მიუსჯის მათ თავის წმინდანებისათვის. დადგება სიკეთის ხანა. სიკეთის სუფევის დადგომის დროს, ქვეყანა დაპირქვავებული გაწვივებათ: პირვე-

ღებები უკანასკნელი იქნებოდა. შემოგა ახალი წესი. ესეა კეთილი და ბოროტი რეულის ერთმანეთში, როგორც ღვარძლი და კეთილი თესლი მინდორში. უფალი ნებას აძლევს ერთად იზარდონ, მაგრამ დადგება უამი სსსტიკი გაურისა. სსსუფეველი ღვთისა ემსგავსება მოსასმელ ბადეს, რომელსაც მოჭეუვია კარგი და ცუდი თევზიც. კარგს შეინახვიან და დაწარხენს გადაჭვიან. თუ ქვეყნა მომზადებული არ იქმნა ამისთვის, იგი იქნება დანაკუწებული. განწმენდილი ცეცხლით და ღვთიურის შებერვით. განხდება ახალი წა და ქვეყნაზე დაისადგურებენ ღვთიური ანგელოზები.

ესოს მოწიფეთათვის სავალდებულო იყო მთელი ქონება ფულად ექციათ და დაერიგებინათ სამოწყალოდ გლახებისათვის. ვინც ამას არ იქმნა, არ შეეძლო შესულიყო ამ საზოგადოებაში. ესო ხშირად იმეორებდა: ვინც იშკვის ღვთის სსსუფეველს, მან უნდა გადაგოს ზედ მთელი თავისი ქონება და შეიძინოს იგიო. „კაცი, რომელიც აღმოახენს მინდორში სიბიდიდრეს, არ დაჭკარგავს დროს, ჰვიდოს უგულაფერს და უიღულობს მინდორსო“.

ესო ასწავლიდა — მხოლოდ ღარიბნი ცხონდებოან და სუფევა მათი იწუებაო. „ვამ თქვენდა მდიდარო, — ამბობდა იგი, ვინაიდან თქვენ გაქვთ თქვენი რუგების ცემა. ვამ თქვენდა აწ მადარო, რამეთუ მოგშივდებათ. ვამ თქვენდა ვინც ესეა იცინით, რამეთუ მოგელისთ მწუხარება და ტირილი“.

ესო იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქვეყნასა ზედა, სადა მდიდრნი განრუენის და სადა მზარავთა დაქსოხარის და განიპარის; ხოლო თქვენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მდიდრნი, და სადა არცა მზარავთა დასთხარის და განიპარის. სადაცა არს საუნჯე თქვენი, მუნცა იოსო გული თქვენი. ვერვის ხელეწიფების ერთა უფალთა მონებად, ანუ ერთი იგი მოიძულეს და სხვა იგი შეიყვაროს, ანუ ერთისა მის თავს იღვას და ერთი

იგი მუერად ჰქოს. ვერ ხელეწიფების ღმრთისა მონებად და მამონასა“

ცოცხლის სიტუგებით ამხელდა ესო ამ ქვეყნის ძლიერთა ბიწიერებას. როცა ჰქადაგებდა ამ ცხოვრების ბატონთა დაღუპვას, ესო არასოდეს არ იწვევდა ვისმე მათ წინააღმდეგ ამბობებისთვის, ჰირიქით, იგი მუდამ იმეორებდა, რომ უგულაფერი შესადლებულია მოთმენით და უუგულად, რომ ძალაზედ იმარჯვებს გული სხეტაკი.

როცა სუსტებს მოარგვლობას უწევდა, ესო მიჭეუბოდა ძველი ადამის მცნებას. წინასწარმეტყველები ხშირად გაილაშქრებდნენ ხოლმე დიდებულთა, ძლიერთა და მდიდართა წინააღმდეგ. მათს წინასწარმეტყველებაში მდიდურობა, ფუფუნება დანაშაულობად არის აღიარებული: „ვამ თქვენდა, ვისც ცეზიზდებათ ქონი და ქონება წინაპართა თქვენთა! ვამ თქვენდა, ვინც სხვისი ოფლით აგებთ სსსსსლებს! თითოეული ქვა, თითოეული აგური, მათი შემადგენელი არის ცოდვა!“

ესოს განწმენილება ჰქონდა მშრომელ ხალხთან. ხალხისადმი სიყვარული, მისი გაჭირვებისადმი თანაგრძობობა სხანას ესოს უოგულს სიტუგაში და მოქმედებაში. მასთან ერთად სუფრაზედ ხელავდნენ ცუდი უოფაქცივის ჰირებს. ფარისევლები და მწიგნობარნი გაიძახოდნენ: „შეხედეთ, ვისთან ზის და სჯამს!“ ესოს ამ შემთხვევაში ჰქონდა შემდეგი ჰასუხი: „არა უხმს ცოცხალთა მუერნადი, არამედ სნეულთა“ ან „მწეემისი, რომელიც ასი ცხვარიდან დაჭკარგავს ერთს, სტოგებს 99, მიდის დაკარგულის საპოვნელად და როცა იშკვის, სიხარულით შეისვამს მხარზეო“, ან „ძე კაცისა მოვიდა ქვეყნად დაღუპულთა სსსსსულად“, „არა მოგვდ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“. სუსტნი, ცოდვილნი დედაკანი, რომელთაც ჰირველად ნახეს არა ხვეულებრივი მოხერობა, ნანობდნენ თავისთ ცოდვებს და მიენდობდნენ ესოს.

იესოს არ ეშინოდა არც უარისეველებს და მეზვერეების, იგი თამამად ამბობდა: „მეზვერენი და მეჭაბუნო ვეველასუ წინ წააკლენ ღვთის სასუფეველში“.

მაგრამ უმთავრესი ძალა თავისი ძლიერი სიტუებისა იესომ მოახმარა კაცთა შორის ძმობა ერთობის და სიყვარულის დამყარებას. ამაში გამოიხატა მთელი სიძლიერე მისი დიდებულის სულსა. იგი ამაში სისრულეს ეძიებდა.

სიყვარულისა და ყოველთა ჰარტების ქაღაცებას ქრისტემდინაც გაისქობდა კონკრეტთა შორის.

ბრძანება: „გიჟვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენი“ „ნუ იქმ სხვისთვის იმას; რაც არ გინდურთმ სხვამ გიუოს“, მისეს რჯულშიაც იყო და ბევრი ებრაელთა მოძღვრებაც ქადაგებდნენ ამას. მაგრამ ეს ქრისტეს არ აკმაყოფილებდა. იგი უფრო შორს მიდიოდა თავის ქადაგებაში. იგი გვასწავლიდა: „რომელმან ჰეტეს შენ უგრიმალსა შენსა მარჯვენას, მიუხეარ მას ერთი კერძიცა; რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებდ კვართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი“ „გიჟვარდეთ მტერი თქვენნი და აგურთხედეთ მწყევართა, კეთილს უზამდეთ მოძულეთა თქვენთა და ილოცავდეთ მათთვის; რომელნიცა გღებინან თქვენ“ „ნუ გაჭკიცხავთ და ნუ დასძრახავთ სხვას; რათა არ იქმნათ განციცხუენი და დამძახუენი“ „მიუტევეთ და მოგეტეოსთ თქვენ“ „იყვენ მოწყალენი, ვითარცა მოწყალე არს მამა თქვენი ზეცდერნი“ იესო უკრძალავდა მცირე მკაცრს სიტუვასაც, არ უყვარდა ჩხუბი, სძრახავდა ჯავრის ამოყრას, ფლანგვას. მას უნდოდა საზოგადო შეურაცხყოფის ჰარტება. „უკეთუ გიჟვარდენ მოყვარენი ხოლო თქვენნი, რა სასყიდელი გაქვს? რამეთუ მეზვერეთაცა ეგრე ჰქვიან“.

ქრისტე გვასწავლიდა არა მარტო თავისიანების, თავისის მოყვასის, თავისის რჯულის

ადამიანის სიყვარულს, არამედ ეველას კაცის სიყვარულს, რა ხალხსაც უნდა შეკუთვნოდეს იგი ან წარწმუნობისაც. იუოს ქრისტე ებრაელი იყო. მისი ცხოვრება 13 — 29 წლამდის დღემდის სიბნელით იყო მაცტული; არც სხანება და არც სხვა წყაროები ამ ხნის განმავლობაში ქრისტეს შესახებ ცნობებს არ იძლევიან. მხოლოდ შემ უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინეს ტიბეტური გადმოცემა იესოს შესახებ, რაც ნათელს ჰქვენს ამ უუდიდესის მოძღვრის ცხოვრებას, რასაც ჩვენს მკითხველებს შემდეგში დავწვრილებთ გავცნობთ. როგორც ებრაელს იესოს ცხოვლად დაჩაზად უყვარდა თავისი ხალხი, მაგრამ რაც შეეხება სიყვარულს და შეწყალებას იგი განსხვავებულ ვერ ხედავდა ებრაელთა და ელითთა შორის, ერთ ღვთის მოწმუნეთა და წარმართთა შორის, ეველას ხალხი მას ძე ღვთისად მიანდა და ეველას ძმებად. ვინ არ იცან იგავი მოწყალე სამართლებზე? რაცა ქრისტესა ჰქვიოხეს: „ვინ არს მოყვასი ჩემი? — მინ უამბო ერთს კაცზე, რომელიც ავანჯაებმა დასტრეს და შუა გზაზედ დაავდეს უმოწყალოდ. გაივლის მღვდელი, დაინახავს, გვერდს აუვლის, გაივლის ლევიტელი, ის არც კი შეჩერდება. სამართლებს შეებრალება; მიდის, უხვევს ტრილობებს. მამინ ქრისტემ დასკვნა, რომ ტეშმართი ძმობა ხალხთა შორის სიბრალულსა დამოკიდებული და არა იმასზე, რომ ერთხანად ლოცულობენ და ერთს ღმერთს სცემენ თაყვანს. ქრისტეს მოძღვრებით „მოყვასი“ ის კაცია, რომელშიაც სიბრალულის გრძნობა თავის მსგავს არსებასთან საწყობის განურჩევლად. ძმობა კაცთა შორის ნაკადულივით გადმოსჩქება ქრისტეს ეველას მოძღვრებაში.

ერთი სამართლები, დედაკაცი მივიდა ქვასთან წყლისთვის. იესომ წყალი სახხვავა; ამან ძლიერ გააოცა დედაკაცი, რადგანაც იუდეელებსა და სამართლებებს შორის ერთობის კავშირი გაწ-

ვეტილი იყო. დედაკაცმა გააფრთხილა იესო. „მაშინ ჩვენნი მთას ამას თაყვანის-სცემდეს; და თქვენ იტყვით, ვითარმედ იერუსალიმს არს ადგილი, სადა ჭურ-არს თაყვანის ცემა“. იესომ მიუგო: „დედა-კაცო, გრწმენიან ჩემი, რამეთუ მოვალს ჟამი, ოდეს არცა ამას მთასა, არცა იერუსალიმს თაყვანის-სცემდეთ მამასა, არამედ მოვალს ჟამი, ოდეს ჭეშმარიტნი თაყვანის-მტემელნი თაყვანის-სცემდენ მამას სუფითა და ჭეშმარიტებითა“.

იესო მისწრაფოდა დაემკვიდრებინა სსსუ-ფუველი ღვთისა, რომლის საფუძვლად უნდა ყოფილიყო ძმობა ხალხთა შორის ერთმანეთის სიყვარული, ღარიბთა სიბრალული და ადღებ-ნა-ეკვლა იმისი, რაც მშვიდაა, სამართლიანი და შარტივი.

აითქმის უკანასკნელი დარიგება, უკანასკნელი სიტყვები ქრისტესი, მისი უმაღლესი მტნება გამოხატება შემდეგში: „მტნებასა ახალსა მოგცემთ თქვენ, რათა იფარებოდეთ ურთიერთს, ვითარცა მე შეგიყვარე თქვენ, მხოლოდ მაშინ აღვიარებენ თქვენ ჩემი მოწაფეებად, თუ ერთმანეთის სიყვარული გქმნებათ. აღარა გეტყვი თქვენ მონად, რამეთუ მონაშან არა იცის, რასა იქმნ უფალი მისი; ხოლო თქვენ გარკვე მეგობრად, რამეთუ უფალი, რადენი შესმა მამისა ჩემისაგან, გაუწეუ თქვენ. ამას გამტნებ თქვენ რათა იფარებოდეთ ურთიერთს“.

ეს დიდებული მტნება ქრისტემ ჯვარზედაც არ დაივიწყა. მან ახატა თავის მტრებს და მსაჯულებს: „მამაო, მიუტყვე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

სიტყვა ღვთისა გვამტნებს ჩვენ ბავშვის უადრეს მნიშვნელობაზე. ეს სჩანს თვით ქრისტეს სიტყვებიდან: „ცაღეთ ერებსა მაგას მოსულად ჩემდა და ნუ აყენებთ მაკათ, რამეთუ ეგე ვითართა არს სსსუფუველი ცათა. რამდენად ღრმა მნიშვნელოვანი და სიმძღვრეობა აღმზრდელთათვის ქრისტეს სიტყვები!

აქ ინატება გაფრთხილება და გაკვეთილი ერთის აღმზრდელისთვის; ხოლო გაკიცხვა იმათი, ვინც ცრუ აზრებით, ცრუი მაგალითებით და უწესო აღზრდით გადაჭყავთ ბავშვები სწორის გზიდან. „ეგე ვითართა არს სსსუფუველი ცათა“, ამას ამბობს მაცხოვარი ქვეყნისა, რომელსაც წმინდა მამებმა ღვთიური აღმზრდელი უწოდეს (Θείος πατριάρχης). მაცხოვარი ამბობს: „რამეთუ რომელმან არა შეიწუნაროს სსსუფუველი ღმრთისა, ვითარცა ერმა, ვერ შევიდეს მას“ რასაკვირველია აქ იგულისხმება ბავშვების უმანკობა, ვუწოდებლობა, ალაღმარაფლობა და სხვა თვისებანი, რაც ბავშვებს აქვთ და რაც მიმზიდველია. მასწავლებელი ამბობს: „და შაიტობობდა მათ და დასხმიდა მათ ზედა ხელთა და აკურთხევდა მათ“ რა დიდებული და მომხიბლელი სურათია! მეორე შემთხვევაში, რაცა მოწაფეები ჰქვითხავენ ქრისტეს: „ვინმე უფროს იყოს სსსუფუველსა ცათასა“ — „მოუწოდა იესო ერმასა და დაადგინა შორის მათსა და რქვა: ამინ გეტყვი თქვენ, უკეთუ არა მოიქცეთ, და იქმნეთ ვითარცა ერმანი, ვერ შეხვიდეთ სსსუფუველსა ცათასა“, „რამეთუ რომელმამ დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ერმა ესე, იგი უფროს იყოს სსსუფუველსა ცათასა“ „და რომელმან შეიწუნაროს ერთი ერმა ესე ვითარი სახელითა ჩემითა, მე შემეწუნარებს“. ამ მაცხოვრის სიტყვებს აღტაცებაში მოჭყავს ცნობილი ზედაგოგი კომენსკი. „გაიგონეთ ყველამ რას ამბობს მაცხოვარი ჩვენიო“ — ამბობს კომენსკი. იგი გვაუწეებს, რომ მხოლოდ „ბავშვები“ შევლენ ღვთის სსსუფუველშიო, ისინი განდებიან მემკვიდრენი ამ სსსუფუველსა და მიუშვებენ მხოლოდ. იმათ, ვინც ბავშვებს დაუმსგავსებინა... ხელავთ, ჩვენ მოზრდილებს, რომელთაც თავი მოკვავჭვს ადამიანებად, ბავშვები უგუნურებად, მაიმუნებად მიგვაჩნია, თავის-თავს ბრძენს ვუწოდებთ, ბავშვებს — უგუნურებს, ჩვენს თავს მეტყველად არსებას, ბავშ-

ვებს კი ჭუნებდა ვრაცხთ, ჩვენ უნდა მივე-
ბართთ ბავშვების სკოლაში; ბავშვები ჩვენთ-
ვის მასწავლებლებია და მაგალითის მომცემი“.

ასე მაღალი შეხედულობისაა მაცხოვარი ბავშ-
ვებზე.
რამდენად სანასუნო საქმე აქვს იმას, ვი-



იესო ქრისტე და ბავშვები.

საც ბავშვების აღზრდას ანდობენ. რამდენად
გასაკიცხია ის მასწავლებელი, რომელსაც თა-
ვისი მოვალეობა რიგიანად არ ესმის. თვითონ

მაცხოვრის სიტყვით: „რომელმან დააბრკო-
ლოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ
მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოთუი-

კიდევ წისკვილი ვირით საფუკელი ქედსა, და დაინაქას იგი უფსკრულსა ზღვისსა. ეს სიტყვები მუდამ უნდა ასწავდეს ურმათა ანუ სრულეებს და როცა დღეს ვითვალისწინებთ 1911 წარსულს წელს ქრისტეს დაბადებიდან, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მაცხოვრის

წმინდა მოძღვრებანი, რომ ოდესმე კაცობრიობა მიუახლოვდეს იმ იდეას, რაც მაცხოვარმა დაგვისახა, მაგრამ კაცთა ცხოვრების უკუდმართმა მსუღუღლებამ ბევრი ტყუილმართი მტრება გარყვნა და გაათახსირა.

კახაბერი.



ვირების არჩევანი

(ჭებინელი)

ცხოველთა სამეფოს თვითმართველობამ განიზრახა თვითმპყრობელი მეფის არჩევა, რადგან თავისუფლება სულ მალე მოსწყინდათ. ცხოველები მეფის ასარჩევად მუდამ დღე იკრიბებოდნენ, ბაასობდნენ, ბჭობდნენ, დაუსრულებელს კრებებს ჰმართავდნენ.

საარჩევანო ყუთის გარშემო შეკრებილი ამომრჩეველთა ბრბო უთავბოლოთ ხმაურობდა. ცხოველთა ურიცხვი კრებულო ჯგუფ ჯგუფად დანაწილებულიყო და ათასგვარ საარჩევანო ხრიკებს იგონებდა, თავდავიწყებით საარჩევანო ქიშპობას ეწეოდა.

ვირების კრებას მეთაურობდა ხანში შესული ვირთა კრებულო. კრების მეთაურთა შუბლებს ამშვენებდა ფერადი ნიშნები, რომლითაც იგინი განიზრგოდნენ კრების დანარჩენ წევრთაგან. კრებაში მონაწილეობას ღებულობდა ვირების მცირედი ჯგუფი, რომელიც შეფედ ცხენის არჩევას მომხრეობდა, მაგრამ საჯა-

როდ ესეთი კანდიდატის წამოყენებას მეტად შიშობდა, რადგან ვირები კარგს დღეს არ დააყენებდნენ ესეთი კანდიდატისათვის.

მართლაც, კრებაზედ რაღაც საშინელება რამ მოხდა, როცა ერთმა ვირმა სამეფო კანდიდატთა ცხენი გამოაცხადა. ერთმა დიდყურამ მყისვე სიტყვა შეაწყვეტინა ორატორს და ესეთის სიტყვებით მიმართა კანდიდერს.

„შენ, მოლალატევ, შენა! შენ ვირის სახელს უსირცხვილოთ ჩირქსა სცხებ. სჩანს შენს ძარღვებში ერთი წვეთიც ვირის სისხლი არა სჩქედს. ვფიცავ გამჩენს, რომ შენ უთუოდ წმინდა წყლის ვირი არ ბრძანდები, შენ უთუოდ ფრანგების მიწა-წყალზედ გაზრდილ ქაკის ცხენის შვილი ხარ.

შეიძლება მე ვცდებოდე და ეს ასე არ იყოს, ყოველ შემთხვევაში შენ უსულუგულო, უგრძობელი ვირი ყოფილხარ, რომელსაც დღემდისაც ვერ შეგუგნია ვი-

რების სულისა და გულის კეთილ-შობილობა და სიფაქიზე. ვირების ეს თვისება ჩემთვის მთელს ქვეყნიერებაზე ყველაფერზე უძვირფასესია. მე ვირი გახლავარ და თვითოეული უმნიშვნელო ბეწვიც კი ჩემს კუდზედ მოწმობს, რომ მე კეთილშობილი ვირი ვარ.

არც რომაელთა და არც სლავთა გვარეულობის ვირი არ გეგონათ, მე გერმანიის მიწაწყლის ბუნებრივი ვირი ვარ. ჩემს წინაპრებსავეთ კვიანი, მტკიცე და კეთილშობილი ვირი გახლავარ. ჩემი წინაპრები მთელს თავის სიცოცხლეში ყოველგვარ სიბილწესა და თავხედობას მდგრად ებრძოდნენ; იგინი მუდამ დღე ხალისით, მაგრამ ამავე დროს სრულის მორჩილებით ეზიდებოდნენ ვეებერთელა ტომრებს წისქვილში.

ჩემი წინაპრები შვედრებად როდის ჩაითვლებიან! თუმცა მათი დიდებული ძვლები ჩაფლულია მინდორსა ან ტყეში, მაგრამ იგინი მაინც თავს დაგვცქევიან და სულიერად მუდამ ჩვენთან არიან.

ჩვენო წინაპარნო ვირნო! ჩვენი შეურყვევლი სურვილია ყველაფერში უეჭველად თქვენ დაგემგზავსოთ, თქვენს ანდერძს არ უღალატოთ და მაცდურების გზას არ გადაუხვიოთ.

ღმერთო! ვირად რომ დაიბადო, განა ამაზე უდიდესი ნეტარება კიდევ წარმოსადგენელია! ესეთი დიდუურთა შვილის-

შვილად ყოფნა, განა სანუკარი არ არის! მე მზათა ვარ თვითოეულის სახლის ბანიდან საჯაროდ ვიყვირო: მე ვირივარ! დიდუურა ვირი ვარ!

მამა ჩემი გერმანიის მიწა-წყლის შოლტიანი ტანის ვირი იყო, სწორეთ ისეთი ვირი, რომელსაც ახლა იშვიათად შეხვდებით: დედა ჩემმა სწორედ რომ გერმანიის მიწა-წყალზედ შედედებულის რძით მასაზრდოვა.

მე ქეშმარიტი ვირი ვარ და ამიტომ ყველაფერში და ყველგან მსურს ჩემს წინაპრებს მივბაძო. სამშობლო ჩემთვის საყვარელი და ძვირფასია, მე არასოდეს მას არ უღალატებ.

ღიახ, მე ვირი ვარ და კიდევაც ამიტომ გირჩევთ დიდუურა გმირთა შორის აირჩიოთ მეფედ უსათუოდ ვირი და ამნაირად მოაწყოთ ვირების სამეფო.

ჩვენ ყველანი სათითაოდ ვირები ვართ! ცხენებს გამარჯვებას ნუ ვარგუნებთ! გაუმარჯოს ვირის გვარეულობის მეფეს!“

ამ სიტყვებმა ისეთს აღტაცებაში მოიყვანა „დიდებულთა“ კრება, რომ ვირები ნიშნად კმაყოფილებისა ჩლიქების თქარუნით ერთბაშად ისე აყროყინდნენ, რომ ჰაერში დიდხანსა და დიდხანს გრგვინვის ხმა არ შეწყვეტილა.

მკერმეტყველი ორატორი უძრავად იდგა ერთს ადგილას და ნიშნად კმაყოფილებისა თავს ბრძნულად აქნევდა და კუდს მოხდენილად მალ მალ ატრიალებდა.

ა. ყუმისთაველი.



წუთები გაძევებაში

შველა წამერთვა; სიყვარული, თავისუფლება,
სიცოცხლე ჩემი ჩემთვის არის ამაოება,
არ მინდა ფისმე თანაგრძნობა და შებრალება,
წმინდა ცრემლიც-კი გულს მიქანტულს არ ეყარება!
ერთი და დამრჩა და მე ამით დღეს ვარ მდიდარი:
ეს არის ჩემი სანუგეშო წყევლისა ხარი,
მასაც შენ გიძღვნი, გაზაფხულო, იგი შენია,
შენს მოსაგონათ, შენს მოსაზღვნათ ეს დამრჩენია!

ხშირად მივდივარ ქაობის პირს ჩაფიქრებული;
ავლეების სისინს, ბაყაყთ ყიყინს მე იქ უგდებ უკრს,
და მეცინება, როცა მწყემსი კრძალვით მოხული
იქვე ამოსულ ლერწამიღამ იქრის სალამურს.

ეხ, უბედურო საწამლავი თან გამოჰყვება,
მწყემსო უფრთხილდი... მეგობრები მოგაგონდება!

ღამე არ მიძინავს, ვტოვებ ოთახს ჩემსა სამარეს,
წყევლოთ გაღებულს, წყევლა-კრულვით ვხურავ მის კარებს,
მივდივარ უცქერ მდინარეში კაშკაშა მთვარეს
და მას შევსძახი: მოეცალე ამ არე-მარეს!
მთვარევ სტყუევლები, მდინარეში მხოლოდ ლანდია,
შენივე სახე იქ შენს სხივებს დაუბადია,
ვერსადა ჰნახო გულის ტოლი შენ ქვეყანაზე,
ვერ დააჩნო შენი სხივი წყალს წარმავალზე!

თვალს ვავლებ ჩემსა გარეშემო უცხო ქვეყანას,
გული უცხოობს, ჩემს სამშობლოს იგი არა ჰგავს,
და ფიქრი ჩემი, ჩემი ფიქრი იქით მიფრინავს,
ჰსურს კიდევ აჰყვეს, ფრთათ მოგბას სამშობლოს ნიავს!
ეხ, გამობრუნდი, ფიქრო ჩემო, რა დაგრჩომია?
ერთი რამ გქონდა იქ, და აქაც თან მოგყოლია!
მწარე ფიალა ავსებული სამშობლოს მთებში,
ვით გულის სატრფო, თან გამოწყვა აქ უცხოეთში!

მიყვარს მე მწუხრი, მოსაუბრე ობოლი გულის
 მომგონებელი ამა წუთთა, ამშლელი წყლულის,
 მიყვარს ვარსკვლავი მოციმცივე ტრედის ფერს ცაზე,
 ფოთოლთ ჩურჩული, ყვავილთ შრთოლა მწუხრის ნიავეზე.
 მაშინ ნავი ვარ მოსრიალე ოცნებით ზღვაზე,
 ხან ბუღბუღი ვარ მოქანცული ეკლიანს ვარდზე,
 მაშინ ელვა ვარ დაკვერილი მთისა მწვერვალზე,
 მაშინ ვარ ბინდი, წმინდა ბინდი წმინდა ტაძარზე!

ჰოი, ოცნებავ რა ფართოა შენი ქვეყანა,
 სად არის მითხარ, იგი მწუხრი ჩემსა გარშემო,
 შენ დაჰსრიალე აქაც, იქაც, დაჰჭრი ყველგანა
 ჩვენკი ობლათ ვართ, მარტოთ-მარტო, ბორკილო ჩემო!

ი. ევლოშვილი.

ქ. სოფლისკოდაძე
 1911 წ.

ზამთარი

ქაერი ზამთარი დაგვიდგა,
 მუსრი გაავლო ყველასა;
 ტყის ნადირთ, ტურა-მელეებსა,
 ფრინველთ და ქია-ყელასა;
 ვინც თბილად ველარ დაუხვდა
 მან მოუმატა ხველასა,
 კარს მიაყენა ტანჯვები
 ობოლს და მარტოხელასა!

დადუმდენ, ბაგე შეეკრათ,
 ველარა სძრავენ ენასა,—
 ჩვეულნი შუღლის დათესვას
 და ღვარძლიანად კბენასა;
 ეხლა ნურავინ მოეღიოთ
 იმათგან რამით წყენასა,—

რადგან ზამთარმა მოჰკვეცა
 ფრთა მაგათ აღმაფრენასა!

იუდა მწარედ ცოდვილობს,
 დრო აღარ სწყალობს, აღარა;
 მოხუცებულა საბრალო,
 გამორევია ჭაღარა;
 —თუ წინად ყიდდა სიმართლეს,
 და ჰქონდა ყალბი ნაღარა,—
 ეხლა ვერ უძლო ზამთარსა
 და სიბოროტე წაჰყარა!...

ეჰ! დაილოცოს ზამთარი...
 ძირი ეთხრება სიავეს!...
 მას გაზაფხული მოჰყვება,
 ვიგრძნობთ შვებას და სიამეს!
 ლადო გეგეჭკორი.

ქვენი

(ბაბისა და შაქრის)

სასობიან გულისა თრთოლით
ლექსთა წყობის ღმერთს ვსთხოვ-ვევედრები
მადლი მომფინოს მე შთაგონების,
პოეზიისა მიძღვნას ჰანგები.

სულისა სწორებს, ძვირფას მეგობრებს
მსურს მიულოცო წამი ნეტარი,
მსურს იმათ წრფელი გრძნობის საქებრად
აფაწკრიალო შვებისა ქნარი.

ვითა რიყრაჟა განთიადს
ვარდი კოკობად ფურჩქნული
შვენის, კეკლუცობს, ნარნარობს
აღმასის ცვრებით ფრქვეული,
ვითარც მოწმენდილ ცაზედა
პირ-გაბადრული მთოვარე
მისცურავს სპეტაკ გედივით
მკრთალი სხივების მთოვარე;
ვით ნაკადული მაღალ მთის
ბორცვებზე გადმომდინარე
ვერცხლის ქველებით ლიკლიკებს
ჩქვილ ბავშვებრ პირ-მომცინარე,
ვითარც ნიაფი წალკოტის
პირმშო, უბადლო შვილია,

ცელქობს, გიჟმაჟობს, ფრთა მალობს
მარადის მოღბენილია;
აგრეთვე, სულის სწორებო,
თქვენი სიცოცხლის დღენია
სიხარულ-სიტკბოებისა
იყოს ნათელის მფენია.
ცხოვრების გზაზე ყოველთვის
გეფინოთ ვარდნი, იანი,
თქვენსა სიყვარულს ჰკვირობდეს
ბულბული ამოხმინი.
ურიცხვ ვარსკვლავთა ლაშქარი
თქვენს ტრფიალს დასციმციმებდეს
და მთის ეთერი, ფრთა მალი
თქვენს ალერს ამუსიკებდეს,
თქვენი გულისა სიმღერა
ნიაფს აჰქონდეს ცათამდე,
ბედნიერ იყვნეთ, ძვირფასნო,
უკუნით, უკუნისამდე.

დ. თურდოსპირელი.

ს. ვარდისუბანი
ნ აგვისტო

პირველი დღე

თარგმანი

(სემინარიელების ცხოვრებიდან)

დასასრული

შეკლესიიდაჟ პირდაპირ სასაღიღოდ უნდა
წავიდნენ, მაგრამ ზოგნი ამ წესს არ ემორ-
ჩილებიან, საუკუნისაჟენ გარბიან პაპირისის
მოსწევად.

სადღის წინ სეჟენარელები ლოცულობ-
ბენ, გაღობქ-გაჰკიფიან, რაც ძალი და დონე
აქვთ.

მარხვის დღეა. სადაღათ აქესთა: სამარხ-

ფო წვინანი, ფლაფი და შემწვარი კარტოფილი.

სასადილო ოთახი არეულ-დაჩეულია; ამასთან გქელი და ჭუჭყინი. სტოლებზედ ჭუჭყინი სუფრები აფარია, ხელსახოცი არა აქვთ, ზირ და ზირ ცხვირსახოცებით იწმენდენ ხელ-ზირს. მოსამსახურეები, რომლებიც საჭმელებს ეზიდებიან, მოთხუზნულები არიან, სახესხედ კრთა იქნება სისუფთავე არ ეტეობათ, ტანთ ძველი მოქონილი „ზიჯაკები“ აცვიათ.

სასადილო ოთახში ოღრო-ჩოღრო ქვის იატაკი აგია. კედლები მოფურთხებულია; აქა-იქ მანძირისი ნაშვრები ჰყვია. სემენარიელები ამ ოთახში სადილობენ უშნოთ და უღასათოდ, მაგრამ ძალიან პადიანად. ზურს რომ სქამენ, ხმა მადლა ღაპრაკობენ; ჩანგლებით კბილებს იხიქნიან.

ერთ გუთხეში, ფეხის მახლობლად მეოთხე კლასის შკეინდები სხედან. აქაც, როგორც კლასში, ამხანაგებას გამ მხიარულებული იმითი სული და გული ნეგაჟეკია. ღაპრაკობენ ბანქოს თამაშობასზე.

— ბანქო კარგია, — ამბობს ნეგაჟევი, მაგრამ ხომ იცით უიმისოთ არა იქნება რა. ნახევარი „სადგურის უფროსისა“ არ მოვატანიოთ?

ამხანაგებს კარგად ესმით ნეგაჟევის სიტყვები: „სადგურის უფროსი“ ეს არის ბოთლია, რომელსაც რკინის გზის სადგურის უფროსივით წითელი ქუდი ხურავს ე. ი. ქაღალდი აქვს გადაკრული. მეორე ნაირ არაყს, მოზრდილა ბოთლით, სემენარიელები მიტროზობლიტს ეძახიან. იმას თეთრი ქაღალდი აქვს ზეკოდან გადაკრული და მიტროზობლიტსაც ხომ თეთრი კუნკულა ჰხურავს.

— ნახევარი რაღა? მიემხრენ ნეგაჟევის ამხანაგები. რახან მოვიტანთ, მთელი მოვიტანიოთ, შუასხედ რა გასაყოფია! განა „სადგურის უფროსი“ ისეთი პურიგო კაცია, რომ შუასხედ გავგლიჯოთ?

— მას თუელი გამოვიდოთ? — ამბობს ნეგაჟევი

— უსათუოდ! წამოიხურეს თავის რომ ხმით ტერენტი საღონიკოვმა და სტოლებზედ აბაზინი დააწვრიალა.

— შესატანებელი რამე არ გვინდა? გამოვლანარაკა მეორე სტოლიდამ ჩუმის ხმით სხვა სვიატინოსოვი, რომელსაც შეტ სახელად „დალდა“-ს ეძახდნენ.

სვიატინოსოვს ეძინოდა იმისი ნათქვამი სიტყვები ინსპექტორს არ გაეკონა, რომელიც სასადილო ოთახში დასვირობდა; მაგრამ სვიატინოსოვის შაში სულ ტუეილი იყო. იმ გვარივე ღაპრაკი ეველა სუფრასზედ იყო გახლებული. ეველას ღაპრაკი ერთ გამოურეველ ხმურობათ იყო გადაქცეული, ასე რომ კაცი ძნელად გააჩევედა ვინ სად ან რას ღაპრაკობდა.

სადილი გათავდა. უფროსები წავიდნენ თავიანთ სახლებში სადილის საჭმელათ. მოსამსახურეები არაყს მოაქანებენ. თითო ბოთლის მოტანაში ორ შაურს საჩუქარს იღებენ.

ბანქოს თამაშობა იწყობა. თამაშობენ მხოლოდ საყომრასო სათამაშოებს; ბანკს, ოცდა ერთის, ხელუსტს.

არაყს სვამენ. მერქიფე ნეგაჟეკია. ასხმს არაყს და ღაპრაკობს:

— ვმწვიდებო! აი ესლა სულეველანი ჩვენ ერთად ვართ... ე. ი. მე და თქვენ... ჩვენ სულ ვეველანი არაყს ვსვამთ. მაგრამ სულ უფველავის კი არა ვსვამთ ე. ი. სულ უფველ დღე. განუწვევტლივ არა ვსვამთ, უნდა კი ვსვამდეთ...

— განუწვევტლივ! ხა-ხა-ხა! აი და ბიჭო! ჩანსველა ნეგაჟეკმა ეელი, — გაიხარხარეს სემენარიელებმა.

— ნუ დიჯ-დიჯებთ „ხიველებო“! სიტყვა დამთავებინეთ, — არა დრკებოდა ნეგაჟევი. — ჩვენ რა საღხი ვართ? რომ დავღვეთ აქეთ იქით ვიცქირებით, ხო არსაიდან გვეპარება

„ზახარკა“ ან „თხა“ — ის სემენარიაში
საქმე სულ სხვახარად არის; ისინი უფრო
არაა. მე ვიცი იმათ შორის თავიანთი საკუ-
თარი ბუფეტი ჰქონდათ.

ნეკაუევი ამხანაგებს თვალი გადავლო.

— როგორ თუ „ბუფეტი“? — ჰკითხეს ცხო-
ბის მოყვარეობით ამხანაგებმა.

— როგორ და ისე, თითო „მსეცხედ“
დაწესეს ათ-ათი შაური. ამოიჩინეს მერიქი-
თეები და საქმე განისრვა. ვსთქვათ უგანასკელი
გაკვეთილი გათავდა. მასწავლებელი და გარე-
დან მოსარჩლე შეკირდები თავიანთ სხლებ-
ში წავიდნენ. დანარჩენი შეკირდები ჰკათან-
მიდინ მწკრივად და თავიანთ წილს სვამენ.
გადაჭკრავ ესე ჰაწი გაბერილს ქიქს, ბურბ-
საც რა უფართ, იმნარს და ჰვიდა სსსდი-
ლო ოთახში, იქ ზედ საჭმელს რასმე დაყო-
ლები. როგორ კარგია სადილ წინ!

სულელებმა სიამოვნებით გადინხარსრეს.

— რა კარგია და!

ნეკაუევი ამხანაგების სიტყვებზედ უფრო
გათამამდა და განაგრძო მ-ის სემენარიალე-
ბის ამბავი.

— კვირაობით კიდეც, როდესაც სემენარიაში
მწვანელებთან ღამნარკუს მართავდნენ,
„ბუფეთის“ საქმე უფრო უკეთესად მიდიდა.

ხალხი, რასაკვირველია, სემენარიაში ბევრი
მოდიოდა. ეგულას კი არა, მაგრამ ვისაც იც-
ნობდნენ...

— აბა გინდა გადატეცხლა? — წაიყვანდნენ
მამინვე გარდერობში... იქ „ბუფეტი“ უკვე
გამზადებული იყო. ერთი ასხამს, მეორე
თუფს იღებს, მესამე აქეთ-იქით იფურება,
რცხო ხომ არაფინ მოეჩინებაო. ეჭვს კაპუიკათ
გადატეცხლე ცხარისა და გამობრუნდი მადე,
სხვებს ხელს ნუ შეუშლი.

„ხიველები“ აღტაცებაში მოვიდნენ; ტაშიც
კი დაუკრეს.

— რა უფროდები უფროდნენ! მთლი იმათი
სადლეგრძლო დაველიოთ!

მეორე „სადგურის უფროსი“ მთაწანიეს.
— ძმებო! — ჭირვეულობს ნეკაუევი. არაფი
დალიეთ, მაგრამ განსოვდეთ ზირველი: მცნებს
ამადლების ეგდესიის მოაფარ დიკვენისა: „სა-
მელს ძალს ნუ დატან“. ჩვენ ერთი თვეზის
ნაჭერიდა დაგვრჩენია.

— ან ეგ რათ გვინდა! — დავეუფოთ და ზედ
ჭკერს დავაყოლებთ... ლუდლუდებს გაბრუე-
ბული სიმონ როჭდენსტვენსკი. — დალიე, თან
ჭკერი შეისუნთქე... ისევე დალიე...

— მთლი დიტარა მოგატანითო! მიუბრუნ-
და ამხანაგებს „დალდა“.

დიტარა მოიტანეს. „დალდამ“ სიმებს თი-
თები ამოჭკრა და მშენიერად დააფარდა.

სადანდაც შემოძვრა „ჩმაგი“. ჩვეულებ-
რივ ილღიის ქვეშ რადებიც აქვს ამოდებუ-
ლი.

— „ჩმაგი“ ითამაშე — უთხრა ვიღამაც.

ჭო, ჭო, „ჩმაგი“ — აბა ერთი ჩამოყარე.
ჩანცივდნენ სხვებიც.

— წადით, მომშორდით! ხელსა ჭკრავს
„ჩმაგი“. თქვენ ისა სჯობინ ეს სურათების
გადასალები მანქანა გაშინჯოთ. მშენიერია.
შემთხვევით იუღება. ასე იათვად იძვითად
შეხვდებით.

ხა-ხა-ხა! გადინხარსრდა კომპანიაში. ვინც
რას უნდა აკეთებდეს „ჩმაგი“-კი ფაჭტობს.

— შენ რომ ფაჭტობა დაგეწყო, ჩემო ძმეო,
ბევრით ისა სჯობდა, მილიონებს შეიძენდი.
თორემ უნდა რა იქნება! მთავრობას აპირებ.

— უთხრა დაცინვით ნეკაუევი. — შენ მომა-
ვალს, შენ ნიჭსა დუშავ.

ამხანაგები ისევე ჩანცივდებიან „ჩმაგს“:

— „ჩმაგი“ თუ ძმა ხარ, ერთი ითამაშე.

აბა ერთი ქიქს არაფი გადაკვეთინეთ. არა-
ფი დაუსხეს.

„ჩმაგმა“ გადაჭკრა. თვეზის ნაჭერი აიღო.
ცოტა მოჩინქნა და ისევე თეფშზე დასდო.

— მას კარგი. აბა დაუკა „დალდა“.

გამართა თამაშობა. რაჭდენსტვენსკი, რო-

მედიც ამხანაგებს ურჩევდა. არა ეს ჭკერი და-
აფოლეუთ სოფლეთ, მთლად დაითრდა, აღარა-
ფერი გაეგებოდა. ეკლავ აქვე გქელ სკამზედ
და რადასაც ლუღლუღობდა.

ასე ატარებდნენ პირველ დღეს სემკინარიე-
ლები იმ შენობაში, რომელსაც რეკტორმა
წალოტო უწოდა. სადამოს ცხრა საათზედ
შეგირდები ვახშობდნენ; შერე ლოცულობ-
დნენ. ათის ნახევარზედ უნდა დასაძინებლად
წასულიყვნენ. ამ დროს ღამიერებს აქრობდნენ
ხოფში; კლასები გამოკეტილი იყო. სუვეე-
ლანი უნდა დაწოლილიყვნენ.

მეთორმეტე საათი დაიწყო. შეგირდებს
ისევ ღვიძავთ. საწოლ ოთახში სინათლე თდ-
ნავად ბუუტავს. ჭკრზედ მგრთლად მანათობე-
ლი ფარნები ჭვიდია. ვინც ფარნის ახლოს
წევან წიგნსა კითხულობენ, სმუდამოთ თვა-
ლებს იფუჭებენ.

ნეკაუევის საწოლთან რამდენსამე შეგირდს
მოუყრია თავი. თვითონ ნეკაუევი ტიტველას,
ტანისამოსი გაუხდია, აგრეთვე სხვებიც. ნე-
კაუევი ჩახრინწინებულეი ხმით რაღაც სასაცი-
ლო და გამრუგნელ ლექსებს უკითხავს ამხანა-
გებს.

შეგირდები უყრს უგდეებენ, რა ქნან მოწყე-
ნილები არიან. არც ეძინებთ.

როდის იყო ეს ამბავი

ან სად, ვერ მომიგონია,

ახა ერთი

ნეკაუევიმ შესწავლიტა. ფეხის ხმაურობა მო-
ისმა.

— ინსპექტორი „ზახარკა“ გაისმა შე-
გირდებში. შეგირდები თავიანთ ლოგინების-
კენ გაიჭტნენ და საბნებში წაეჩვივნენ. მაგრამ
ტყუილი შიში გამოდგა: ინსპექტორი კი არა,
ორი შეგირდი მთვინე დასაძინებლად, დაახრე-
ნილები უოფილიყვნენ სადამოს ცხრა საათამ-
დის და დაგვიანებლად თ შეესოფესთვის ათი
შაური მიეცათ შემოსაშვები. შიგ სემინარი-
ში მზარეულს შემოკვარებინა.

— აჰ, ცუდი ჭკერი ტრიალებს — ამბობს
ერთი შემოსუთაგანი, სოპიკოვი.

— მართლაც შეხეთული ჭკერია.

— დასაძინებელ ოთახში მა როგორ გინ-
დათ? პასუხი მისცა ვიღამაც ლოკინილამ.

— რასკვირგულია! ემოწმება სოპიკოვი და
თავის ლოკინისკენ მიდის.

— „ზახარკა“ არ შეგსკვდრათ? ეკითხება
შემოსულებს ნეკაუევი.

— არა, ჩვენ ჩემად შემოკვარეთ, კარზედ
ძალზე ბნელა.

„ზახარკას“ ოთახში სინათლე მოსჩანს,
— სთქვა ვიღამაც.

— მაშ ჩამოიფლის კიდეუ. ამბობს „დალ-
და“ და თან საბანში ეხვევა.

საწოლ ოთახების მეორე ადგილას სხვა
შეგირდები საუბრობენ. ერთი მათგანი მხარ-
თეობზედ წევს და უყრს უგდეებს. მეორე
ასინი, „ფერმგრთალი ემაწვილი; პირველ წა-
წოლილას, ხელები თავ ქვეშ ამოუღვია და და-
ბალ ხმით ღამარაკობს:

— ჩვენ სოფლის ახლო დიდი წყალი ჩა-
მოდის... განიერი კლდისანი ნაპირები აქვს.
შიგ მადარობია გაყვანილი... ქვებს ეზიდე-
ბიან იქილამ. ისეთი თეთრი და რბილი ქვე-
ბია, რომ შეტი არ შეიძლება. ამბობენ ერთ
მადაროს ორი ვერსი სივრძე აქვსო.

— ტყუილი იქნება... — უთხრა მიშამ.

— არა მართალია: მე თვითონ ვუთხარი
იქ, მუშებთან შევდიოდი ხოლმე. შიგ რკინის
ლიანდაგი ავია. ვაგონებს ლიანდაგზედ ცხენე-
ბით ეზიდებიან... მუშები, როგორც თხენე-
ლები, ისე თხრიან მიწას. სამინდადა ბნელა.
მუშები რიგ-რიგათა მუშობენ: ზოგი დღო-
სით, ზოგი დამით. დილით რომ შევდუნა,
სადამო ხანზედ გამოდიან, დაღამებისს. ისე
რომ მზეს ვერა სეღვენ, მთელ თავის სი-
ცრცხელეს სიბნელეში ატარებენ.

— მიშამ ჯერ პასუხი არ გასცა. ზურგი

ლაპოვისაკენ ჰქონდა შექცეული, საჩუ ადარ უჩანდა, გეგონებოდათ დაუძინაო.

— გძინავს მიშა? — ჰკითხა ასინმა.

— არა! ფიქრებმა გამიტაცეს, — უთხრა წყნარის ხმით მიშამ.

— რაზედა ჰფიქრობ?

— მადარობზედა! სავეინკველმა ჩრებმა გამიბრინეს თავში...

მიშამ წამოაწია, ნიდაუვზედა დაუერდო და ასინისაკენ გადახარა.

— რაო? ჰკითხა ასინმა.

— ჩვენ... ჩასძახა ავანკალებულის ხმით მიშამ, — რითი განირჩევა ჩვენი ცხოვრება იმ მუშების ცხოვრებიდათ, რომლებიც მადარობაში არიან, მზის სხივებს ვერა ხედვენ და თავიანთი სიცოცხლეს სიბნელეში ატარებენ. ჩვენი სემ ნარაიც ნამდვილი მადარაო. აქ ბნელა, აქ მზე არსიდან არ ამოქებს! ვეწვეთ უტუნურ, უზრო ცხოვრებას. სემინარიაში დამყარებული წეს-წყობილება გულს და სულს გვიმახინჯებს. აქაური სისტემა ჯერ წინეთ რა იყო და ესლა ხომ მიუტოვებულ ცოდვათ უნდა ჩაითვალს. ამდენ უმაწვილ-კაცობას სულს გვიხუთავენ; ფოკლებზე ჰატოისან სურვილს გულშივე გვივლავენ. ეს კედლები ჩვენი სამარაოა. აქ იმარბებიან ჩვენი კეთილი მისწრაფებანი. ქრისტიანობა, ეს უმადლეო სარწმუნოება, რომელიც უნდა კაცის ბუნებას ასვეტაკებდეს და შეუოქმედოსანც გვახლოვებდეს, დღეს ჩვენთვის რაღაც უმინასარსო წიგნების მასალად გადაქცეულა. ზეპირად გვასწავლიან უმნიშვნელო სიტყვებს, — მას ეძახიან შეცნიერებას... ქრისტიანულ სიუვარულს, ქრისტიანულ ჩხე-ჩვეულებას სახარებიდან კი არ გვასწავლიან, არამედ ვილაც ხედავკავის წიგნიდან, რომელიც ყოვლად უვარგისია და კაცის დამამახინჯებელი! დმერთო ჩემო, რამდენ შეცირდისოვის მოუკლავს ამ წიგნს გული, რამდენს დაუკარგავს თავისი მომავალი ამ გვარო წიგნების შეტებით!

გომილეტიკა, ეს ისეთი საგანია, რომ კაცს მსკერ-მეტეველ ბას უნდა ასწავლიდეს. გომილეტიკას მცოდნემ უნდა მსმენელთ ღვთიური ნაბერწვალი აღუძრას, ქრისტიანობას გზა გაუკაფოს.

ჩვენ კი როგორ გვასწავლიან ამ საგანს? გვახეპირებენ ათასჯერ დაღუპილ სიტყვებს, გვასწავლიან დაძველებულ ქადაგებებს, რომელთაც ადარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვსთ. საეკლესიო ისტორია? ამასაც ისევე გვადეჭნიებენ. გვითქვიფიფვენ თავში როდის რამელი ჰატრიარქი სცხოვრობდა, რას აკეთებდა და სხვა.

დმერთო ჩემო! ჩვენ ხომ მზეს ვერა ვხედავთ, ისე როგორც ვერა ხედვენ მადაროს მუშები. ჩვენ და იესო ქრისტეს შორის ხეობით აუღლებულები არიან უგვარო წიგნების დამწერნი, რომელსაც ჩვენ გვასწავლიან, ვილაც სელარსკები, ფაბორსკები, ორდები და სხვანი. ესენი გზას გვიბნელებენ, სიმართლეს თავლით არ გვანახებენ მე დარ შემიძლიან ამდენი მოთმენა! სული მიწუსს. სტოცხლე მწუერინა, აქ კი სიცოცხლეს გვიქრობენ. მე მინდა ვიზოვო ნამდვილი ცხოვრება და ესენი კი ნამდვილ ცხოვრებას გვიმაღლვენ. ჩვენ გვეუბნებიან: თქვენ უნდა იუვენეთ „ნათელი ქვეყნისნი და მარილი სოფელისანი“. საიდან უნდა ვიუვენთ ნათელი ქვეყნისანი, როცა სინათლეს, ნამდვილ ცხოვრებას, გვიმაღლვენ, წინ გველობებიან! ხომ ვიცით არის ნამდვილი ცხოვრება ქვეყანაზედა. ხომ ვიცით რომ არის ქვეყანა, ნამდვილი, ღვთისგან შექმნილი, ცაბარწვიფიფებული ქვეყანა. ხომ არის ამ ნაირი ქვეყანა? არის იქ, სადღაც ჩვენს ახლო. იქ სიცოცხლე სდულს და გადმოსდის, იქ მუშობაა განქარებული...

და ჩვენ! „ხიველებმა“ ამისი არა ვიცით რა... სემინარია ჩავგჩინებებს ცარიელ სიტყვებს. მე სიტყვები არ მინდა ცარიელი. მე ნამდვილი ცხოვრება მინდა. მე მინდა შეო-

ქმედებითი ძალა შექმნდეს ცხოვრებაში. მე მი-
და ჩემი ცხოვრება ისე მოვაწყო, როგორც
იყო ქრისტი გვამცნევე და არა ისე, როგორც
აქ გვეუბნებიან.

დარწმუნებულად როდისმე წაიხსენებ, სადა-
მე ვამხედ, სოფლის მამოკრებით, მინდორ-
ში? თითქმის სულ უგეჯგან სიხუმეა! რა და-
აკვირდეს კარგად კი ჭკაერში უგეჯგან ხმაურო-
ბა გაისმის, სსსიამოვნო ხმაურობა გაისმის,
სსსიამოვნო ხმაურობა! აშკარადა გრძნობ, რომ
ქვეყანა სუნთქავს, გვეურება ქვეყნიერების მა-
ჯის ცქება!... აი ნამდვილი სიცოცხლე! სი-
ცოცხლით სავსე სიცოცხლე!..

ჩვენი სიცოცხლე?.. არა, არიან, მე მწამს,
რომ არის ბევრით უკეთესი ცხოვრება იმ
ქვეყნად კი არა, ამ ქვეყნად. დემურთი მკვდრებს
რას უნდათ, დემურთი ცოცხლებისა. ნ. მ. ჯი-
ლი ცხოვრება-სასუფიერებელი დგომისა, აქ ჩვენს
ახლად. „მოსძებნიდეთ მას და იპოვიდეთ“.
მიიხარო, ასან, მარტაღს ვამბობ თუ არა.
არის თუ არა ჩვენი ცხოვრების გარდა სხვა
ცხოვრება, ისეთი ცხოვრება, სადაც არ არის
არც ბანქოს თამაშობა, არც არაყის სმა,
არც უწამწური ლაზღანდარობა, არც ზედასკო-
სადარსკისთანა წიკნები? შეგნებული, გულ-
ტურული ცხოვრება, ისეთი რომ კაცი მუდამ
ახალ რასმე სწავლობდეს, რომ თავის მოძ-
მესთვის სწუხდეს და მუშაობდეს, — ამ გვარი
ცხოვრება არის თუ არა, ასან, მიიხარო დგომის
გულისთვის...

მიშ, ლაზარაჟით მოიდალა, მაგრამ იმისი
მეტყველი თვალები სიტყვებზედ ძლიერად
ბრჭყეინავდნენ.

— არის, მიშა, მე მრწამს რომ არის. —
უზასუხა თამამად ასანმა.

ასანი გაჩუმდა და ცოტა ხანს უკან ისევ
განაგრძო.

— წავიდეთ დობატში, მიშა! უნივერსი-
ტეტში! იქ სემინარიელებს იღებენ იცი!..

— წავიდეთ, ჩემო მეგობარო. — ერთი წე-
ლიწად კიდევ დაგვრჩენია აქ...

— როგორც იყავს, მოვითმინოთ. შერე
კი ერთად გავსწოთ.

— მაგრამ მოვითმინოთ კი ამ ერთ წელი-
წადს?.. ოჰ, ძნელია ძალიან აქ ეოფნა.

— ძნელია, მაგრამ რა უყოთ! ხუთი წელი-
წადი მოგვითმინია, ერთი და დაგვრჩა.

— ხე, ნეტავი მართლა ჩვენი იუქრები
შეგვისრულდებოდეს!.. ლუღლუღებდა ჩუმად
თვალ-ცრემლიანი მიშა.


— მოდი, მიშა, დემურთ შეგვეკდროთ. —
სთქვა ასანმა.

— მოდი! მაშინვე დასთანხმდა მიშა. ვი-
ლოცოთ ესე ჩუმად, უსიტყვოთ... დემურთი
ხომ გვხედავს, დემურთს სულუგუღაფერი ეუ-
რება: ჩვენი გულის წადილი.

ასანი და მიშა წამოჯდნენ ლოგინზედ და
დაიწვეს ლოცვა. ისინი ეგვდრებოდნენ სხარე-
ბაში აღწერილს დემურთს, რათა მოეკლინა
მათთვის ახალი, უკეთესი შეგნებული ცხო-
რება.

სემინარიელებს ეძინათ. საწოლ ოთახებში
შკვდარი სინუმე იყო ჩამოვარდნილი.

ვლ. ე - ლი.



შემოდგომა

ჟუძღნი

ი. გრიშაშვილს.

დავილაღე.. საოცნებო განსვენება სულს სწყურია,
დავილაღე.. მწარე ნაღვლით ჩემი სახე დაიჩრდილა.
შენი სახეც, ჩემო კარგო, დაღალული.. ზედღურია,
ვინ მოგიკლა სულის შვება, ფიქრით ნაფარდი, ტრფობის დილა?

დავილაღე.. დავილაღე მოსვენება ორივეს გვსურს..
ეჰ, ვინ მოგვცემს თავ-შესაფარს.. ვინ გადაშლის უშლელ კუკურს?
მაგრამ, ღმერთო, სთქვი რას ნიშნავს ეგ ღიმილი ღვთაებრივი?
— ეგ წარსულ დროთ მოგონების საოცნებო არის სხივი.
— ახ.. ისევე იტანჯები.. აი შენი წმინდა წყლული.
— ეს აწმყოსი არის სხივი უსიცოცხლო.. უფერულა.
— მაგრამ შენ რომ ნელ-ნელ სტკნები ერთ დროს ვნებით ანაგზნები?
— ეს მომავალს მიკარნახებს.. მთლად დასტკნები.. მთლად დასტკნები!
— ნუ დასტკნებ, ჩემო კარგო, გვედრები ნუ დასტკნები!
შეიწირე ჩემი ცრემლი და სამგოსნო ჩემი ხმები.

ახმაურდა ნაზი სიო, ძირს დაჰყარა ოქროს ცვრები.

— ნუ დასტკნები ნუ დასტკნები—ცის ფერ ყვავილს ვევედრები.

ვტკნები... მაგრამ სიცოცხლე მსურს.. ვტკნები, მაგრამ ყოფნა მინდა—
სთქვა ყვავილმა, ძირს დაემხო და სიმწარით აქვითინდა.

მაღე დაჰკრავს შემოდგომის სუსხიანი, მწარე ქარი.

ზენაარო! მიეც ყველას სუსხის დროს თავ-შესაფარი.

მე კი.. მე კი უსასოო ხეტიალში უხმოდ ვკვდები,

ნუ დატკნები ჩემო კარგო, ნუ დასტკნები, გვედრები.

რაა ჩემთან ქარიშხალი, რას დამაკლებს მწარე ბედი!

ვივლი სანამ სიყვარულის სხივს არ მომცემს შემომქმედი.

ყვითელ ფოთლით შეიმოსა გაზაფხულის მთა და ველი,

ყვითელ ფოთლით დაიფარა ტყის სიჩუმე უდარდელი,

ყვითელ ფოთლებს შემოვივლებ, ნუ დასტკნები, ნუ დასტკნები,

ავიტაცებს ჩემი ქნარი, გაგაცოცხლებს ჩემი ფრთები;

ნუ დასტკნები, ჩემო კარგო ნუ დასტკნები, გვედრები!

— მე მეძახის.. მაგრამ ზეცავ. შენ ხომ შენის ფერით მკვებე..

შეიწირე ჩემი სული სევდიანი.. მეოცნებე.

შეიწირე ჩემის მწუხრის და იღუმალ ლოცვის ხმები.

—ნუ დასტკნები, ნუ დასტკნები—ცის ფერ ყვავილს ვევედრებ.

დასკვნა კადეც.. აი მისი უსასოო წმინდა ფერფლი
შეიწირე ზეცავ.. ზეცავ.. შემოდგომის ნორჩი მსხვერპლი.

როთმებისგან მე მსუბუქი იმას კუბო დაუწვანი,
„სულთა თანა“ რომ ვუმღერე ცელქმა სიომ მომცა ბანი;
ჩემს გულში ის დავასვენე.. იქ მივეცი ბინა წყნარი...

მალე დაჰკრავს შემოდგომის სუსხიანი მწარე ქარი,
ზენაარო! მიეც ყველას ამ დროს მყუდრო შესაფარი.

ხიდან ფოთლებს ჩამოცვენილს ჩაყვითლებულს, დამკვნარს, გამხმარს
ვინლა მისცემს მყუდრო ბინას, ვინლა მისცემს თავ-შესაფარს?
ცაზე ბურბურს და მთის წვერზე გადაფენილ ღრუბელთა ჯარს
ვილა მისცემს მყუდრო ბინას, ვინლა მისცემს თავ-შესაფარს?
წვიმის წვეთი სევდას მღერის, ობლობისას აუღერებს ქნარს,
მას ვინ მისცემს მყუდრო ბინას, მას ვინ მიცემს თავ-შესაფარს?
ხედავ, ზღვაზე იალქანი როგორ ელტვის შვების საზღვარს,
მაგრამ ტყვილად იბრძვის, სცდილობს, არვინ მისცემს თავ-შესაფარს..
შენც ნუ იტყვი, ამოების ქსელში წმინდა შვება ვსცანო,
შენ, ჩემს გულში დამარხული დაფლეთილო იალქანო!
მგზავრმა გნახა ყვავილი და ზედ დაგადნო მკრთალი ძალა,
შენ მას დიდხანს ვერ ატარებ.. დაილაღე.. დაილაღა!

მალე დაჰკრავს შემოდგომის ქარიშხალთა ზიზღი, შური..
ზენაარო! მიეც ყველას ამ დროს მყუდრო ნავთ-სადგური..

გ. ტაბიძე.

ჩემი საგოდებელი

❶ ირილისაა საწუთრო,
სევდის და მწუხარებისა:
სიკვდილ-სიცოცხლე კაცისა
არ არის თავის ნებისა.
ბედი და ბედნიერებაც
ამიტომ არსად არისა.

გიჟი და რეგვენი არის
ვინაც სხვა რიგად ჰგონებსა:
ბედნიერებას ვინ მისცემს
ბატონის ხელში მონებსა
და ყასბისაში—საკლავსა
ბეჩავს ცხვარსა და ძროხებსა.

უწამლო-უსაშველოს არ *)
გავიხდი სადარდელადა,
მაქვს რა ის მხოლოდ ზიზღითა
და ბრაზით მოსაგონადა,
მაგრამ ერთი რომ ბატონობს
და სხვა იმის მონადა,
სასწაო მიწა-წყალი რომ
გავვიხდა სანატრელადა
და ჩრდილიც თავისუფლების
საძებრად, საბრძოლველადა,—

*) უწამლო—რასაც წამალი არ აქვს, უსაშვე-
ლო, რასაც არაფერი ეშველება.

ეს კი მტანჯავს და შაოცებს,
მაქვს ძლიერ საკვირველად..
რად არის კაცობრიობა
ორს დასად გაყოფილია?—
ერთი — მსუქანი, მაძლარა,
სიცოცხლით კმაყოფილია,
მეორე ლუბი, მშიერი,
ჯაფით წელმოწყვეტილია.
ერთი მოახლე, მსახური,
მეორე მბრძანებელია.
სად არის, ნეტა რას ამბობს
ღმერთი, ის დალოცვილია!
ერთნი რომ ითმენენ მას, რაც
არ არის მოსათმენია
და არც დრტვინვენ, მაინც რას
ჭტიქრობენ მეორენია?
რად ავიწყდებათ, რომ ყველა
არ არის დიოგენია *)
რომ არც სიმამღრე ერთს კერძოს

წილში აქვს მინარგენია.
და ყველაფერი მეუფეს
საერთოდ გაუჩინია?

ჰო, იქნებ ლატაკს არ მოსწონს
საქმელი გემრიელია?
ვინ აპატიეებს, თორემა
ვინ არის მწუნობელია?
დიდი, ქევზა და მდიდარი
არ არის გადაწყველია..
თავთავის ყურეში სხედან
ეს ორივე სულიერია **).
შერცხვეს ასეთი დროება
და სტუმარ-მასპინძელია!

ბაჩანა.

*) დიოგენი—ფილოსოფოსი. ძველი საბერძნე-
თისა, ფუფუნების უარყოფელი.

**) ორივე სულიერი—მამლარი და მშიერი.

ოცნების ფრთებზე

Отецъ, отецъ! нельзя
ли мнѣ зажечь мечтамъ?
„Царь Голубъ“ Л. Андреевъ.

3იშვი, გარდვიქმენ, ვეძებ უხილავს,
ლტოლვას არ ააქვს საზღვარი, კიდე;
მოვხიე სულსა, სევდის გაროზი,
მოვხიე სულსა, გლოვისა რიდე.
ოცნების ფრთებზე დასვენებული
ბედისგან აღაქმულოს მიველტვი კუნძულს;
ჟამი ვერ ჩაჰკლავს სულისა გზნებას.
ჟამი ვერ ჩაჰკლავს ყოფნის გაზაფხულს.

სალაის მიძღვნიან შორეულ ქვეყნის
მაღალი მთები, მიწა და ცანი;
რამ შეაჩეროს ოცნების რაში,
რამ შეაჩეროს ლტოლვის მერანი?..
ვედარ აცოცხლებს სულს სინამდვილე,
მისთვის გაუბრის, ეძებს სასწაულს;
ჟამი ვერ ჩაჰკლავს სულისა გზნებას,
ჟამი ვერ ჩაჰკლავს ყოფნის გაზაფხულს.

ტ. ტაბიძე.

ამოვლოთ ჯამით სისხლი და შეადარა მას.

სისხლი სრულებით არ ჰგავდა იმ სისხლს, რომელიც იატაკზე სდულდა. გაბრაზებულიმა ნაბუქოდონოსორმა წამოიყვია.

— მითხარით მალე ეს რა სისხლია, თორემ რკინის მარწუხებით ტყავს გაგაძრობთ და თქვენს მძორებს კი გარეულ ფრინველთ საკენკათ გადაყურით!..

მღმვდლები შეშინდნ.

— შეგვიბრალებ, მეფეო! ყველაფერ ხინამღვიღეს გეტყვით. ჩვენ შორის სცხოვრებდა ერთი მღვდელი სახელათ ზაქარია, რომელიც განირჩეოდა თვისი კეთილმორწმუნეობით. ზღვის ტალღასავით ჰქუხდა მისი ხმა და იწვევდა ხალხს ღვთის სამსახუროდ, იგი ანადგურებდა ჩვენს უძღურებებს, გვიწინასწარმეტყველებდა ცეცხლს, ხოცვა-ჟლეტას და მონობას, ერთი სიტყვით ყველა მას, რაც რომ ეზლა აგვისდა.

მაგრამ ამხედრდა ხალხი მასზე და მოჰკლეს იგი. იგი დაჰკლეს ამ ღვთის სახლში, საკურთხეველის წინ, სწორეთ იმ დროს, როდესაც იგი ხალხს უქადაგებდა. და აი მას აქეთ ჩვენი ამხანაგის სისხლი სდულს და ლალადებს ზეცამდი შურის ძიებისათვის და ამტყუნებს თავის მკვლელთ ღვთის სამართლიან ტაძრის წინაშე.

— თუ მაგრება, — წამოიყვია განრისხებულიმა მეფემ, — მე დავამშვიდებ და გამოვისყიდი, მე დავაწყნარებ მას.

მან ბრძანა, ყველა მღვდლები წინასწარმეტყველის მღულარე სისხლზე დაეკლათ.

სისხლი განაგრძობდა დუღილს და არ წყნარდებოდა.

განრისხებულმა მეფემ ბრძანა, იმავე ადგილზე დაეხოცათ ურიცხვნი მოწაფენი და ბავშვნნი.

მაგრამ სისხლი სდულდა და არ წყნარდებოდა.

მაშინ მან შეკრიბა ათასობით ულამაზესნი ასულნი და ყმაწვილნი, დაჰკლა იგინი ერთ ქვაზე და მათი სისხლი წინასწარმეტყველის სისხლს შეურია.

სისხლი განაგრძობდა დუღილს და არ წყნარდებოდა.

— ზაქარია! ზაქარია! — დაიღრიალა ჯალათმა, — ნუ თუ ესეც ცოტაა შენთვის? ნუ თუ ესეც არ კმარა? ნუ თუ ის გინდა, რომ მთელი იუდეა დავაქციო და ვავანადგურო?

სისხლი მაინც განაგრძობდა დუღილს და არ წყნარდებოდა.

— ვაი მე, ვაი მე, — შემოიკრა ნაბუქოდონოსორმა თავში ხელი. თუ ერთი ადამიანის სისხლისათვის ამდენი ხალხი უნდა დაიტანჯოს, მაშინ რა უნდა მომელოდეს მე... მე ათობით და ასი ათასობით უმანკო სისხლის დამღვრელს...

და ცრემლის ნაკადული გადმოსკდა მის თვალთაგან.

იგი სტიროდა და იხოკდა გულს.

და როდესაც, თვალრიდან ჩამოვარდნილი სინანულის პირველი ცრემლი დაეცა ძირს და შეერია წინასწარმეტყველის სისხლს, — სისხლმა შესწყვიტა დუღილი და დაწყნარდა.

გ. უბედური



ი მ ე ლ ი

(ლექსი ზროზად)

ბნელი ღამეა. ჯადოსნური სუფევს წყველიადი. სქელი საბანი წაუხურავს მუნ არე მარეს. ზამთრის გრიგალი შეუბრალოდ დაჰქრის ზიზინებს. პირს უხვათ მაყრის ცივ, გამყინავ თოვლისა ფიფქებსს....

აღარ მიბრალებს უსახლ კარო ბუნებისა შეილს...

ცივი ტაროსი, მწვავე, მკბენი, დაუნდობელი ხელ-ფეხს მიყინავს დამიშეშებს მე მთელ სხეულსა...

ბნელი წყველიადი, ყინვა, ქარი შეუღლებულან, ერთად იღვწიან დამიხუჭონ უღვთოთ თვალგები...

გადამახურვენ თეთრსა საბანს სუდარის ნაცვლად...

და ძვლები მხოლოდ კი დამრჩება მიწისა პირზე, და მას მიაფრქვევს ცხოველ სხივებს მზე საგვიანოთ...

ჩუ! რალაც ძალამ დამიარა უცბათ სხეულში, თითქო მზის სხივმა გაზაფხულის შემომანათა...

ღმერთო ძლიერო! საიდან მწვდა ერთგული სხივი, ამ უკუნეთში გამიღიმა და მომანათა, გული გამიღვია და გამითბო ტანჯული სული. უფრო და უფრო ძლიერ მესგრის ოქროს ნაპერწკლებს!..

მითხარი სხივო! როგორ გაჩნდი, ვინ გამოგზავნა და ამიხსენი იღუმალი შენი სამთავრო.

ჩამხედე გულში, ჩამანათე უფრო აღზნებულ და მიპასუხე—ვინ მოგწყვიტა?

— მე ვარ იმედი!..

ნაზი ღამეა. ცა სვეტაკი, მტრედისა ფერი და მოკაზმული აურაცხელ სანა-

თურებით, მათ შორს დასცურავს მთვარე ბადრი, ნათელ-ძლიერი, ვნების სხივებს ნთქავს მდინარეში, ავერცხლისფერებს....

გულ ჩათხრობილი ტყე შრიალებს. ველი ბიბინებს. შორს ისმის კილო გრძნობიერი იადონისა.

სამოთხე არის ეს ბუნება უხენაესი, — ღვთაებისაგან. რომ გვესმოდეს სიტყვა მსაჯული, და შემკობილი ვით არწივი წმიდა სამება გადმოგვეყურებდეს გორაკიდან მზღვევი თვალებით.

ტურფა ბუნებავ! შენ ხარ მხსნელი იმ წუთების დროს, ოდეს გონებას მოხვევია შავი ბურუსი, და რალაც ძალნი მიიწვენ მას უფსკრულისკენ, რომელიც მისი შეუქით ჯერ ვერ განათებულა... ეს წუთებია უნუგემო და უწინამძღვრო! ეს წუთებია ცრემლთა დენის, მოთქმა-გოდების!..

მაშინ სიტურფე, სიღიადე შენი, ბუნებავ, — ცრემლთა მიშრობენ მინათებენ თანამდევარ ბნელს, ნაცვლად ცხოვრების შავ სახისა გულს აღმინთებენ ბედნიერებით გარემოცულს ნეტარ სამეფოს!..

ხოლო არ არის ეს სიამე მტკნარი, უბრალო, ან გრძნობათ ღელვა, გულის ძგერა გალადებული, მხოლოდ ეს არის დავიწყება მუდმივი ტანჯვის, აწმყოს, წარსულის დავიწყება-თუმც წუთიერი!..

შენ სიტურფეში თითქო მაშინ გამოკრთის ტანჯვის იმედი, მოალერსე, ვით ხორციელი!..

და მეც ვცოცხლდები!..

ასკილი.

ბაქო.

მამაჩემი ყოველ დილას მალვიძებდა. აედგებოდი თუ არა, ჩავიცვამდი ტინისა-მოსს ჩუმად და გამოვიდოდი კარში. ზურგზე ჩანთა წამოკიდული და ყურებზე ქულ ჩამოფხატული გაუდგებოდა გზას. ამოვი-დებდი ილღიაში ერთ ორ ნაპობ შეშას და ჰაიდა. ძალიან ციოდა. ზამთარი ახალ დაწყებული იყო. ერთ დღეს გავემგზავ-რე სკოლისაკენ. სიცხვემ ძალიან შემა-წუხა; ბოლოს მივედი, შევადე ჩვენი კლასის კარები და შევედი ხელებზე ბერ-ვით.

როგორ მაგონდება ყველაფერი ამდენი ხნის შემდეგ:

წვრილი ბილიკი, რომლის ორსავე მხარეს ჩამომწკრივებული იყო დიდი ხნის ხეები, მკვდარი სიჩუმე ტყეში:

სოფელი გადაჭიმული დაბლობში, თავისი მწვეტიანი საპრეკლოთი; ქვემოთ კიდევ თოვლით დაფარული საფლაგები, წისკვილის მოუსვენარი დეღეები. მე თითქმის ყოველთვის ყველაზე ადრე მივდიოდი სკოლაში. იმდღესაც შევე-დი ჯერ ისევ კარიელ დარბაზში. ქრისტეფორეს (ჩვენი მასწავლებელი იყო) დედა მოხუცებული დედა-კაცი იყო. სახე დაპრანქული ჰქონდა, თავზე ქული ბალიშით ეღო; ტანზე ერთი წითელი ტილოს ქვედატანი ჰქონდა ჩა-

მოჩაჩული. სახელად ერქვა მაგდალინა. ეს დედა-კაცი ყოველთვის ანთებდა ცეცხლს, ამიტომ იმ დილასაც შემოცუცუნდა თავ-ვივით და ანთო ცეცხლი. მე დავდე ჩე-მი მცემა, ჭავიხადე ჩექმები და ამოვდე გახურებულ ფეხ ქვეშ გასაშრობად.

ჯერ კიდევ ყველაფერი ისე მაგონდება, თითქო გუშინდელი ამბავი იყოს. ჩემ თვალწინ არის კირით შეთეთრებული კედლები, ჩამწკრივებული სკამები; დიდი დაფა კედელთან ორ ფანჯარას შუა: ცო-ტა მოშორებით ამაღლებულ ალაგზე კა-თედრა და კათედრას ზევით კედელზე ჯვარცმის ხატი.

რვა საათზე მოწაფეები რიგ-რიგად მო-დიოდნენ ყვირილით: გამარჯვება ბატონო ქრისტეფორე. გამარჯ. ბატ. ქრის-ტეფ.

მასწავლებელი არ იყო ჯერ იქ და მაინც ყვიროდნენ. მოგროვდებოდნენ ფეხთან, ჰყვიროდნენ, აწვებოდნენ და ეხახუნებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ გაი-გონებდნენ თუ არა ქრისტეფორეს ფეხის ხმას, მაშინვე გაინაბებოდნენ, ყველა მათ-განი საქმეს ჰკიდებდა ხელს; ჩაქინდრავ-დნენ თავს, თითქო აქ არაფერი იყო.

Mamia—Valiko,



ვეზირი

(ლევ ტოდსტოიანი)

სპარსეთის მეფეს ჰყავდა ერთი ფრიად მართალი ვეზირი სახელად აბდულა. ერთხელ ვეზირი წავიდა თავის მეფესთან. გზად უნდა გაეფლო ერთი ქალაქი, ქალაქში კი ამ დროს ხალხი შეგროვილიყო ასაჯანყებლად; როგორც კი დაინახეს ვეზირი, გარს შემოერტყნენ, გაუჩერეს ცხენი და დაუწყეს მუქარით ყვირილი: „მოგკლავთ; თუ შენ არ აასრულებ ჩვენს სურვილებს“. ერთი კაცი იქამდის მივიდა, რომ წვერში წაავლო ხელი ვეზირს და წეწვა დაუწყა. განთავისუფლების შემდეგ ვეზირი ეახლა მეფეს, სთხოვა შველა ხალხისა, დაუსჯელობა და პატიება მისი, ვინც მას შეურაცხყოფა მიაყენა.

მეორე დღეს ვეზირთან მივიდა მეღუნე და მოახსენა: „მე მოვედი შენთან იმ კაცის გასაცემად, რომელმაც; ზუსტად შეურაცხყოფა მოგაყენა, მე იმას ვიცნობ, ის აჩრის ჩემი მეზობელი, სახელად ნალიმი; დააძახებინე და დასაჯე“. ვეზირმა გაისტუმრა მეღუნე, ნალიმი კი დაიბარა. ნალიმი მიხვდა, რომ ვიღაცამ გასცა; ცოცხალ-მკვდარი ვეზირს ეახლა და ჩაუარდა მუხლებში. ვეზირმა ააყენა ნალიმი და უთხრა: „მე იმისთვის კი არ დაგიბარე, რომ დამესაჯე, არამედ იმისთვის, რომ მეთქვა შენთვის შენი მეზობლის სიავე. იმან შენ გაგთქვა,—ერიდე მას. მშვიდობით,—უფალი იყვეს შენი შემწე!..“

მილიცა გვარამაძე.

სიცოცხლის ეგზამენი.

ერთხელ ვერის სასაფლაოსკენ გავისეირნე. ნათელი დღე იყო. ცხოველი მზე უხვად ჰქონდა თბილ სხივებს მკედართა საფანეს, სადაც მწვანე ბუჩქებზე პაწია ბელურები საამოდ ცქრილებდნენ. აქა-იქ ახალგაზრდა მოწაფეები მოსჩანდნენ. ერთმანერთზე შორი-შორს სამარის ლოდებზე იხსდნენ და გაშლილი წიგნები ეჭირათ ხელში. ზოგი ხმა-მალლა და ზოგიც თავისთვის, ჩუმად კითხულობდა. ერთი მათგანის სიახლოვეს ჩამოვჯექე ქვაზე. ლამაზი, თმა-ხუჭუტა-ახალგაზრდა იყო. წიგნს ხმა-მალლა კითხულობდა. იმის ხმას, ამ ხმის კილოს დაფუკვირდი. ეტყობოდა,

რომ კითხვის დროს ყმაწვილის გული საქმეში არ გარეულა, თითქო გაჩუმებული იყო თავის საგულეში; მხოლოდ ცარიელი მშრალი გონება ვარჯიშობდა და ყმაწვილის მკაფიო ხმას უგემური კვალი და აჩნია. ეს ხმა ისეთივე უსიცოცხლო და ცივი იყო, როგორც ის სამარის ლოდი, რომელზედაც ახალგაზრდა მოწაფე იჯდა. აშკარა იყო, რომ ყმაწვილი გონებისათვის სავალდებულო და გრძნობისათვის არა საგულისხმეო საგანს სწავლობდა. ჩემს თვალ-წინ ბუნების დამახინჯების სურათი გადაიშალა. სიცოცხლით საესე ახალგაზრდა-ადამიანი ორად გაიყო, შუ-

აზე გაიპო, გაცალმხრივდა, თავის ბუნების ცალ-კერძით ითვისებდა იმ- ცოდნას, რომლის დანიშნულება—მთელი ადამიანის განათლებაა. იმის ხმას ნამდვილად ამიტომ დაეტყო სამარის კილო.

რაც უნდა სიცოცხლით საესე იყოს ადამიანი, რაც უნდა მძლავრად სჩქედეს იმის სულსა და გულში ცხოვრების წყარო, იმის გული გონებას რომ მოაშორო, შუაზე რომ გააპოთ, ადამიანი, უეჭველად, მოკვდება.

„გული ცნობა და გონება
ერთმანერთზედა ჰკიდიან:
რა გული წავა, ისინი
წავლენ და მისკენ მიდიან“.

მოსწყვეტით გული გონებას და ორივე მკვდარი შეგრჩებათ ხელში.

ცოცხალი, ცხოვრების მანათობელი ცოდნა მხოლოდ ის არის, რომლის შეთვისებაში გული ურევია, რომელიც ამ გულს სწყურია. როცა გული არ გულობს, ცოდნა უღამპრო და უსინათლო ოჯახში შესულ სტუმარსა ჰგავს: იგი უეჭველად იბორძიკებს და იმ მასპინძელს, რომელსაც ადამიანის სული ჰქვია, თავის დღეში ვერ მიაგებს.

მხოლოდ გულით გამთბარი გონების ნათელი მოძრაობა იკვლევს და ითვისებს ჭეშმარიტებას. უერთმანერთოდ არც ერთი

— „ჩაღადა არა ღირს,
მისთვისვე შეგვიწონია“.

ცხადი იყო, რომ ყმაწვილი ეგზამენი სათვის ემზადებოდა. ეგზამენი კი იმის გამოცდაა, თუ რამდენად მკვდარი და დღევანდელ წყობილებისათვის გამოსადეგია ადამიანი. ატესტატიც სწორედ იმიტომ ძალიან ჰგავს იმ დაბეჭდილ „ღერბიან“ ქაღალდს, რომელსაც მიცვალე-

ბულს ადებენ შუბლზე, როცა საიქიოსკენ ისტუმრებენ.

ახალგაზრდა მოწაფემ უეცრად წიგნი მიწაზე დააგდო, ფეხზე წამოდგა, თავი მალლა აილო, ზეცას შეხედა და სიცოცხლით მჩქეფარე ხმით საყვარელ ლექსის ნაწყვეტი წარმოსთქვა.

უსულო ადამიანი რაღაც მოულოდნელი მანქანების ძალით თითქო მსწრაფლ გამთელდა და მკვდრეთით აღსდგა ჩემთვისალ-წინ. წიგნი მკვდართა ლოდებს შუა ჩააგდო, ჩააბარა „მკვდრებს მათი მკვდარი დასამარხავად“ და სიცოცხლის სალამს უძღვნა იმ ზეცას, რომელმაც ეს სიცოცხლე აჩუქა.

ლექსის ნაწყვეტი გონებითა და გულით შეთვისებული და ამიტომ ნამდვილი ცოდნა იყო. და ამ ცოდნამ სიცოცხლის მადლით მოსილ ბუნებას დაუბრუნა ბუნების შვილი, ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც ამ ერთი წუთის წინ მკვდრები თავისკენ ებატეებოდნენ.

გულის სიღრმიდან აღმომჩქეფარე შორით ყმაწვილმა თითქო აღტაცება შესძახა და ამცნო გარეშემო თავისუფლად გადაშლილ ბუნებას თბილად მოციმციმების სხივებს, რომ იგი მათი ღვიძლ შვილია და მათსავით თავისუფლება სწყურია, სწყურია ის უდიდესი ცოდნა, რომელსაც მიაღწევს მხოლოდ გულისა და გონების შეერთებული ძლიერი წადილის ცოდნა, რომელიც იმისმა მშობელ ბუნებამ იცის, როცა თავის გულთავის ღრმად ჩასახულ ძალთა თავისუფალი მოძრაობით ჰქმნის გარეშემო ბრწყინვალედ გადაშლილ მსოფლიოს რთულად და დიად ცხოვრებას.

სიხარულით შევსცქეროდი მკვდრეთა ამდგარ ახალგაზრდას.

დეე მკვდრებმა მკვდრობის ეგზამენი ჩინებულად დაიჭირონ! ამ ყმაწვილმა კი ჩემს თვალ-წინ ბრწყინვალედ დაიჭირასი-
ვიცხლის ეგზამენი. ამას ნათლად ადას-
ტურებდა იმისი დიადი ეგზამენატორი—
შუქ-მფინარე მზე და ნახის ღიმილით

თავს ევლებოდა თვის ერთგულ მოწაფეს,
ადასტურებდენ დამსწრე ასისტენტები, პა-
წია ბელურები, რომელნიც წრფელის სი-
ხარულით ცქრიანობდნენ გარშემო ამწვა-
ნებულ ბუჩქებზე...

ილია ნაკაშიძე.

მოულოდნელი უკანონობა

ამას წინაღ დასავლეთის საქართვე-
ლოს სამრევლო სკოლების მასწავლებელ-
თა ჯგუფისაგან მე მომივიდა კობიო, ანუ
ასლი, ერთის ცირკულიარულის განკარ-
გულებისა, რომელიც მოუხდენია იმერე-
თის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს. ეს
ცირკულიარი უბრძანებს სამაზრო მეთ-
ვალყურეებს, რუსულის ენის სწავლება
დააწყებინეთ პირველის წლის სექტემბრი-
დან, და არა იანვრიდან, როგორც აქამ-
დინ იყო, ხოლო რუსული წერა-კითხვა
შემოადებინეთ პირველი იანვრიდან, ნა-
ცვლად მეორე წლის ენკენისთვისაო.
განკარგულება ესე მოუხდენია არა ბიუ-
როკრატიულს დაწესებულებას, არამედ
ადგილობრივს, ჩვენებურ საბჭოს, რომე-
ლიც შესდგება მთლად ქართველებისაგან,
ქარველი საეპარქიო მეთვალყურის დრო-
სა, და დაუმტკიცებია ქართველს მღვდელ-
მთავარსა.

ასეთს ბიუროკრატიულს ულტრა-ერთ-
გულებას სრულიად არ მოველოდი ხსე-
ნებულის საბჭოსაგან. წინაღმდეგ ამისა,
სრული იმედი მქონდა, რომ, თუ მსგავსს
რასმე ურჩევდნენ ზევიდან, საბჭო დასა-
ბუთებული მოხსენებით ცხად ჰყოფდა
ნაბრძანების ცვლილების შეუსაბამობას,
მაინებლობას და არსებულს სამოსწავ-
ლო გეგმას მტკიცედ დაიცავდა მეტის

დამახინჯებისაგან. მაგრამ მოლოდინიც
არ აგვისრულდა, იმედი გაგვიცრუვდა.

პედაგოგიაში აქსიომად არის აღიარე-
ბული, რომ ბავშვმა მას უკან უნდა იწ-
ყოს უცხო ენის შესწავლა, როცა უკვე
კარგად აქვს შეთვისებული თავისი დედა-
ენა. ამ მოძღვრების მიხედვით: პირველ-
ორს წელიწადს ყველგან მთლად და სავ-
სებით ანდომებენ დედა-ენას და მხოლოდ
მესამე წლიდან აწყებინებენ სხვა ენასა.
ასეთი წესი მიაჩნიათ ფრიად სასარგებ-
ლოდ ბავშვის გონების ნორმალურად
განვითარებისათვის და თვით უცხო ენის
შეთვისებისათვის სრული შეგნებით. ასე-
თივე წესი მიღებულ იქმნა ამიერ ქართ-
ველ სახალხო მასწავლებელთა კრებულის
მიერ მზრუნველ ნევეროვის დროსა, და
იგივე წესი საუკეთესოდ სცნო მოძრაო-
ბის დროს, იმიერ მასწავლებელთა კრე-
ბულმა. ამ გადაწყვეტილებაზე ბევრი თ-
დაბლა სდგას სამოსწავლო გეგმა მზრუნ-
ველის იანოვსკისა, რომელიც რუსულს
ენას ზეპირ-სიტყვაობით იწყებს პირველის
წლის მეორე ნახევრიდან და რუსულს
წერა-კითხვის სავალდებულოდ სდებს მე-
ორე წლის დასაწყისიდან. მაგრამ იგი ამ
ჟამად წარმოადგენს კანონიერს დებულო-
ბას, რადგანაც დამტკიცებულია ორი
ნამესტნიკის მიერ, და უნდა ხორციელ-

დებოდეს სკოლებში დაუმახინჯებლად. ამავე გეგმას ეთანხმება ჩვენებურის სამრევლო სკოლების სამოსწავლო პლანი, თავის დროზე დამტკიცებული სინოდისაგან.

ცვლილება, რომელიც მოუხდენია სამოსწავლო გეგმაში იმერეთის საეპარქიო საბჭოს, არამც თუ დიდად ეწინააღმდეგება პედაგოგიურს მცნებას, არამედ უარესია იმაზე, რაც ჩვენის ქვეყნისათვის გაუმეტებით ბიუროკრატ-პოლიტიკანებსა და სადა ხდება ეს ულტრა-პოლიტიკანური განკარგულება? ქართულს სასულიერო სფერაში, რომელიც მოშორებული უნდა იყოს ყოველ გვარს პოლიტიკანობას და ემსახურებოდეს შეურყევლად, თამამად და გაბედულად მოსწავლეთა გონებრივად, ზნეობრივად და სარწმუნოებრივად განვითარებასა. —

ყველა ცოტაოდნად შეგნებულმა ადამიანმა კარგად იცის, რომ პირველი წელი სწავლისა მეტად ძნელია ბავშვისათვის მაშინაც კი, როდესაც მას ამ დროს საქმე აქვს მხოლოდ ერთს დედა-ენასთანა. იმერეთის საბჭო ამ სიძნელეს აორკეცებს და ასამკეცებს იმითი, რომ ითხოვს პირველს წელიწადსვე რუსულს წერა-კითხვის სწავლებასაც. ცნობილია, რომ დიდიც კი ორს სიძნელეს ერთსა და იმავე დროს ადვილად ვერა-სძლევს, ხოლო მით უმეტეს ვერ აიტანს ამ ორს სიძნელეს პატარა ბავშვი, ახლად მოქცეული სკოლის სფერაში. აი რის გამო პედაგოგია კატეგორიულად ითხოვს: ბავშვს ერთს ხანაში საქმე უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთს სიძნელესთანაო. რუსი-ფიკატორი პოლიტიკანებიც კი მკირეოდენს ანგარიშს უწევდნენ ამ მცნებას და რუსულს წიგნს აწყებინებდნენ მხოლოდ მეორე წლიდან. ჩვენებურმა სასუ-

ლიერო მამებმა კი თავის სასულიერო ნორჩ შვილებს ბევრად მეტი სიძნელე აპყიდეს იმითი, რომ მოახვიეს მათ თავზე რუსულის წერა-კითხვის შესწავლაც პირველსავე წელიწადსა. ამ ანტიპედაგოგიურს ცვლილებას შედეგად აუცილებლივ მოჰყვება ბავშვების გონების დასუსტება, დაჩაგვრა, დაბნევა. რუსული ენა და წიგნი დიდად დააბრკოლებს ქართულს ენას და წიგნსა და თითონაც ცოტაოდნადაც ვერ იქნება შეთვისებული. საწყალმა ბავშვებმა უნდა ერთსა და იმავე დროს სდიონ ორ კურდღელსა და ხედავდნენ, რომ ორივე ხელიდან მისდით. ერთი სიტყვით, ეს ცვლილება მრავალ-მხროვანს ზიანს მოუტანს ბავშვებსა და მათს გაუგუნურებას ძლიერ შეუწყობს ხელსა. ხოლო ქუთაისის სასულიერო მამებმა ჩემზე უკედ იციან, რომ მაცხოვარი დიდის სასჯელის ღირსად სთვლის იმას, ვინც თავის მოყვასს უგუნურს უწოდებს. რამდენად მეტი სასჯელი მოგველის ჩვენ იმის გამო, რომ მრავალ-რიცხოვანს კრებულს ბავშვებისას გაუგუნურების გზაზე ვაყენებთ. მაცხოვარმა შეიძლება სხვა შეცოდებანი შეგვინდოს; მაგრამ გაუგუნურებას ბავშვებისას, რომლებიც მას ისე უყვარდა, არას დროს არ გვაპატიებს.

სვალალო უფრო ხს არის, რომ ეს დიდი ვნება იმერეთით არ განისაზღვრება. ანტიპედაგოგიური, სენი ადვილად გადალახავს ხოლმე ჩვენს „ბედნიერს“ ქვეყანაში თავის საზღვრებსა და ხოლმე რასავით მოედება ირგვლივ ექვს გარეშე, სამწუხაროდ, რომ იმერეთიდან ხსენებულს სენს გაავრცელებენ სამეგრელოშიაც, გურიაშიაც და სხვა კუთხეებშიაც დასავლეთის და აღმოსავლეთის საქართველოისა. ბოროტება უფრო შორს წავსადირეკციაო სფერაშიაც უსათუოდ ამოჩნ-

დებიან ულტრა-პოლიტიკანები, რომლებიც მარჯვედ ისარგებლებენ იმერეთის საბჭოს მაგალითით და იმავე სენს დააბუღებენ საღირეპციო სკოლებშია. მაშინ მთელის საქართველოს ბავშვთა კრებულნი დამახინჯების და გაუგუნურების მსხვერპლად შეიქნება.

ეს ყოვლად უკუღმარები გადაწყვეტილება მიუღიათ და გაუგზავნიათ სისრულეში მოსაყვანად მიმდინარე წლის დამდეგში, თებერვლის პირველს რიცხვებში. მარტში კი დაიბადა ქუთათური გაზეთი „კოლხიდა“. მთელის რვა თვის განმავლობაში ეს ეროვნული ორგანო სდუმდა და სდუმს ამ ფრიად სამწუხარო დეფექტის შესახებ. ამ უცნაურის სიჩუმის გამო დღემდინ აღმოსავლეთის საქართველოში ამისი არავინ არაფერი იცოდა. არ ვიცოდი არც მე იმ დღემდინ, ვიდრე მომივიდოდა მასწავლებელთა ჯგუფიდან წერილი და კოპია გადაწყვეტილებისა. „კოლხიდა“ მოვალე იყო დაუყოვნებლივ გამოეკვეყნებინა ეს უკანონობა, გაემართა ლალადისი მის წინააღმდეგ და საქმე წაღმა დაეტრიალებინა ადრიანად, იმავე თავით. სიჩუმე ამისთანა შემთხვევაში მოლალატეობას უდრის.

ქვის გული უნდა ჰქონდეს ქართველსა, რომ ამ სამწუხარო ამბავმა დიდად არ დააღონოს. ამ მწუხარებას აძლიერებს ერთი გარემოება. ქართველის სამღვწეოების მეზობლად მოღვაწეობს სომეხთა სამღვდლოება, რომელმაც სისტემატიურად მეცადინეობით დააკანონებინა იმისთანა სამოსწავლო გეგმა თავისი სამრევ-

ლო სკოლებისათვის, რომ არამც თუ რუსული ენა იწყება პირველის წლის შემდეგ, არამედ ყველა საგნები ისწავლება სომხურს ენაზე არა მარტო ერთ-კლასიან სკოლებში, არამედ ორ-კლასიანებშია.

ეხლა რა ეშველება საქმესა?

მასწავლებლები მწერენ თავისს კერძო წერილში: ნაბრძანებმა ცვლილებამ დააკვეთა ჩვენი სკოლები, ბავშვებს სწავლის ხალისი შეუმცირდათ, დაბნეულობა ეტყობათ, ყურადღების დამყარება საგანზე ეძინებათ, გონება უსუსტდებათ, რადგანაც ვერ ერევიან გართულებულის შრომის სიძნელესა, და სხვა. საეპარქიო საბჭოს შეუძლიან პირუთენელი რევიზიით შეამოწმოს ეს უნუგემო შედეგი ცვლილებისა, გააუქმოს ეს ცვლილება და აღადგინოს კანონიერი სამოსწავლო გეგმა. თვით ბიუროკრატისა არა ერთი თავისი გადაწყვეტილება გაუუქმებია ხალხის განათლების სფერაში, როცა დარწმუნებულა მის უვარგისობაში. ამის მაგალითებს ამოიკითხავთ ჩემს უკანასკნელს წერილში „კოლხიდის“ წინააღმდეგ.

იმედი მაქვს, რომ ამ დეფექტის აღნიშვნა, რომელსაც მოიხზოვდა დიდი საქვეყნო საქმე, არ გამოიწვევს საბჭოს წევრების მხრივ ჩემ წინააღმდეგ სიბრაზეს და მტრობასა, რომლითაც გაიმსკვალა „კოლხიდის“ რედაქცია იმის გამო, რომ მისივე გაზეთის სვეტებზე აღვნიშნე სამიოდე მისი ანტიქარული დეფექტი. (ს. გ.)

იაკობ გოგებაშვილი.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული 1911 წ. გიორგობისთვის 2 სათავად-აზნაურო გიმნაზიის საეკლესიოდ
დანიშნულს დაბაზში ნ. ზ. ცხვედაძის სულის მოსახსენებლად კარდახდილის
პანაშვიდის წინ.

განუსვენე უფალო სულსა მონისა შენისასა!


ჭეშმარიტად ყოველი ადამიანი მონა
არის უფლისა და მოიღებს მისგან ხუთს,
ორს, გინა ერთს ტალანტს, მსგავსად
დალისა თვისისა (მათე 25, 15).
განსვენებული ნ. ცხვედაძეც, რომლის
ლოცვა-კურთხევით მოსახსენებლად შევ-
კრებილვართ აქა, იყო მონა ღვთისა და
მოიღო უფლისაგან უწინარეს ყოველისა
ტალანტი მასწავლებლობისა, რომელიც
აქმნია მან ჯერ მის აღმზრდელ ტფილი-
სის სასულიერო სემინარიაში და შემდეგ
ტფილისის ქალთა ინსტიტუტში და წმ.
ნინოს სასწავლებელში. თუმცა მასწავ-
ლებლობის სარბიელზე მოღვაწეობა ფრი-
ად ძნელია, ვინათგან ნორჩი და სათუთი
არსება მასწავლებელმა დიდის სიფრთხი-
ლით და თავგანწირულებით უნდა აღზარ-
დოს მამა-კაცად სრულად, საზომად სავ-
სებისა მის ქრისტესისა (ეფეს. 4, 13), მაგ-
რამ განსვენებულმა ნიკოლოზმა ღირსეუ-
ლად განვლო ერთხელვე არჩეული სარ-
ბიელი ხსენებულ სკოლებში და დაიმსა-
ხურა მოწაფეთა და ამხანაგთა სიყვარუ-
ლი, ხოლო უფროსთაგან პატივისცემა
და მოხუცებულობის დროს უზრუნველად
ცხოვრების საშუალება.

ჩვეულებრივი ადამიანი ამ ვიწრო ფარგ-
ლით შემოხაზულ სარბიელზედ მოღვაწე
კმაყოფილი იქმნებოდა, ხოლო ღირსეუ-
ლად განვლის შემდეგ, შეუდგებოდა
პყუდრო ცხოვრებისთვის ზრუნვას. ნიკო-

ლოზ ცხვედაძე კი ჩვეულებრივის ადამი-
ნის მსოფლიო მხედველობამ ვერ დააკმა-
ყოფილა, რადგანაც უფლისაგან დაჯილ-
დობული იყო არა ერთის ხოლო ტა-
ლანტითა: მასწავლებლობის უღლის ზიდ-
ვის დროს, იგი ემსახურებოდა მშობელს
ქვეყანას თუ ჟურნალ-გაზეთებში საჭირ-
ბოროტო საგნებზე წერილების მოთავსე-
ბით, თუ მოქალაქეთა საბჭოს ხმოსნის
სახელით, თუ ქართველთა ერის ემბაზი
— სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრის
განახლების დროს მუშაობით და მოცუ-
ქულთა სწორთა მირიან მეფის და ნან-
დელიძის საფლავის გამშვენებით დ
სხ. მაგრამ ეს ცხოველის სულის პატრო-
ნი ადამიანი ვერც ამ მრავალფერადმ
მოქმედებამ დააკმაყოფილა, — მას სწყყ-
როდა მშობელი ერი განათლების სწორე
გზაზე დაეყენებინა. მან კარგად იცოდა,
რომ წინად ჩვენს ქვეყანაში განათლების
საქმე სხვანაირად იყო მოწყობილი: თით-
ქმის ყველა ეკლესიისა და მონასტრის
ეზო წარმოადგენდა საერო სასწავლე-
ბელს, სადაც მოზარდი თაობა დახელოვ-
ნებულის ოსტატების, მღვდელთა და მო-
ნაზონთა მეოხებით დედა-ენაზე ითვისებ-
და ცნობას ღვთისა, ადამიანისა და გარე-
შემო ბუნებისას. მეცხრამეტე საუკუნეში
კი ეს საერო სასწავლებელნი განჰქრნენ,
ხოლო მათ მაგიერნი ან არა სჩანდნენ,
ან მიუწოდომელნი შეიქმნენ ჩვენის ერის-

თვის, — სასწავლო ენის უცოდინარობა და ქონებრივად დაქვეითება მოსწავლეთა შშობლებისა შეადგენდა ამ მოვლენის უმთავრეს მიზეზსა. ყოველივე ეს გაითვალისწინა მოძმეთათვის გულშემატკივარმა ახალგაზრდა მასწავლებელმა ნ. ცხვედაძემ, და მცირე რიცხვოვან თანამოაზრეებთან ერთად შეუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელის და თავად-აზნაურთა ღირს მოწაფეთა შემწე სასოგადოებათა

დაარსებას და მათ მიერ დასახულ მიზანთა განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ნიკ. ცხვედაძე დატვირთული იყო არსობის პურის მოსაპოვებლად სამუშაოთი, იგი შეიქმნა ორისავე საზოგადოების საქმეთა მიმდინარეობის მთავარ მესაჭედ, და სულ მოკლე დროში დააარსა სოფლად წერა-კითხვის სკოლები, ხოლო ტფილისში საშუალო განათლების სასწავლებელი, — ეს ჩვენი ძვირფასი გიმნაზია.



ნიკოლოზ ცხვედაძის დასაფლავება.

დააყენა რა სწორს გზაზე წერა-კითხვის საზოგადოების სკოლათა მსვლელობა, მან განსაკუთრებითი ყურადღება მიაპყრო ამ ტაძარს განათლებისას, და გადასწყვიტა უზრუნველ-ყყო იგი ყოველ მხრივ, უმთავრესად კი საკუთარის შენობის შეძენით: „სანამ გიმნაზიას საკუთარს შენობას არ მოუპოვებ და არ დაეაბინავებ ყოვლის მხრით გამართულს სახლში, მანამ ვერ მოვისვენებო“, იტყოდა ხოლმე განსვენებული... ბევრს, ძალიან ბევრს მოხუცებულის ახირებად მიაჩნდათ მის მიერ გიმ-

ნაზიისათვის საქირო ადგილის ძებნა და სასწავლებელის გეგმის დამზადება. „ნ. ცხვედაძეს უნდა უფულოდ სასახლე ააშენოსო“, გაისმოდა გარშემო. ხოლო განსვენებული ამ დაცინვას თითქოს ვერც კი ამჩნევდა, იგი დღე და ღამე იქმნოდა (1 თეს. 2, 9) და საქმესა მას ღეთისად ჰკონებდა: არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნიო (ფს. 126, 1), ხშირად გაიგონებდით მისგან. უფალმაც აკურთხა შრომანი და რუდუნებანი (1 თეს. 2, 9)

მისნი, და უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩვენი სასწავლებელი მოთავსებულია ამ შუგუპოვარის ხასიათის და დაუცხრომელის შრომის-მოყვარე ადამიანის თაოსნობით აგებულ სასახლეში.

ამ უმაღლესი ჩვენ ვიყოფებით იმ დარბაზში, რომლის სულის წმინდის სამუდამო სადგურად გარდაქცევას და წმ. მეფის დავით აღმაშენებელის სუბხელზედ ტაძრად კურთხევას განსვენებული მოელოდა ყმაწვილის ხალისით და აღტაცებით. ამ განუხორციელებელის სურვილის შესრულება და ამ სასახლის შენარჩუნება სკოლისთვის მან უანდერძა მისთანა მშრომელთა და სასწავლებელის მესვეურთა, რომელნიც, უეცველია, არა უგულვებელ-ჰყოფენ სკოლი-

სათვის თავდადებულის მოხუცის მოლოდინს და უკანასკნელს სურვილსა...

თქვენ კი, საყვარელო მოწაფენო, ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ ზნსვენებულის ნიკოლოზის თქვენდამი განუსაზღვრელს მამობრივს სიყვარულს, თქვენდა საკეთილდღეოდ უანგარო განუწყვეტელ შრომას და მუდმივ წმ. მოციქულის სიტყვით დარიგებას, — გიყვარდეთ თქვენი სამშობლო არა სიტყვითა ხოლო, გინა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა (1 იოანეს 3, 18). ეხლა კი, შევედრეთ უფალსა, რომ მან დააწესოს სული მისი მართალთა თანა და მიანიჭოს მას გვირგვინი უკვდავებისა. ამინ.

დეკ. კ. ცინცაძე.

ნ. ზ. სხველაძე

(სიტყვა წარმოთქმული ბათუმში)

როგორც ვიცით, 30 ღვინობისთვის ქალაქ ტფილისში გარდაიცვალა ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხველაძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ერთი დამაარსებელთაგანი და ამავე საზოგადოების საპატიო წევრი... განსვენებული ერთი იმ ადამიანთაგანი იყო, რომელსაც გულს უწყლავდა ჩვენის სამშობლოს დაქვეითება სწავლა-განათლების მხრით... ორმოცის წლის წინ უმაღლესი განათლებით აღჭურვილი მაშინ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ნიკოცხველაძე გახდა ქართველთა განათლების ერთი კეთილ-სვინდისიერ მესვეურ მუშაკთაგან... ყოველსავე საქმეს, რომელიც კი

ჩვენის ქვეყნის განათლებას და კეთილდღეობას შეეხებოდა ის, დიდის ერთგულებით და თავგამოდებით ეკიდებოდა... მან ძიილომ ხურვალე მონაწილეობა წარსული საუკუნის მეოთხმოცე წლებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და არსებაში და შემდგომშიც დიდს ხანს იყო ამ საზოგადოების ხელ-მძღვანელი და მისი სულის ჩამდგმელი. 1881 წელს დაარსებულ იქმნა უმთავრესად მისი მეთაურობით ქალაქ ბათუმში ის ქართული სასწავლებელი, რომლის კედელთ შორის დღეს შევიკრიბეთ განსვენებულის სულის მოსახსენებლად... რაც კი საგრძ-

ნობი რამ ვაკეთა ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ წერა-კითხრის გამავრცელებელ საზოგადოებამ; სახელდობრ სკოლების გახსნა, სამკითხველოების დაარსება, წიგნების გამოცემა, ყოველსავე ამაში მას ეკუთვნის უმთავრესი ხელმძღვანელობა და ჯაფა. საქმიანობის, შრომის, სიბეჯითის მოყვარეს განსვენებულს. ცხველაძეს არ უყვარდა ტრახანი, თავის შექება; მისმა მარცხენა ხელმა არ იცოდა, რას

სჩადიოდა მისი მარჯვენა ხელი. შეუდრეკელ ენერჯის პატრონმა ნიკოლოზ ცხველაძემ ხელი მიჰყო მარტოდენ ქართველი მუშების დახმარებით ტფილისში ქართული გიმნაზიის უზარ-მაზარი შენობის აგებას, დიდი ჯაფა, ბევრი შრომა შეაღია განსვენებულმა ამ შენობას, მაგრამ მშენებლის მტკიცე გული არ გატეხილა... ის ვანაგრობდა საქმეს სხვა და სხვა დაბრკოლებათა და ქართველურ ქო-



ნიკოლოზ ზებეღეს ძე ცხველაძე კუბოში.

რით შეზავებულ ინტრიგანთა მძუხედავად, ვანაგრობდა და კიდევ სასახლოდ დაამთავრა... მის კედელთ შორის, მის დიდი საკლასო ოთახების წიაღში ვაისმა მოწაფეთა ჟივილ-ხივილი, სიმღერა, ცოდნის სიტყვა, გაჩაღდა სწავლა, და მოხუცი ცხველაძის გული ყოვლისავე ამის გამო აღვისილი იყო გამოუთქმელი სიამოვნებითა. თვალეზზე ხშირად სიხარულის ცრემლი უჩნდებოდა, როდესაც უცქეროდა თვისი ნაამაგარი შენობის დამთავრებას და მის ქართველთა ახალთაობის განათლების ტაძრად გადაქცევას... ბოლო ხანებში სამოც-და-ექვსის წლისას დაეტყო მოუძღოურება, გაუჩნდა

სნეულება, გამოწვეული მრავალ-ჯაფის და უფრო კი სულიერ აღელვებათაგან... და განუტევა სული, განშორდა თვისს ნაამაგარს მშობელს ქვეყანას, თვისს საყვარელს მოძმე ერს, რომლის განათლებას და გათვითცნობიერებას უმსხვერპლა თვისი ღვაწლით სავსე სიცოცხლე... სამუდამოთ ჩაეხუტა გულში შავს მიწას ქართველთა იმ დიდუბის ტაძრის ეზოში, სადაც ხალხური გარდმოცემით იქორწინა თამარ-დედოფალმა და სადაც განისვენებს ბევრი ქართველი მოღვაწე. ნ. ზ. ცხველაძეს ცოტაოდენი წილი ქართულს მწერლობაშიაც უძევს, — მაგრამ ყველა ხომ მწერალი ვერ გამოვა. ადა-

მიანის მოვალეობა არ დამარბოს მიწაში უსარგებლოდ განგების მიერ მისთვის ბოძებული ნიჭი. ზოგს აქვს მწერლობის ნიჭი და ზოგს კი ნიჭი ენერგიული საქმიანობისა და ნაყოფიერის მოქმედებისა. რამდენათაც სანატრელია პირველის ჯურის ადამიანები, იმდენათაც სანატრელნი არიან მეორე ჯურისანი... მარტოდენ მწერლობით ვერ წავა წინ ქვეყანა, თუ მწერლებს გვერდში არ უდგანან საქმიანობის ადამიანები, რომელნიც მწერალთა აზრებით აღფრთოვანებული, საზოგადოებრივი ცხოვრების უღელს ეწევიან... პროგრესი, წინსვლა, განვითარება იმდენათ მწერლების ღვაწლს არ შეადგენს, რამდენათაც შეადგენს ნამდვილ მშრომელთა და თავდადებულ მუშაკთა ღვაწლსა... რას გააკეთებდა იესო ქრისტე მხოლოდ თავის მოძღვრებით, რომ მის მოციქულებს მისი დიდებული მოძღვრება მთელს ქვეყანაზე არ გავრცელებინათ,

ფეხ და ფეხ არ დაეარათ სხვა და სხვა მხარეები და ამ მოძღვრების გულისათვის არ დაეზინათ უძილობა, შიმშილი, წყურვილი, დევნა, წვალება, სიკვდილი... მაშ გაუმარჯოს თავდადებულს წმინდა ოფლით შეზავებულ შრომას საზოგადოებრივი წარმატების სასარგებლოდ. დაე ამ შრომის მოტრფიალე განსვენებული ნიკ. ცხვედაძის ხსოვნა წაუშლელის კვალით ბრწყინავდეს ჩვენს მის მიმართ მადლით აღსავსე გულში. დაე მისი ენერგია და შრომის მოყვარეობა... გახდეს ჩვენთვის მიმზიდავ და მისაბამ მაგალითად, რათა ჩვენც პირნათლად შევესრულოთ ჩვენი მამულის შვილური მოვალეობა სამშობლოს და მოძმეების წინაშე. საუკუნოდ იყოს სხენება უანგარო საზოგადოებრივის მუშაკის ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძისა... (ბ. გ.)

ი. ფერაძე.

შინაური მიმოხილვა

მაჰმადიან ქართველებს უსუგუშო შდგომარეობა განათლების მხრით

ითქმის სამასი წელიწადია მას შემდეგ, რაც სამხრეთი საქართველო, საუკეთესო ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, ოსმალებმა დაიმორჩილა, ჩაიგდო ხელში, ბევრი წვალება და წამება მიაყენა და ბოლოს მცხოვრებნი იძულებული გაჰხადა დაეტოვე ბინათ მამაპაპათა სჯული და მიეღოთ მაჰმადის სარწმუნოება.

ამნაირათ ქობულეთიდან დაწყებული თვით ტრაპიზონამდის შავი ზღვის ნაპირის მცხოვრებნი დღეს მაჰმადიანები არიან. მიუხედავად სარწმუნოების შეცვ-

ლისა, აქაურ ქართველებს ენა შენახული აქვთ მტკიცეთ, შეურყევლოთ, ასე რომ კაცი სრულებითაც ვერაფერს შეამჩნევს მათ შორის ენის ცვლილებას, პირიქით მათი ლაპარაკი მკვირცხლი და ცოცხალი ქართულია. რაც შეეხება სიმღერებს, ეს რასაკვირველია მათი გამოგონილია; აქარლები და ქობულეთლები სიმღერაში გურულებს არ ჩამოუვარდებიან, სწავლავანათლების მხრით კი გამაჰმადიანებული საქართველო მეტად ჩამორჩენილი და დაბეჩავებულია. თუ ძველ დროში, დავით

მეფისა და თამარის დროს ეს ქვეყანა ჰყვოდა სწავლა-განათლების მხრით, თუ უწინ აქედან გამოდიოდნენ საუკეთესო პირნი, დღეს კი ყოველსავე ამას ეს კუთხე სრულიად მოკლებულია და ეს ცნობის მოყვარე ხალხი დარჩენილა უსწავლელად ბეჩავად. მთელი სწავლა-აღზრდის საქმე ამ კუთხეში მოღლების ხელშია; ისინი არიან აქაური ეფენდები და განათლებულნი; მაგრამ ისინი ვერ უძღვებიან ამ საქმეს სასურველად. ახალმა ცხოვრებამ ახალი ტიპის სკოლები მოითხოვა და დღეს სკოლები განახლების გზას დაადგინენ. რასაკვირველია ცხოვრების ფერხულში უნდა ჩაებას ყოველივე კუთხე, ეს ბედიც უნდა სწეოდა, სხვათა შორის, გამაჰმადიანებულ საქართველოსაც. მაგრამ ჩვენ სულ სხვას ვხედავთ, აქ კიდევ, როგორც ზევით ვთქვით, სწავლა-აღზრდის საქმე მოღლების ხელშია. ცხოვრებას სჭირია ახალი იარაღით აღჭურვილნი კაცნი, მაშასადამე საჭიროა ამ კუთხეს ყურადღება მიექცეს და სწავლა-განათლების საქმე აქაც იმ კალაპოტში ჩადგეს, როგორშიაც არიან სკოლები სახელმწიფოს სხვა ნაწილებისა. მართალია მთავრობამ აგერ ეგერ გახსნა ორიოდ სკოლა, მაგრამ ვაი ამისთანა სკოლების გახსნას! ყოველი სკოლა, რაკი ის არსდება, უეჭველათ უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაიმსახუროს ხალხის თვალიში, რაც შეიძლება მეტი მოზარდი თაობა გამოზარდოს და მით მეტი შეგნებული ნაწილი უძღვნას საზოგადოებას. რასაკვირველია ამ მიზნის მისაღწევად ყველა სკოლის გამგემ იმ საშუალებას და იარაღს უნდა მიჰმართოს, რომელიც უფრო ადვილათ მიაღწევენებს მიზნის განხორციელებისადმი. ჩვენ კი აქაურ სკოლებში

უმეტეს შემთხვევაში სულ სხვას ვხედავთ.

ავიღოთ მაგალითისთვის ქობულეთის ორკლასიანი სასწავლებელი. შენობა სკოლისა სწორეთ რომ ლამაზია, მოწაფეებიც შიგ მკვირცხლნი და ყოჩაღნი არიან, მხოლოდ სწავლება კი სხვა გემოზე და სხვა ხრიკზეა აგებული. სკოლა გახსნილია უეჭველათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის, და თუ ეს ასეა, აუცილებლად უნდა დასწავლიდნენ ადგილობრივ ენასაც; მაგრამ ამ სკოლაში ქართული ენის ხსენებაც კი არ არის. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ ქობულეთლები ჭირივით გაუბიან სკოლას, ისინი ამბობენ: „ძიავ, რა ექნათ, ჩვენს ენას კი არ ასწავლიან და აბა რაღათ გვინდა შეიღების სწავლა თუ რომ თავის ენას დაივიწყებნო“.

თუ სკოლა იმ მიზნით დაარსეს, რომ ხალხი განათლდეს, მაშინ უმჯობესია და სამშობლო ენაც უპირველესი იარაღია, რომ მიაღწიონ მიზანს. სამშობლო ენის სწავლების წინააღმდეგი არც ერთი სალი პედაგოგი არ ყოფილა და არც იქნება და თუ დედა-ენას სკოლიდან სდევნის მთავრობის რომელიმე მოხელე, ეს დიდი დანაშაულობაა, რადგან სწავლა-აღზრდის საქმეში ხრიკი და ეშმაკობა საჭირო არ არის. ნუ თუ განათლება იმით გავრცელდება, რომ სამშობლო ენა მოუსპოთ ხალხს! თუ მრავალ საუკუნოებით არსებულ ენის და ანბანის მოსპობა უნდათ იმ დალოცვილებს, მაშინ რაღაზედ იგონებენ აფხაზურს და ოსურ ანბანს! დიახ, შეიძლება სხვა მიზნით სჩადიან ამას და შემდეგ იმათაც შეათამაშებენ... არა ყველა ამგვარი უკულმართობა არ ეპატიება ქვეშაირთ მთესველს და პატიოსან მუშაკს სწავლა-

აღზრდის საქმეში. სამშობლო ენის წართმევა, ერის სიკვდილს მოასწავებს და სკოლებიდან დედა-ენის გაძევებით რასაც გვიპირებენ, ეს ყველასათვის ცხადია.

მეორე მაგალითით მსურს მკითხველს გავაცნო ორთა—ბათუმის სკოლის ისტორია. აქაური დღევანდელი სკოლა სულ სხვაა და სულ სხვა იყო ოჯი წინად, დაარსების დროს; დიდი აურზაური და შფოთი გამოიარა აქაურმა სკოლამ და სწორედ სასაცილოა ის ამბავი. რომელიც ამ სკოლაში დატრიალდა. წინეთ ამ სკოლაში დანიშნეს ერთი ვინმე ვაჟბატონი მასწავლებლათ. მცხოვრებლებმა გაიგეს თუ არა სკოლის გახსნა, შვილები საკმარისათ მიიყვანეს. გავიდა დრო და ჟამი, მასწავლებელმა სხვა და სხვა ხრიკებს მიჰმართა. ქართული ენა უარყო სკოლაში და დაუწყო ბავშვებს მარტო რუსულის სწავლება. ბავშვებს არაფერი გაეგებოდათ რუსულის და ვერაფერიც გაიგეს მასწავლებლისაგან. როცა მშობლებმა გაიგეს ეს ამბავი, ასტეხეს ერთი აურზაური, ზოგნი მათგანი მივიდნენ მასწავლებელთან და უთხრეს: „ძიავ, თუ ჩვენი ეფენდი ბრძანდები, მაშინ ჩვენი მტერი კი არ უნდა იყო, ბავშვებს ისე უნდა ასწავლო, რომ რამე გაიგონ, შენ თურმე ჩვენს ენას არ ასწავლი. ვერა, ძიავ, რაცხა ეშმაკობა ყოფილ ამ კლასში და თუ ასეა ჩვენ ჩვენს შვილებს ქე წვიყვანთ“. მასწავლებელი დაჰპირდა. აქარლებს, სკოლაში ქართულის სწავლებას შამოვიდებოდა ამ პირობით მიიღო ბავშვი, ამნაირი პირობა მოთხოვეს სხვებმაც მასწავლებელს, მაგრამ იგი მაინც თავისას განაგრძობდა, ბავშვებს აწვალებდა უხეირო სწავლებით. აი ამას რა მოჰყვა: მასწავლებელი ბათუმში ჩამოვიდა ჯამაგირის მისაღებათ, აიღო ჯამაგირი კიდევ და

გამოვიდა ზღვის პირად. ბნელოდა. მასწავლებელს ალყა შემოარტყეს, რავდენიმე კაცი გარს შემოგხვია, დაიჭირეს და მოკვლას უპირობდნენ, თან ყვიროდნენ: „შე ძაღლო, ჩვენს ენას რატომ არ ასწავლიო“. მასწავლებელმა დიდი ხევეწით და თხოვნით დაიხსნა თავი და მისცა პატროსანი სიტყვა, ქართულს უსათუოდ ვასწავლიო. გადარჩა მასწავლებელი სიკვდილს და ამ დღიდან შეუდგა სკოლაში ქართული ენის ბეჯითათ სწავლებას. მცხოვრებლებს ეს მოეწონათ, ბავშვები სკოლაში მეტი მისცეს და დღეს ორთა-ბათუმის სკოლა ითვლება საუკეთესო სკოლათ მთელ აჭარაში. ქართული ენის სწავლება რომ არ შემოეღოთ დღეს ორთა-ბათუმის სკოლა დაკეტილი იქნებოდა.

მარადიდის სკოლაში დანიშნეს მასწავლებლად ბერძენი, რომელმაც ქართული არ იცოდა. ამ ვაჟბატონმა მოწაფეებს დაუწყო ქადაგება: თქვენ ქართული ენა რათ გინდათ, თქვენ თათრები ხართ, თათრული და რუსული უნდა ისწავლოთ: ბავშვებს გაუკვირდათ ეს სიტყვები და ერთმანეთს წასჩურჩულეს ქართულათ: „ბიჭო, რა ექნათ, რუხული და ირიზული ენა არ ვიცით, ჩვენსას არ გვასწავლიან“. ამას მოჰყვა მოწაფეების რიცხვის შემცირება და სხვა არა სასურველი ნაყოფი. ამ მაგალითებიდან მკითხველი დაინახავს თუ რიგორ ნიადგზე ყოფილ დაყენებული სწავლა-განათლების საქმე გამაჰმადისებულ საქართველოში. სწორედ გასაკვირველია და სასაცილოა ასეთი უწეს-რიგობა სკოლებში. ზევით მოყვანილი მაგალითები გვიღადადებენ თუ რა პოლიტიკანობაა გამეფებული აქაურ სკოლებში, თუ რა ხრიკები და ობობას ქსელებია გაბმული სიმართლის ასალაგ-

მავათ. ასეთი პოლიტიკანობა ვერავითარ სარგებლობას ვერ მისცემს. ვერავის, ვარ- და ვნებისა.

ხალხი დაშინებული სკოლის უწყალო- ფობით სკოლებს გვერდს უქცევს, რაც დღესაც ნათლათ სჩანს, აქაური სკოლები სავსეა ცარიელი. სკამებით, არის სკო- ლა, სადაც მოსწავლეთა რიცხვი აღის ათამდის და დიდრი დიდი თხუთმეტამდის. ნურავინ იფიქრებს, რომ აქაურ ხალხს სწავლა-განათლება არ სწყუროდეს, არ იფიქროთ, რომ, ესენი იყვნენ ის ველურ- ნი, რომელთაც მოშინაურება სჭირათ; არა და არა, ესენი არიან ისტორიულნი ხალხნი, დარბაისელნი, ნიჭიერნი და ცნო-

ბის მოყვარულნი, მხოლოდ მოტყუილე- ბა ძალიან ეჯავრებათ; აქაური ქართვე- ლი გაიძვერობას გაგიგებს თუ არა, შენ- თან ამხანაგობას სპობს. აი ამიტომ საჭი- როს დაუკვირდეთ საქმეს, რომ ეს ლამა- ზი, ბუნებით შემკული ქვეყანა აყვავ- დეს სწავლა-განათლებით. საჭიროა მეტი ყურადღება ვიქონიოთ. გამაჰმადიანებულ- საქართველოზე. საჭიროა საქართველოს სხვა კუთხეების შეგნებულნი პირნი იც- ნობდენ ამ კუთხეს და ხმას ამოიღებდნენ იმის სასარგებლოდ. საჭიროა აქაურ მას- წავლებელთა, როგორც საზოგადოთ ყვე- ლასი, მოქმედების გამოაშკარავება.

სიმონ ჯორბენაძე.

პატარა შენიშვნა

„მზეს ვინც ტალახს ესვრის, მზემდინ ვერ აუწევს, მასვე დაეცემა.“
ხალხური ანდაზა.

ჩვენი წამებულ ქვეყნისათვის სხვა სახე- ლოვან მესამოცე წლების მოღვაწეთა შორის სწორედ ასეთი მაცოცხლებელი მზეა მსცოვან- ნი ჰედგოგი ბ-ნი ი. გოგებაშვილი, რომე- ლიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლო- ბაში თავდადებით და უანგაროთ ემსახურება თავის ბედსავე სამშობლოს, მსხედ და ფსიზ- ლად სდარაჯობს ჩვენში სწავლა-განათლების საქმეს, კრიჭაში უდგა გარეშე და შინაურ მტრებს, რომელთა უგვანს და ქვეს განზ- რახებით გამოწვეულ მოქმედებასა და საქ- ციელს უოგელთვის მოურიდელებად და სამარ- თლიანად ჰქცეოდა და გმობდა. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენში არ გაჩენილა თითქმის არც ერთი თავალ-საჩინო საქმე, რომელსაც ბ. იაკობი არ გამოხმაურებოდეს და ასე თუ ისე შიგ მონაწილეობა არ მიეღოს,

50 წლის განმავლობაში ეველა ჩვენი იაობა უპირველესად მის წიგნებზედ ვართ აღზრდი- ლი. ეველასათვის, ვისაც კი წიგნი ხელში აუღია და ანბანი უსწავლია, იაკობ გოგებაშვი- ლის სახელი საყვარელი და დაუფიწარია. ეს ის აღამიანია, რომელსაც შიგელი თავისი სი- ცოცხლე ჰოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ერის წყლული უჩნდა წყლულად, ეწოდა მის ტანჯვით სული, მის ბედით და უბედობით ედაგვოდა მტკიცე გული“...

და აი ასეთ იავის ქვეყნისათვის თავდად- ბულ მოამაგესა და მოჭინანსულეს, ეს რამ- დენიმე ხანის ზოგიერთი ნაცარქექიები ამოთ ტლახს ესვრანს, მკრამ დარწმუნებული ბრ- დანდებოდენ ი. გოგებაშვილს ამით ვერას დააკლებენ და თავისივე ტლახსში თვითონვე ამოისურებინ.

მე დიდ პატრიუსა ვცემ საზოგადოთ ყველას ქვეყნისათვის მშრომელ და მზრუნავ ადამიანს. მით უმეტეს უადრეს პატრივისცემასა და სასობას ვგრძნობ ჩვენ ყველა მასწავლებელთა მასწავლებლისადმი, რომელსაც ჩვენი ხალხის საკეთილდღეოთ ჯაფა არ დაუზოგავს და ცოტა არ უშრომია.

მე, რასაკვირველია, მომხრე ვარ საღი კრიტიკისა და მხილებისა. ხოლო ისეთი უმართებულო კილოთი მსტოვან მოღვაწეზე ღაზარაკი, როგორც ამ ბოლო დროს ზოგიერთები გოგებაშვილზე სწერენ, მე გასაკიცხათ მიმანია და მთელი ჩემი არსებით პროტესტს ვაცხადებ. მე წინ და წინა ვგრძნობ, რომ ეს „უძლეური“ პროტესტი ირონიულ დიმილს მოგვრის იმ „პედაგოგებს“, რომელნიც თვით მასწავლებლობას და სახელმძღვანელოების შედგენას მხოლოდ ვაჭრულის თვალით უყურებენ, რომელთაც მთელი თავისი სიცოცხლე ამა ქვეყნის ძლიერთა და ბიუროკრატთა წინაშე

კუდის ქნევით გაუტარებიათ, მაგრამ ეს მე აღნავადაც არ მათიქრებს.

ამბობენ შავი ლაქები ბრწყინვალე მზეზე დაც კი მოიპოვებო და უნაკლულო ადამიანი ჯერ დედამიწას ზრ წარმოუშვია. შეუმდარი მხოლოდ უმოქმედო და მცონარე ადამიანია. შეიძლება იაკობ გოგებაშვილს ნაკლულოვანებაც ჰქონდეს და თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს შეცდომაც ჩაედინოს. მაგრამ ეს კიდეც იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ხალხისათვის შეძლების დაგვარად მშრომელ აწ უკვე დრმა მოხუც პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს პატრივისცემისა და დიდების ნაცვლად უოველივე ამაგი დაუვიწყოთ და ასე უშვერად ვლანძღოთ.

მეორე მასწავლებელი.

ქუთაისი
15 ნოემბერი.

რედაქციისაგან

ქართულ მართლ-წერის შესახებმა კამათმა მეტის მეტად გააწიწმატა ბ-ნი სილოვანი. ვინ ჩამოსთვლის, რა და რამდენი „დარბაისლოური“ სიტყვები იხმარა ამ მეტად ზრდილმა და თავდაქერილმა მოკამათემ ჩვენის რედაქციების და თანამშრომელთა შესამკობად: „ახირებულო“, „კამპანია“, „ყვავები“, „ყორნები“, „მუქთა ხორები“, „არამზადები“, „ცრუ“, „ყაღები“, „ბრმა“, „უფიცი“, „ვირი“ და თვით სათაური წერილისა „გრ. ყიფშიძის სინილისი“ ნათლად ჰმოწმობს და აგვირგვინებს ბ-ნი სილოვანის „ზრდილობიან“ საქციელს მოკამათეთა წინაშე.

ბევრჯელ გვსმენია: „ზრდილობიან

წყობილ-სიტყვაობაში“ ბ-ნი სილოვანს ტოლი არა ჰყავსო, ზოგჯერ გაბრაზებულ სილოვანს ჩვენს რედაქციებში ისეთი „ზრდილობით შემკული“ წერილები გამოუგზავნია, რომ მსმენელთ თურმე გაგონებაზე ყური უნდა დაეცოთ. ეს ჩვენ დღემდის არ გვჯეროდა, განძრახ შეთხზული გვეგონა, მაგრამ მისმა უკანასკნელმა პოლემიკურმა კილომ ცხადათ დაგვანახვა, რომ ბ-ნი სილოვანი მეტის-მეტად გულ გაშლილი ბრძანებულა, რათა მთელი სიბინძურე წამოანთხიოს და, არა თუ მოპირდაპირე, მკითხველიც კი არ დაინდოს. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოღინდებო“, ნათქვამია, და ბ-ნი სი-

ლოვანის გულის საუნჯის შინაარსს ზემოდ ამოწერილი „ხელის ხელ საგომანებელი“ მისივე სიტყვები შეადგენს, რაც ამშვენებს, ამდიდრებს და ნათელს ჰფენს „ქართულ ენის მოაზავის“ ლექსიკონს.

ორიოდე შოლტი ბ-ნმა სილოვანმა „განათლების“ რედაქციას და მის რედაქტორსაც გადაჰკრა, აღბად გვემართლებოდა, რადგანაც მისი წერილი საერთო შთაბეჭდილებისათვის და აზრთა შესადარებლად ჟურნალში გადმოგვექდეთ, თუმცა მისი კილო სრულიად არ შეესაბამებოდა არც იმ კილოს, რომლითაც სწერდა რეცენზიას „განათლების“ № 8-ში ბ-ნი გრ. ყიფშიძე და არც აკადემიურ საკითხს მართლ-წერის შესახებ, რაც აკადემიურსავე მსჯელობას თხოულობს და არა ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, პიროვნების შეურაცხ-ყოფას.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ბ-ნი გრ. ყიფშიძე, თავის შეხედულობისა, ცოდნისა და დაკვირვების მიხედვით, სინდისიერად არჩევდა „კოლხიდის“ მიერ დარიგებულს მართლ-წერის წიგნაკს. ბ-ნი ყიფშიძე ღირსებასაც აღნიშნავდა ამ წიგნაკში და გვირჩევდა ყველას მიგველო „ბევრი მართალი და სწორი ფორმა“, რაც წიგნაკში არისო. იქვე რეცენზეტს ჩამოთვლილი აქვს მრავალი დაუსაბუთებელი შენიშვნა და მაგალითი, მოკლებული მტკიცე მეცნიერულს ნიადაგს და ეს კი მას „წყლის ნაყვად და უსაქმურ კაცის ჩხირკედლობად“ მიაჩნია. ეს არის საზოგადო შენიშვნა, რომელიც ეხება ყველა მწერალს საერთოდ და არა კერძოდ ვისმე. აი ამ სიტყვებს გაუბრაზებია ბ-ნი სილოვანი, თუმცა იგი და არც

სხვანი პირადად დასახელებულნი გრ. ყიფშიძის რეცენზიაში სრულიად არ ყოფილან. ბ-ნს სილოვანს ეს სიტყვები, რომელიც არც იმდენად ჩირქსა სცხებს ვისმე მუშაკ ადამიანის პიროვნებას, თავის-თავზე მიუღია, თავი გალანძღულად წარმოუდგენია და ჩვენ სიცრუეს გვწამებს, პროტესტს გვიცხადებს, მომრიგებელ მოსამართლედ გვნათლავს და გვეუბნება: „არა, ბ-ნო რედაქტორო, თქვენისთანა მსაჯულზე დიდი ხანია ნათქვამია—избрави Богъ и насъ отъ этакихъ судей“.

მართლა უცოდველ პაპად უნდა მიაჩნდეს კაცს თავისი თავი, რომ სხვისი შენიშვნები ღვთის რისხვად მოეჩვენოს და ვერ შესძლოს ზრდილობიან საერთო შენიშვნაზე ზრდილობიანადვე უპასუხოს. ყველასთვის ცხადია, რომ შეუსაბამო კილო საკამათო საკითხში ბ-ნმა სილოვანმა გამოიწვია და არა ჩვენმა თანამშრომელმა ბ-ნმა გრ. ყიფშიძემ. ამაში დარწმუნდებოდა ყველა, ვინც კი წაიკითხავდა ბ-ნ გრ. ყიფშიძის რეცენზიას („განათ.“ № VIII) და სილოვანის ბრაზიანს და წრე-გადასულ პასუხს. ბ-ნმა სილოვანმა რომ მართლა დაამტკიცა „წყლის ნაყვა და ჩხირკედლობა“, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან აღნუსხა სტამბის შეცდომები, რაც ყველასათვის ცხადია, და ამით ჩვენს პატივცემულს პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს („კოლხიდის № 188) ენის უცოდინარობას უკიყინებს.

რაც შეეხება ბ-ნ სილოვანთან 'კამათს, ღმერთმა გვაშოროს, არც ისე მოკლებული ვართ თავმოყვარეობას, რომ ვისმე თავი ვალანძვინოთ. დიდათ

ვსწუხვართ, რომ ასეთს უხერხულ მდგომარეობაში ჩავყენეთ ბ-ნი გრ. ყითშიძე, რომელიც ვერ დახარჯავს საპასუხოდ ისეთს „ზრდილობიან“ სიტყვებს, რაც ბ-ნმა სილოვანმა იხმარა.

საკითხი ქართულ მართლ-წერის შესა-

ხებ ისევ დიდმნიშვნელოვან საგნად მიგვაჩნია და რედაქცია კვლავ სთხოვს ჩვენს მეცნიერებს და მკოდნე კაცებს საკითხის აკადემიურად განხილვას, ხოლო ბ-ნმა სილოვანმა, როგორც უნდა ისე. ზრდილობიანად აწრიპინოს თავისი ბლაგვი კალამი.

უცხოეთი

სახალხო ბიბლიოთეკების მნიშვნელობა.

სახალხო ბიბლიოთეკები შვეცია-ნორვეგიაში

დიდებული ჰელაგოვი ჰენრიხ ჰესტალოცი ერთ თავის კერძო წერილში სხვათა შორის ამბობს: „ჩემი მტკიცე გადაწყვეტილებაა მშობელ ქვეყანას ვემსახურო; ჩემი გული ჩემს სამშობლოს ეკუთვნის“...

სამშობლოს სამსახურისთვის, ხალხის მწუხარებისა და გაჭირვების შესამსუბუქებელ საშუალებათ მას მიაჩნდა თვით ხალხის განათლება და ბავშვების მიზნის შესაფერად აღზრდა და სწავლება. და აი სწორედ ამ სახელოვანმა აღმომავალმა თავისი ჰენრიხის ქვეყანა და ნიჭი ამ დიად საქმის წარმატებასა და გაშუქებას მოაწოდებდა.

ხალხში სწავლა-განათლების მაცოცხლებელ სხივებს უმთავრესად სკოლები ჰყენენ და ამ მხრით ყოველ რიგისა და კეთილშობილ მასწავლებელს ქვეყნის წინაშე დაუფასებელი სამსახური და ამავი მიუძღვის. ჩვენ ვიცით, რომ საკაცობრიო ისტორიაში სახალხო სკოლასა და მის მასწავლებელს ქვეყნისა და სამშობლოს მხსნელის როლი არა ერთხელ აუსრულებიათ. სწორედ ამისთვისაა, რომ მათ დიდ მომავალს უქადავან.

ხალხის განათლებასა და გათვითცნობიერებას, სკოლებს გარდა, ხელს უწყობენ სახალ-

ხო უნივერსიტეტი, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და სხვა განმანათლებელი დაწესებულებანი.

ამ წერილში მსურს მკითხველებს გაუზიარო, თუ რა ზომებს ხმარობენ და როგორ ცდილობენ ხალხში განათლებისა და თვითცნობიერების შეტანას ევროპაში ჩვენსავითაა. მაგრამ დაწინაურებული კულტურისაა ჩემი ერები. მე მოგახსენებ დანიასა და ნორვეგიაზე და მათ სახალხო ბიბლიოთეკებზე.

დანია ცოტათი ჩვენზედ მეტ მცხოვრებს ბუიკავს— $2\frac{3}{4}$ მილ.. ამ უამად განათლება ამ ქვეყანაში სავალდებულო სწავლების, უმაღლეს ტიპის სახალხო სკოლათა მიზნის შესაფერი ორგანიზაციით და მრავალ-განმანათლებელ ასოციაციების მეშვეობით, მაღალ დონეზედ სდგას.

ასოციაციები ხალხში კულტურის შეტანას ცდილობენ და ამ მიზნით მას (ხალხს) მეცნიერების ყოველ დარგს, მსატრულ ნაწარმობით და სხვათ დემონსტრაციული სახალხო კითხვების, ბიბლიოთეკების და ამგვარ შესაფერ ზომებით აცნობენ.

